როგორც მოგეხსენებათ, სწორუპოვარო მკითხველო, სახეთა (ვИДК) შესაღარებლად ძუძუმწოვართა შორის კბილებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრით თუ ჩვენ ადამიანს მაიმუნებს შევაღარებთ თვალ-დასანას მზგავსებას აღმოვაჩენთ: კაცთა მზგავს მაიმუნებსა და ადამიანებს, თვითოვეულ მათგანს, ოცდათორმეტი კბილი აქვთ. შიმპანზე და ორანგჰჰუტანგის (მაიმუნებია) აღმოჩენამ ადამიანთა წარმოშობის საკითხს დიდი სამსახური გაუწია, იგი ერთობ წინ წასწია. ეს ცხოველები აღამიანს შეაღარეს და მათ შორის საკვირველი მზგავსება აღმოჩნდა. ამ მზგავსებამ ზოგი ბუნების მეტყველი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი აცთამზგავს მაიმუნებს უახლოვდება. და აი შეუდგენ მეცნიერები ამ დებულების სა-

ფუძველიანათ დასაბუთებას. იწყეს მათი, მაიმუნების, ორგანიზაციის გამოკვლევა, შესწავლა და ადამიანის აგებულების თვითოვეული ძვალი, თვითოვეული მუსკული უკუდო მაიმუნებისას შეაღარეს, რამაც, რასაკვირველია, ნათი ერთი მეორის მზგავსება დაადასტურა. მართლა, თუ ჩვენ მეცნიერთა მიერ დასაბუთებულ მასალას ამ საკითხის შესახებ მიუდგომდად თვალს გადავავლებთ, წინასწარ-განხრა-სულებას უკუ ვაგდებთ და მის გარშემო ატეხილ დავის. მოვიგონებთ, დავრწმუნდებით, რომ თითქმის მთელი ჩვენი, ადამიანის, და კაცთამზგავსი მაიმუნის აგებულება ურთიერთშორის დიდ მზგავსებას წარმოადგენს. მართალია, ჩონჩხის მზგავსება ამ ორ ცხოველთა შორის მეცნიერებმა დაადასტურეს, მაგრამ იყვნენ, დღესაც არიან, მკვლევარნი, რომელიც ამტკიცებენ, რომ ადამიანისა და მაიმუნის ტვინთა შორის განსხვავება არსებობს. ამ საკითხის შესახებ ანატომთა შორის მეცნიერული დავა ატყდა. კამათმა ჩვეულებრივი მწვავე ხასიათი მიიღო და დასასრულ იგი დაგვირგვინდა: დღეს გამარჯვებული დარჩა აზრი, რაიცა ამტკიცებს, რომ ტვინის მხრითაც ფრიად დამახასიათებული მზგავსება არსებობს ადამიანთა და კაცთამზგავს მაიმუნთა შორის.

შიგნეულობის შედარება ერთხელ კიდევ ადასტურებს კაცთა მზგავსი მაიმუნიდან ამ გონიერი არსების წარმოშობას. ადამიანისა და კაცთამზგავსი მაიმუნის ბრძანები ურთიერთშორის არ განსხვავდება; ის ჭიის მზგავსი შტო (чевреообразный отросток), რაიცა ადამიანი აქვს იწვევს, ეგრეთ წოდებულ აპენდიციტს, კაცთამზგავს მაიმუნსაც მოეპოება. მაშასადამე, აქ არაფერი უსა-

*) Гекслე „О положении пчеловъка въ природѣ.“

ბუთო, სასწაული და საკვირველება არაა, რომ თანხმათ აუარებელი უდაური ფაქტებისა მეცნიერებამ გაბეღულათ აღიარა: ადამიანთა და ქაფთამზგავს მაიმუნთა შორის ნათესაბა სუფექსი. ეს თეორია, ვიკით, ბევრს არა ეჭაშნიება, ბევრი შეურაცყოფილადაც იგრძნობს თავს, ვინაიდან მათ არ სურთ მათი წინაპარი ისეთი ცხოველი იყოს, როგორიც შაიმუნია. მაგრამ, მკითხველო, ნუ დაივიწყებთ, რომ ყალბ ნიადაგზე და შემცდარ საფუძველზე დამყარებული ყოველივე თეორია და აზრი ნიადაგს ვერ მოიპოვებს, იგი ვერ გავრცელდება, ცხოველმყოფელი ვერ გახდება და ახალ-ახალი ფაქტების, უტყუარი გამოკვლევების წინაშე მუხლ-მოდრეებით ფარ-ხმალს დასპყრის. არც ერთი მეცნიერება, რომელიც ცხოველ-მყოფელობას მოკლებული არაა, ერთ წერტილზე არასოდეს არ შეჩრდება, არ იყინება და არც მომავალში გაიყინება. იგი მარადებას სულ წინ-წინ მიდის, ახალ-ახალ გამოკვლევებს ახდენს, სულ ახალ საბუთებს აგროვებს და თანხმად საბუთებისა ამა თუ იმ ჰიპოტეზას უარპიოთს, ან ადასტურებს.

როცა დარვინმა თხზულება „ადამიანთა წარმოშობა“ გამოაქვეყნა, მაშინ კაცობრიობამ კიდევ ბევრი რამ არ იკოდა მაიმუნთა ებრიოლოგის *) შესახებ. მაგრამ, რაც დრო გავიდა, მეცნიერების ხელში ამ მხრით უფრო მეტი მასალა დაგროვდა. ორგანიზმთა ნათესაობის გამოსაკვლევათ განვითარების ისტორიის ცოდნა საჭიროა და ამიტომ ჩვენც მივმართოთ კაცთამზგავს მაიმუნების ჩანასახის განვითარებას: ამის გაგება დღეს მეცნიერება-

*) ებრიოლოგია—ჩანასახის განვითარების მეცნიერება.

ში არსებულ ჰიპოტეზას აღამიანსა წარმოშობის შესახებ დააღარისტურებს, ან გააბათილებს, უარყოფს და მით უტყუარ საბუთებზე დამყარებული ფაქტები ხელი გვევნება ჩვენ, რომ ვსოდეთ: დარვინი ჰიპოტეზა ჯერ კიდევ შეურყეველია...

მაიმუნების ჩანასახი სხვათაშორის გამოიკვლია ზელენკამ. ამ გამოკვლევი შემდეგ იგი ამბობს: „ადამიანთა ჩანასახითი ქმნის არ განირჩება კულიანი მაიმუნი ჩანასახისაგან“... ქაფთა-მზგავსი მაიმუნი ბავშვის თავის ქალა ურთიერთშორის ისულიდ შზგასებას წარმოადგენს, როგორ ადამიანის ბავშვის თავის ქალასთან“.... ერთი სიტყვით, აღამიანისა და მაიმუნი ჩანასახთა შორის საკვირველი. მზგავსებაა. ორთავეთა პლაცენტი, ბავშვის ადგილი, ერთგვარია, მათშორი დიდი მზგავსებაა. კაცთა მზგავსი მაიმუნის ჩანასახის გარსი აღამიანთა ჩანასახი გარსს უფრო უახლოვლება, ვიდრე დაბალ მაიმუნებისას. რომ მათ შორი მზგავსებაა, დასამტკიცებლად იხილე აქვე მოყვანილი ორი სურათი. (იხ. ს. 1 რათი 1 და 2). ერთი მათგანი მაიმუნი გიბბონის ჩანასახია და მეორე კი აღმიანის...

აღამიანთა წარმოშობის შესახებ ყველა ფაქტები შედარებითი ანატომიაზე ებრიოლოგიაზე დამყარებული. ეს ორი სახება, მაიმუნი და აღამიანი, ერთი მეტეს მეცნიერებმა შეადარეს... დარა ამტკიცებდა, ვინაიდან აღამიანებს უმაღლეს მაიმუნებს ერთგვარი შეძენა (ტილი) ჰყავთ, ეს მოწმობს მათი უგანი ორგანიზმების და წვენის (ცონა ნათესაობასო...)

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ცნიერები ფრიად საინტერესო და სრადლები ფაქტს კვლევა-ძიების დ



სურათი 1. მაიმუნი გიბბონის ჩანასახი.
(ზელვნება)



სურათი 2. ადამიანის ჩანასახი
($3\frac{1}{2}$ თვეის)

წააწყდენ. ეს ახალი ფაქტი, სხვათა შორის, მით არის უაღრესათ საყურადღებო, რომ ცხოველთა სახის ნათესაობას ამტკიცებს. თუ ჩვენ ავიღებთ ერთი სახის ძუძუ-მწოვარის სისხლს და მეორე სახისას შეუშეაპუნებთ, უკანასკნელის ორგანიზმი საკვირველი ცვლილება მოხდება. ავიღოთ ნორმალური შინაური კურადღლის (ცაცალოს) სისხლის სერუმი *), ამ გამჭვირვალე და უფერულ სითხეს მიუმატოთ სხვა სახის ცხოველის თუგინდ ზღვის ღორის სისხლის რამდენიმე წვეთი, ასეთ შემთხვევაში არავითარი ცვლილება არ მოხდება: ზღვის ღორის სისხლი ჩვეულებრივ ფერს არ დაკარგავს და წითელი სისხლის ბუშტურები თითქმის უცვლელი დარჩება. შინაური კურადღლის სერუმს ზღვის ღორის სისხლის ნაცვლათ რამდენიმე წვეთი მისივე სიახლის სერუმი მიუმატოთ, სითხე შეერთდება, მაგრამ ცვლილება კი არ მოხდება. ავიღოთ ზღვის ღორის სისხლი და შინაურ კურადღლის ღორისამოშვებით შეუშეაპუნოთ;

*) სერუმი — შრატი; შრატის ნაცვლათ ჩვენ ამ წერილში უდევებან „სერუმს“ გხმა-რობთ. აგრ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ რიგათ მომზადებულ კურადღლს გავართვათ სისხლი; გართმეული სისხლი ცენტოფუგის საშუალებით წითელი სისხლის ბუშტურებიდან გავათავისუფლოთ და მიღებულ უფერულ, გამჭვირვალე სითხეს მიუმატოთ ზღვის ღორის სისხლის რამდენიმე წვეთი. ცდის ღროს, თუ ცდა, რასაცირკველია, შეუცდომლათ წარმოებს, უსათუოდ შევნიშნავთ სითხის ცვლილებას: იგი წინეთ, ცდის დაწყების ღროს, მღვრიე იყო, ახლა კი დაწმინდა, გ. ი. როგორც მეცნიერები ამბობენ, გემოლოზი მოხდა. ეს ცვლილება, ზღვის ღორის წითელი სისხლის ბუშტურების განზავება, წინასწარ-მომზადებული კურადღლის სერუმმა გამოიწვია. მაშასადამე. კურადღლის სეულში, რომელსაც ზღვის ღორის სისხლი ჰქონდა შეუშეაპუნებული, შემუშავდა ახალი ნივთიერება, რაც ზემონათქვამ ცვლილებას იწვევს, მაგრამ ეს სერუმი გარდა ამისა კიდევ სხვა ცვლილებასაც იწვევს. თუ ჩვენ მას მიუმატებთ ზღვის ღორის არა უცვლელ სისხლს, არამედ მისს სერუმს, ასეთ შემთხვევაში სითხე სწრაფათ აიმღვრევა და დაილექტირდა. ეს ცდა ამტკიცებს, კურადღლის სე-

რუმი ზღვის ლორის სისხლის შეშხაპუნებით შეიცვალა და მან ახალი თვისება მიიღო: იგი ახლა ზღვის ლორის წითელ სისხლის ბუშტურებს განაზავებს და იმავე ცხოველის სერუმთან შერეული კი ილექტება. სერუმი ცხოველისა, რომელსაც სხვა სახის ცხოველის სისხლი აქვს შეშხაპუნებული, ხშირად სპეციალურია. ასეთი სერუმი მხოლოდ ილექტება და განაზავებს იმ სახის ცხოველთა წითელი სისხლის ბუშტურებს, რომლის სისხლის ბუშტურები ჰქონდა მას შეშხაპუნებული. ეს ასეა, მაგრამ არის ისეთი მაგალითები, რომ ასეთი სერუმი მახლობელ და მონათესავე ცხოველების სისხლსაც განაზავებს. კურდღლელს რომ ქათმის სისხლი რამდენჯერმე შეუშხაპუნოთ, მისი სერუმი განაზავებს არა მარტო ქათმის სისხლს, არამედ მტრედისასაც. მაშასადამე, ქათმისა და მტრედს შორის ნათესაობა არსებობს. აქ რომ ნათესაობა არ არსებობდეს, ქათმის სისხლით მომზადებული კურდღლის სერუმი მტრედის სისხლს ვერ განაზავებდა.

ამ ფრიად საყურადღებო აღმოჩენამდე ადამიანის სისხლს ცხოველთა სისხლისაგან ვერ არჩევდენ. აღმოჩენამ კი ეს დიდი ნაკლი მოსპო. დღეს ამ მეთოდის საშუალებით ჩვენ ძალ გვიძს რაიმე ნივთზე მიმმარი სისხლი, თუ იგი ადამიანისაა, გაფარჩიოთ და ესთქვათ დანამდვილებით, რომ ამა და ამ ნივთზე მიმმარი სისხლი ადამიანისაა, ან სხვა ცხოველის, მაგ., ქათმის, ცხენის, ძალის, ცხვრის და სხვა.

ზემო მოყვანილი მეთოდის საშუალებით ჩვენ დღეს ხელთ გვაქვს საუკეთესო საშუალება. ეს რეაქცია ნათესაობის გამოსაკვლევათ ხელის ხელ საგოგმანებელი შარგალიტია, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ჩვენ ვსთქვით: ქათმის სისხლით მომზადებული ცხოველის სერუმი მარტო ქათმის სერუმთან კი არ ილექტება, არამედ მის მონათესავე ცხოველებთანაც. მაგრამ, თუ ჩვენ დასახელებულ სერუმს ძუძუმწოვართა სერუმს მიუმატებთ, აქ კი ცვლილება ვერ მოხდება. თანხმათ ზემო მოყვანილი მეთოდისა მოვამზადოთ ხარის სერუმი და გაესინჯოთ ცხვრისა და ირმის სერუმთან.—ცვლილებას ვერ შევამჩნევთ, მაგრამ ხარსა და მის მონათესავე ცხოველებთან-კი რეაქციას მივაღებთ. *) კითხვა თავისთავათ იბადება: ადამიანის სისხლ შეშხაპუნებული ცხოველების სერუმი რა შედეგებს იძლევა. ცდა და დაკვირვება პასუხს იძლევა: ასეთი სერუმი განსაკუთრებით ზოგიერთ მაიმუნთა სერუმთან რეაქციას გვაძლევს ** ლიკვერპულში გრიუნბაუმმა ამ მეთოდის ადამიანის და კაცთამზგავსი მაიმუნების სისხლი გამოიკვლია. იგი ამბობს: ამ ცხოველთა სისხლის გარჩევა, როგორც დინებით, ისე რათდენბით, შეუძლებელია ერთი სიტყვით, ასეთი მრავალი ფაქტები რაიცა თანამედროვე მეცნიერების მოვალება, მაიმუნიდან ადამიანის წარმოშობის თეორიას თავდაპირველათ აჲ ჰქონდა, მაგრამ ამ თეორიის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩენილი ფაქტები ერთობ მას ადასტურებს და საფუძველუმაგრებს...

ზ. ჩიჩუა.

ციმბირი. 1914 წ.

*) ob. Uhlenhut. „Deutsch. Med. Wochenschrift“. 1901.

**) ob. Wassermann und Schütze: „Berliner Klinische Wochenschrift“. 1901.

ცოტა რამ თბერისუფალ აღზრდაზე*)

ქ ე რ ც ე ს ა მ კ უ ნ ე „ლირებულებათა დაუსების“ საუკუნეა. დღეს კაცობრიობამ თითქოს დაინახა, რომ ის გზები, რომელთაც ის აქამდე ადგა — სულ სხვა მხრისაკენ მიუთითებენ მას; თითქოს ის შენიბა, რომელშიაც ის აქამდე სცხოვრობდა, აღარ ვარგა, დამპალა, დახავსბულა და მას ძირითადი გადაკეთება სცირდება. და კაცობრიობა ყოველ დარგში ხალ გზებს ამჩნევს, ახალ საშუალებებს დებულობს, რომ ახსნას ის „დაწყევლილი“ საკითხები, რომელნიც მის წინაშე გამოურკვეველი დარჩენილან აქამდე.

დღევანდელმა ლიტერატურამ ძველი გზა მიატოვა და ახალს დაადგა, დღევანდელი ხელოვნება სცდილობს გამოვიდეს იმ ჯალისნურ წრიდან, რომელშიაც ის ჩამდგარა — ის ეძიებს, იკვლევს ახალ გზებს და გასავალს პოულობს. ზოგიერთი წრები ამ ძიებამ ფუტურიზმ-კუბიზმამდიც მიიყვანა და ამ გვარათ ისინი ნამდვილ გზას ასცდენ, მაგრამ ეს გზის დაბადევა კაცობრიობის წინ მსვლელობაში მოსალოდნელია. მას ერთი მიზანი აქვს დასახული — პროგრესისაკენ წინ სვლა, საუკეთესო მოახლოება, კეშა-

*) ამ საკითხის შესხებ „განათლებაში“ ერთხელ გვქონა წერილები დასტამბული. უფრო ვრცელად და მეცნიერების თვალსაზრისით ეს საკითხი განხილულია 1908 წლის „განათლების“ № 7—8-ში. რედაქტია ამ წერილის ავტორს ზოგიერთში არ ეთანხმება, ჟაგრამ მის დასტამბებას მაინც სასურველად რედ.

რიტი სიმართლის დამყარება ამ ქვეყნად. ეს მიზანი ძლიერ შორს არის — გზა კი წყვდიალით არის მოცული და ნუ თუ მოსალოდნელი არაა, რომ მას ამ წყვდიალში გზა დაებნეს, ნამდვილ გზას ასცდეს და გვერდზე გადუხვიოს? ეს მოსალოდნელია, მაგრამ ის ბოლოს მაინც ნამდვილ გზას დაადგება და მეტის ენერგიით, მეტის აღტაცებით თავის მიზნისაკენ გაექნება.

ამგვარი ძიება არის დღეს პედაგოგიკაშიაც; იქაც ხდება „ლიტერებულებათა გადაფასება“, იქაც ძველ გზებს სტოკებენ და ახალს ადგებიან, მაგრამ, როგორც ყველგან, შეცდომები აქაც ხდება — ერთის ან ორის მიერ ნაჩვენებ გზაზე ყველანი მიღიან — ბოლოს კი ეს გზა მცდარი გზა გამოდის — მას ნამდვილი მიზნისაკენ არ მივყევარო.

ეს რამდენიმე წელიწადია რუსეთში დიდ ყურადღებას იქცევენ მოწინავე პედაგოგები ე. წ. „თავისუფალ აღზრდას“. ტოლსტოის იდეებით გამჭვალულმა მასწავლებლობამ მას ხელი გაუწოდა, მასში ნახა უკანასკნელი სიტყვა პედაგოგიური აზროვნებისა. წინდაწინვე უნდა ვსთქვა, რომ არც ერთ ქვეყნაში ისე ცუდათ არ არის დაყენებული ბავშვის აღზრდა სკოლასა და ოჯახში — როგორც ჩვენში. ამგვარი მდგომარეობა სწავლა-აღზრდისა პეტენის მიმბაძველობას სწავლა-აღზრდის საკითხებში, ეს მიმბაძველობა კი ხშირად სასურველი არ არის — მზამზარეული ფორმულა — იდეების გავრცელება ჩვენში არ მოხერხდება თუ ისინი ჩვენს, აღილობრივ მოთხოვნილებებს არ დაუჭვემ-

დებარეთ. ესვე თითქმის „თავისუფალ ალზრდაზედაც“.

მისი ძირითადი დებულებანი უკეთელათ მისალებნი არიან, მაგრამ იმ ფორმით, როგორათიც თავისუფალი ალზრდის იდეოლოგები გვაწვდიან—ყოვლათ შეუძლებელია. დღეს მოწინავე პედაგოგები „თავისუფალ ალზრდაში“ პოეტნ ხსნას, მაგრამ ეს იდეა ისე გაპარადოქსალურდა, ისე დამახინჯდა და ასკილდა ჩვენი ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნილებებს, რომ შეიძლება მას დღეს „პედაგოგიური ფუტურუზმი“ უწოდოთ. რომ ეს ასეა მაგალითისთვის განვიხილოთ ზოგიერთ პედაგოგთა აზრი ამ იდეის შესახებ. გორბუნოვ-პოსადოვი, რომელიც ხელმძღვანელობს თავისუფალი ალზრდის სპეციალურ ორგანოს „თავისუფალ ალზრდას“, ამბობს, რომ „ადამიანის სული თავის ბუნებით—ქრისტიანულია. ე. ი. მისი საძირკველი ალტრუისტულია; ბავშვის ეგოისტიათ ხდის შემცდარი ალზრდა, გარეშე მყოფთა წრის ცუდი მოქმედება, მთელი ატმოსფერა ჩვენი ოჯახისა და საზოგადოებისა, რომელიც ვიწრო ეგოიზმით, უტილი-ტარული სულით არის გაუღენთილი, ბავშვის ალტრუისტობა, მისი აზრით—ეს ძირითადი დებულებაა ბავშვის ფსიხოლოგიისა. ვსოდეთ—ბავშვი—სპეტაკი ბუნებაა, ალტრუისტი, ყველას და ყველაფრის მოვარული—უფროსები კი გაუღენთილი ვართ ეგოიზმით, დაბალი გრძნობებით. ბავშვი ამ მხრივ უფრო მაღლა სდგას უფროსზე, მაშასადამე არ შეიძლება, არ მოხერხდება უფროსმა რომ უმცროსს ასწავლოს, არ შეიძლება რომ უზნეო ადამიანმა, ზნეობრივად სპეტაკი ბავშვი აღზარდოს. აი აქამდის მივდივართ მაშინ, თუ მივიღებთ პოსადოვის დებულებას—ბავშვი

ალტრუისტია, ხოლო უფროსნი ეგოისტი, მაგრამ ამ დებულებას უფრო შორსაც მიკუთვართ—თუ უფროსი უმცროს, (ამ შემთხვევაში სასკოლო ჰასაკის ბავშვს) ვერ აღზრდის, მაშასადამე მიეცით (ბავშვს) სრული თავისუფლება და აღიზარდოს ისე, როგორც მას სურს, ისწავლოს ის, რაც მას მოსწონს და იმ გვარი წესიერება დაამყაროს, როგორსაც საჭირო ჩასთვლის. აი განვითარებული დებულება გორბუნოვ-პოსადოვისა. და მართლაც ამას ამბობენ აგრეთვე—ვენცელი, უელსლანდერი და თითქმის ყველა თანამშრომელი „თავისუფალი ალზრდისა“. აი მაგალითათ ვენცელის სიტყვები:

„თავისუფალი ბავშვის სახლში არ უნდა იქნეს არავითარი წინაძწინ შექმნილი პრეგრამა, არავითარი გეგმა მეცადინებისა, არავითარი წინასწარი დანაწილება კლასებათ, და არავითარი მასწავლებელთა შერსონალი და ნამდვილი, ჰეშმარიტი თავისუფალი სკოლა უნდა იუგეს ეგეთი ე. ი. სკოლა უპროგრამობთ უკლასოთ და უმასწავლებლოთ.“ *)

განვიხილოთ ამ დებულებათა სიმართლე—რამდენათ არიან ისინი მართალნი?

ნუ თუ ბავშვი, მართლა ისე ყოვლათ სრული არსებაა, და ჩვენი ალზრდა მა ამახინჯებს? გადავხედოთ მაგალითებს გადავხედოთ ყოველდღიურ ცხოვრებას წავიკითხოთ ცნობილი მკვლევარების ნაწარმოებნი—რას გვეუბნება ყველა ესენი?

პირველი დებულება, რომელსაც აყენებენ თავისუფალი ალზრდის მოხსენენ და კერძოთ გორბუნოვი—ვითომ და ჩვენ აღზრდა ბავშვს ამახინჯებდეს—რომ ბუნებით ალტრუისტია, ხოლო ეგოისტა

*) ვენცელ—„Какъ создать свободную школу?“.

ჩვენ ვხდით მას — ეს დებულება, გამოუ-
რკვეველი დაუმტკიცებელი დებულებაა.

საიდგან დაამტკიცეს მათ, რომ ბავშვი
ჩვენი აღზრდა ხდის ეგოისტია, თორებ
მასში ეგოიზმი არ არის? ცხოვრების ფა-
ქტებიდან თუ გამოკვლევებიდან? არა,
შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ დაკვირ-
ვებიან არც ცხოვრებას, არც ბავშვის
ბუნებას, არც ფსიხოლოგების ნაშრომე-
ბი წაუკითხავთ ამ საკითხის შესახებ.
არა, მათ მხოლოდ სწავლი, რომ ბავშვი
ყოვლათ სრული არსებაა და მათვის
შტკუცება საჭირო არაა. მაგრამ ამგვარ
საკითხებში ასეთი სუბიექტიური შეხედუ-
ლები არ არიან გამოსადევნი, ამ გვა-
რათ ჩვენ საკითხს ჯეროვანათ ვერ გავა-
შუქებთ. და თუ ობიექტიურათ მიუდგო-
მლათ განვიხილავთ ჩვენ ამ საკითხს და
ჩვენს დასკვნას დავამყარებთ დაკვირვება-
ზე და გამოცდილებაზე, მაშინ სულ
სხვას დავინახავთ... თუ ბავშვს პირველ
წლებში დავაკვირდებით, დავინახავთ, რა-
მან ამ ხანში თავის „მე“-ს მეტი არაუე-
რი იცის, ის ამ მხრივ სრული ეგოის-
ტია. „მე ასე მინდაო“, იტყვის ბავშვი
და თუ არ გსურთ მისი წრიპინით და-
ყრუდეთ — მისი მოთხოვნილება უნდა
დაკმაყოფილოთ; დიახ, ის სხვის საჭი-
როებას, სხვის სურვილს ანგარიშს არ
უწევს, თავის მეტს — არავის იცნობს.

ამგვარ მაგალითებს ცხოვრებაში ბევრს
შეხედებით და რომ ამ მაგალითებმა
შორს არ წავიყვანონ — მოვიყვან ერთს,
ბავშვის ბუნების დამახსიათებელს, რო-
მელსაც ჩვენში ხშირად გაიგონებდით:

„ერთ გლეხს ეწვია მეფე. შევიდა თუ
არა სახლში კუთხეში აკვანს შეხედა და
შეეკითხა გლეხს — ბავშვი გყავსო?

— დიახ, აგრე ერთი წლისაა, დიდო
ყველ, მიუგო გლეხმა.

— დიდი მეფე მე კი არა ვარ, შენ გყო-
ლია-ო, უთხრა მეფემ გლეხს“. ეს ძლი-
ერ საგულისხმო არავია. ამ არავში გა-
ტარებულია ის აზრი, რომ ბავშვი მეფე-
ზე უფრო ძლიერია, როცა რასმე მოი-
თხოვს.

იქნება სთქვან, რომ ეგოიზმი არ არის
თან დაყოლილი თვისება აღამიანისა —
არამედ ის ვითარდება მასში თანდათან,
ზრდის მიხედვით. მაგრამ ცხოვრებაში
სულ წინააღმდეგს ვხედავთ — აღამიანში
ეგოიზმი თანდათან კლებულობს; როცა
ის ხედავს, რომ სხვასაც ჰქონია თავისი
საკუთარი ინტერესები და სურვილები,
მაშინ ის საზღვარს უდებს თავის „მე“-ს
მოთხოვნილებათ. რასაკვირველია, ბევრი
ჩვენგანია ეგოისტი, მაგრამ ეგოისტათ
ხდის ბრძოლა არსებობისთვის და სხვადა-
სხვა გარეშე მიმეზები. და ისე რომ შე-
ვადაროთ სიურმე და სიუმწევილე, დავინა-
ხავთ, რომ პირველში უფრო მეტი ეგადიზმია
და მეორეში უფრო მეტი აღტრუაზმი.

ახლა მიგმართოთ ცნობილ ფსიხოლო-
გებს, მაგ. ბავშვის ბუნების საკეთესო
მცოდნეს ჯ. სელლის. (Дж. Сэлли). აი
რას ამბობს იგი. „თუნდა სულ ზერელეთ
რომ გავეცნოთ პირველს წლებს აღამია-
ნის ცხოვრებისას, ჩვენ აღვილათ დავინა-
ხავთ, რომ პატარა ბავშვებს ბევრი რამ
საერთო აქვთ დაბალ ცხოველებთან. მა-
თი ჩვეულებრივი სურვილები და მისწრა-
ფებანი დამყარებულნი არიან თავის
საკუთარ „მე“-ზე და მის მოთხოვნილე-
ბათა დაკმაყოფილებაზე; ბავშვში ყველა-
ზედ უფრო ჩვენ ვამჩნევთ მის უსაზღვრო
გაუმაძლრობას ყველაფრით, მის სურვილს
ყველაფრით ისარგებლოს, რაიცა მის
ახლოს არის და იმავე დროს ცდილობს,
რომ ამ საგნებით სხვებმა არ ისარგებლონ.
ზემო-მოყვანილი მაგალითები და ეს

სიტყვები გვიჩენებენ, რომ თავისუფალი აღზრდის იდეოლოგების. მტკიცების წინააღმდეგ — ბავშვი სკარბობს ეგოისტური მისწრაფებანი, სკარბობს საკუთარი „მე“-ს მოთხოვნილებანი, მაშასადამე ბავშვი არ ყოფილა ყოვლათ სრული არსება. ამ დებულებას მისთვის სჭირდება დარღვევა, რომ შემდეგ ამით დავარღვიოთ თავის წილის დებულება, რომელიც გვიკარნახებს, რომ სკოლაში არ უნდა იყვეს არც მასწავლებელი, არც პროგრამა არც კლასებით. ეს დებულება ბავშვის გაღმერთებიდან გამომდინარეობს.

ბავშვში არის როგორც კარგი, ისე ცუდი მხარები და მასწავლებლის მოვალეობაა, რომ ეცადოს სასურველი მხარების განვითარებას და არა სასურველის აცილებას. და რომ ჩვენ ამ მხრით მიზანს მივაღწიოთ, უნდა უკუ ვაგდოთ გოველივე სუბიექტიური შეხედულებანი, დავემყაროთ გამოცდას, ექსპერიმენტს, და დაკვირვებას, პირდაპირ შევხედოთ სინამდვილეს თვალებში და ავიხადოთ ის იდეალიზმის სათვალები, რომლის შემწეობითაც ვხედავთ ბავშვებს. ამგვარათ ჩვენ აცილდებით იმ უკიდურესობას, რომელშიაც ვარდებოდნენ საშუალო საუკუნეში — როცა ექსპერიმენტსა ადგილი არ ჰქონდა და ბავშვს სთვლიდნენ ყოვლათ დაცემულ არსებათ, რომელიც მაშინდელ სქლისტიკურ სკოლას უნდა გადაერქმნა, გაესწორებინა. ყოველივე ნაკლს იქ ბავშვს აწერდენ, ხოლო ლირსებას კი სკოლას.

ახლა კი ზოგიერთები წინააღმდეგ აზროვნებენ და ყოველ ლირსებას ბავშვს აწერენ, ხოლო ურაყოფითი მხარეებს — მასწავლებლებს და საზოგადოთ აღმზრდელებს და ამგვარათ უკიდურესობაში ვარდებიან მეორე მხრიდან.

უ. ელსლანდერი ამბობს თავის „ახალ სკოლაში“...

„როგორ შევსძლოთ, რომ ის (ბავშვი) გარდავქმნათ თანამედროვე ადამიანათ, საზოგადოების წევრათ?“

და იქვე უპასუხებს — „შეგძლებთ მით რომ მივსცეთ მას სრული თავისუფლება“. (ხაზი ელსლანდერისაა). „სრული თავისუფლება“ — ეს იგივე ვეგცელის აზრია, ხოლო მოკლეთ გამოთქმული. შესძლებელია დღეს ან და ახლო მომავალში ბავშვს სრული თავისუფლება მივანჭოთ სკოლაში? ვნახოთ რამდენადაა ეს შესაძლებელი საზოგადოთ და კერძოთ ივენში.

დავიწყოთ ბავშვებიდან. ყოველივე ონდივიდუმს საკუთარი ხასიათი აქვს და რითიმე განსხვავდება მეორესაგან: ერთს მოსწონს ის, რაც მეორეს სძულს, მესამეს სძულს ორივეს საყვარელი საგანი და სულ სხვა რამე უყვარს. და ასე ბოლომდი. ამ გვარათ შეუძლებელია ნახოთ ორი ადამიანი, რომელთა სურვილი და მისწრაფებანი ერთნაირი იყვეს. ასეა ბავშვებიც — მათ თვითეულს განსაკუთრებული სურვილი, მისწრაფებანი და შეხედულებანი აქვს. მოუყაროთ თავი ჩვენ რამდენსამე ათ ბავშვს. ავილოთ თუნდა ერთი კლასი. ჩემს კლასში სამოცდა ათამდებავშვი სწავლობს. მასწავლებელი მე ვის ერთი. ავდექი და ერთ გაკვეთილზე ბავშვებს სრული თავისუფლება მივეცი. რას იზამენ ისინი?

მე შევღივარ კლასში და სწავლებას ვთწყებ, ვთქვათ ანგარიშის გაკვეთილია. ჩემთან ბავშვების უმეტესობას ანგარიში სძულს. მე მემახიან — „ქართული იყვეს ბატონო“, „ქართული გაკვეთილი“, „რუსული“, „წერა იყვეს, წერა“... და სხვა მე არ ვიცი რა დავიწყო... ბოლოს გვ

მოირკვევა, რომ უმეტესობას ქართული სურს. მეც ქართულს ვიწყებ, მაგრამ მე არ შემიძლია, მე ნება არა მაქეს, რომ ისინი რომელთაც ქართულს, ანგარიში ან სხვა რამე ერჩიათ, კარში გაუშვა, ან ვაიძულო რომ ხელს ნუ გვიშლიან და თავის საქმე გააკეთონ. მე ქართულს უხსნი — ზოგი ისმენს, ზოგი რუსულს კითხულობს, ზოგი ანგარიშობს, ზოგი სწერს, მისმენს მხოლოდ რამოდენიმე ბავშვი. მათი ყურადღება ვერ ჩერდება ერთ საგანზე — მათ ხელს უშლიან სხვები და ბოლოს ისინი ან მოთამაშეთა ჯგუფს ემხრობიან, ან და სხვა რასმე იწყებენ... დავრჩები მე მარტო ჩემი ქართულის გაკვეთილით... ბოლოს აურ-ზაურია, მაგრამ მე რა ვქნა — მე ვიცი რომ ჩემი ჩარევა და დისკიპლინის დამყარება შეცდომა და დარღვევა იქნება იმ პედაგოგიური დებულების, რომელიც გვიკარნახებს, რომ ბავშვის ბუნებრივათ აღზრდისათვის საჭიროა შათ სრული თავისუფლება ექმებოთ. მე რა დამრჩება მეტი თუ არ კარში გასვლა და მეც კლასი უნდა მივატოვო და გარეთ გავიდე.

მაგრამ ჩემი სკოლა ხომ იდეალური არაა, ჩემი მოსწავლეთა რიცხვი ნორმაზე თითქმის ორჯერ მეტია?

ვსთქვათ ჩემი სკოლა გადავაკეთეთ, ცოტათ თუ ბევრათ დაუახლოვეთ იდეალურს. მე თუდაათი მოწაფე მყაეს; მაქვს ითხი საკლასო ითახი სხვა და სხვა სახელოსნოთი, სადაც ბავშვს შეუძლიან ნახოს და ისარგებლოს დურგლის, მჰედლის და სხვ. იარაღებით. მასწავლებელი თუნდა შე, ერთი ვიქნები, თუმცა ვენცელის სიტყვით არავითარი მასწავლებელი არაა საჭირო.

დღეს უმეტესობა მთხოვს, ზღაპრები ვიკითხო. კარგი. შევდივარ ითახში და

ვიწყებ კითხვას. ზოგი ბავშვები — სხვა და სხვა ოთახებში არიან, ზოგი ხერხაეს, ზოგი სჭედაეს, ზოგი რაღაცას წებაეს, ზოგი თამაშობს. ეს რასაკვირველია მათი სურვილია. ჩვენ ვკითხულობთ. ერთ მოწაფეთაგანს ეს ზღაპარი არ მოსწონს და გადის ოთახადან. მეორეს ცნობის მოყვარეობა არ ასვენებს — რისთვის წავიდა ის გარეთო? — და ისიც თან გაპყვება პირ-რველს.

ამ დროს კლასში შემოდიან თამაშით დაქანცული ბავშვები. ყველა კითხვას ყურს უგდებს.

უცბად გაისმის გარეთ ბავშვის ტირილი, და ერთი ხრიალია მეორე ოთახში. ჩემი აუდიტორია ერთიანად იშლება და მეორე ოთახში გარბის. იქ კი ორი ბავშვი ერთიმეორეს ნაჯახს ართმევს — არა მე უნდა ვიმუშაო და არა მეო. მალე ისინი რიგდებიან. ჩვენ უკან გმრაუნდებით და კითხვას განვაგრძობთ, მაგრამ ახლა ორჯერ უფრო მეტი მსმენელები მყავს. და მთხოვენ თავიდან დავიწყო, რადგან ზღაპარმა ესენიც დაინტერესა. წინანდელი მსმენელები კი უარს ამბობენ. არის ერთი ჩხები: ზოგი იძახის „წაიკითხეთ თავიდანო, ზოგი არაო და სხვ.

შე რავქნა? რა გავაკეთო?

ყოველ შემთხვევაში სჯობია ან სულ გავიღე კლასიდან, ანდა ახლათ მოსულები კარში გავრეკო, მოვკეტო კარი, არც გაუშვა და არც შემოუშვა ვინმე უსაჭირო როოდა კითხვა განვაგრძოთ. მაგრამ რავქნა რომ ამის ნება არა მაქვს — მე ბავშვებს სრული თავისუფლება უნდა მიესცე და ეს კი ამ თავისუფლების წინაღმდევ წასვლა იქნება. ამგვარი მაგალითები ბევრი იქნება „თავისუფალ ბავშვის სახლში“. და მეტს არ მოვიყვანთ. ვიტყვით მხოლოდ რომ იქ თითქმის ანარქია იქნება

და მეტი არაფერი. მასწავლებლის ავტოურიტეტი, მისი პიროვნებაც დაცემული იქნება და ბავშვების თვალში მას არაითარი ფასი არ ექნება. (ამას გვიჩვენებს „სეტლემენტის“ ისტორია რუსეთში). ამ გვარათ მოსაგონებელი და საგულისხმოა კომუნისტის სიტყვები — „უდისციპლინა სკოლა — ეს უწყლო წისქვილა“ -ო. ამ აზრს მე ის შემიძლიან დაუმატო, რომ წისქვილი უწყლო შეიძლება იქნეს, ხდეთ სკოლა უდისციპლინოთ კი არა.

შეუძლებელია, დღეს დღეობით მაინც, რომ კლასში რაიმე წესიერება არ იქნეს დაცული — დისკიპლინას დაუძახებთ მას, თუ სხვას რასმე.

ამას ვერ უხვევენ გვერდს ვერც თავისუფალი აღზრდის მესვეურნი და ზოგიერთ შემთხვევაში ისინიც საჭიროთა სთვლიან თავისუფლების შეზღუდვას. მაგალითად იგივე ვენცელი ამბობს, რომ „საერთო მოქმედება, თუ კი ეს საჭირო იქნება, თავისუფალი შეთანხმებით უნდა იქნეს გამოწვეულით.

მაგრამ როგორია ეს „თავისუფალი შეთანხმება“ ბავშვთა შორის, უკელამ კარგად ვიცით. რომ დავაკირდეთ მათ თამაშობას, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს შეთანხმება“ ხშირად ირღვევა და შედეგათ მას უფრო ხშირად ცემა-ტყეპა მოსდევს ხოლმე. ისინი შეთანხმდებიან, მაგრამ ამ შეთანხმებას ისევ თვითონვე დაარღვევენ რამოდენიმე საათის შემდეგ. მაგრამ როგორ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ შეთანხმების თანახმა ყველა იქნება. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში რომ ეს „შეთანხმება“ — „თავისუფალია“ — მინდა განვაუხდებ თანხმობას — მინდა არა.

და რა უნდა ვქნათ ამ უკანასკნელ შემთხვევაში — როცა ბავშვები ვერ შეთანხმდებიან — ამაზე პატივცემული ავტო-

რი არაფერს გვეუბნება და, როგორც ამბობენ „მეტრმეტყველურათ სდუმს“.

აქ ჩვენ შეგვიძლიან მივხვდეთ, რომ თუ ზოგი ბავშვი მაგ. დისკიპლინის დაცვას არ დაეთანხმა, ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი, რადგანაც აქ თანხმობა და ერთსულოვნობაა საჭირო და თუკი ვისმეს ვაიძულებთ — სრული თავისუფლების მოჩვენება გამერალია, სრული თავისუფლება აღარ არსებობს...

იგივე ავტორი ამბობს, რომ „თვითური პირის თავისუფლება განისაზღვრება თანასწორი თავისუფლებით ყველა ოჯახის წევრთაო“.

ერთი, რომ თუ მე „სრული თავისუფლებით“ ვსარგებლობ, მე „თანასწორ“ (ე. ი. იმდენზე რაც სხვასა აქვს) თავისუფლებაზე მეტს მოვისურვებ, მეტით ვისარგებლებ. ვინ უნდა დამიშალოს? თავისუფლების თანასწორათ დამნაწილებელი ხომ არვინ არსებობს, და თუ ვინმე ჩემისურვილის წინააღმდეგ წავიდა, თუ ვინმე ჩემი თავისუფლება განსაზღვრა და გაანაწილო, მაშინ ხომ ის თავის ძალით იხელმძღვანელებს. ასე იქნება ყოველთვის: ერთი მხარე (უფროსები) მეორეზე უფრო ძლიერია (ბავშვებზე) და საკითხს ყოველთვის ძლიერები გადასწყვეტენ, თავის კუუზე — მაშასადამე აქ თავისუფალი კარა, ისევ ძალდატანებითი აღზრდა გამოდის ერთი სიტყვით ამ-ორიოდე განმარტებით მ. ვენცელი სპობს ყველა თავის წინააღმდეგ დებულებებს და სჭრის ატოტს, რომელზედაც ზის.

ამგვარათ დღეს-დღეობით დისკიპლინის სკოლაში, და თავისუფლების განსაზღვრობაში — აუცილებლად საჭიროა, მიუხდეთ თავისუფალი აღზრდის იდეოლოგია თამარვალე პროტესტისა. აუცილებლად

საჭიროა გარეშე გავლენა, დახმარება და ბრძანებაც კი.

და თუ ეს ასე არ იქნა, უმეტეს შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ უნებო, სუსტ პიროვნებას, თავისი „მე“-ს მონას; მივიღებთ პიროვნებას, რომელიც ვერ გაუძლებს ცხოვრების სისასტიკეს, რომელიც მალე საზოგადოების ხორცმეტად შეიქნება, რომელსაც ვერ დააქმაყოფილებს ვერც სხვა და ვერც თავისი თავი...

ამ პატარა წერილში ვერ განვმარტავ ყველა დებულებას თავისუფალი აღზრისას — ვერ გავარჩევ ყოველი მხრით მის ღირსება-ნაკლულევანობას — ამას ვეცდები შემდეგ, ახლა კი ვიტყვი, რომ თავისუფალი აღზრდის იდეა სასურველი, ნაყოფიერი აზრია დღევანდელ პედაგოგიკაში — და ჩვენც ვალდებული ვართ მომავალი თაობის და საზოგადოების წინაშე ამ იდეის განხორციელებას ხელი შევუწყოთ.

მაგრამ ის მასალა, რომლითაც დღე-

ვანდელი პედაგოგები აშენებენ კარგ საფუძველზე თავისუფალი აღზრდის შენობას — ყოვლად უვარებისა; ის გზა, რომლითაც ისინი მიღიან იდეალის მისაღწევათ, მცდარი გზაა.

ჩვენ დღეს არ შეგვიძლიან ისე გარდავამწათ დღევანდელი ცხოვრების პირობები, რომ თავისუფალი აღზრდის დებულება ეხლავე განვახორციელოთ — უნდა ვიცოდეთ, რომ მონა ვერ აღზრდის თავისუფალ არსებას, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ აღმზრდები არა თავისუფალი, აღზრდილი არ იქნება ეგეთი... ამ გვარათ ჩვენ არ შეგვიძლიან ასე უცბათ უარყოთ ძველი და უცბათვე ახალზე გადავიდეთ: ამის წინააღმდეგია ადამიანის ბუნება და თვით ცხოვრება, მხოლოდ თანდათანობით კი უნდა შემოვილოთ ცხოვრებაში ყოველივე ახალი. ასევე უნდა მოვექცეთ თავისუფალი აღზრდის იდეასაც...

ნიკ. სირბილაძე

სამღვდელოების როლი ომის დროს

III ინაპიროველად ომში წამს ვეჯელთ ჭარის-ქაცებს მღვდელთ-მოძღვრის პირით რეალურ მწიგნობრები გამოუცხადებდენ ასეთს შეღავათებს: „შემართაგანი, რომელსაც სახლი ჰქონდა აშენებული, მაგრამ ვერ კიდევ მოუწევდეთ იუთ, უნდა დაბრუნებულიყოთ სახლში, რომ თმში არ მოეკლათ და მისი სახლი სხვას არ დარჩენდა. თუ ვისმე ვენახა ჰქონდა დარგული, მაგრამ ვერ კიდევ გაზი გაუხსაზებელი იუთ, მისი პატრიოტიზმი უნდა გაძრუნებულიყო შინ, რომ, მისი სიკედლის შემდეგ ბრძოლის ველზე, სხვა არ დაჭპარონებოდა მის ზეას. აგრეთვე არ გაიწევდენ თმში ისეთსაც, რომელსაც ცოლი ჰყავდა „შერთუ-

ლი“ (დაწინდული, დანიმუშლი), რომ „წერაში“ (ВЪ СТРОЮ) არ მოშევრდა რიც და მერმე სხვას არ დაჩერქდა მისი ცოდნი. გარდა ამისა გულ-მედგარი თუ იმ დროს გულ-შუმარი იქნებოდა, არც ის ივარებული საომრად, რადგან თვისის სიმსაფლობით სხევბსაც დაუძლეულებდა“. ამ სიტემის, რომ გაათავებდენ რეალის მწიგნობრები, მერმე დაადაგნდენ ჭარს „მთავარი ერისთავნი და წინამდებლინი“. გამოვიდოდენ მღვდელთ-მოძღვრის და მიმართავდენ შესძების სიტემებით მეომრებს: „როდესაც მიადგეთ რომელი ქალაქს დასაპურობად, პირველ უოვლის ეცა-დეთ შეკიდობის ჩამოგდებას იმ ქალაქის დეთ შეკიდობის ჩამოგდებას იმ ქალაქის

მკვიდრთან და უკეთუ ზავსა და მორჩილებაზე
დაჭებულდნენ, მაშინ იგინი თქვენი მორჩილენი
და მოხარები გახდებიან. უკეთუ არ დაგმორ-
ჩილდნენ და საბრძოლებელად გამოგიწვევენ,
მაშინ „აგრე გადექით და აგრე მოიცევთ“
იგინი „მოსრულ უფლები მამაკაცი მათი მა-
ხვილითა“. მხოლოდ დედები შეიძლებით ურთ,
ცხოველები, უფლებივე, რაიც იპოვოთ ქალაქსა
მას, საცხოვრებელი მათი ტევედ წაიყვანეთ.
დაიმკვიდრეთ წარმართთა ქვევანა, და ერთი
სულ-დგმულიც არ დასტუროთ ცოცხალი იქაო.
მცენარეებს, ხეებს და ხეხილებს სუ დაუკა-
ფავთ მახვილითა, რადგან ნაყოფს გამოიდებს
იგი; ნაყოფი სჭამე. ის ხეკი, რომელიც უნა-
ურთო იყოს, მოჰქვეთეთთა“ (შეორე შვეუ-
ლი, 20).

მღვდელთ-მოძღვრის სიტუაციაში მეომართა
წინაშე თმის შესახებ ნამეტანი სისასტიკე და
ფანატიზმი სჩანს. იგი პირდაპირ ამითბს:
„და არა დაუტეო მას შინა ცოცხალი კრიზის
მშენინარი“ ასეთი წრეს გადასულობა თმის
დროს ებრაელებისაგან აისხნება სარწმუნოე-
ბრივი მოტივით. მღვდელთ-მოძღვარს ამით
უნდოდა და ესხსნა ებრაელები კერძო-თავანის
შცემლების სარწმუნოებით შეცდენიდან, მი-
ღებისაგან. როდესაც დაპურობილი ხალხი
გაიდიოტებოდა ერთბაშად, მაშინ, რასაკირ-
ვებია, შიშის ამის შესახებ ადგილი ადარ ექ-
ნებოდა წარმართობისაგან. ასეთივე ბრძანებაა
ბიბლიის სხვა მრავალ ადგილებში.

ასეთი როდი ეპენა სამღვდელოებას ძველი
ადგილში თმის დროს.

ახლა გადავიდეთ ახალს აღთქმაზე.
ომი საზოგადოთ წინეთ უოფლეთების იურ,
ახლაც არის (სამღროო საერთოშროისო თმშა
უოფლეს დროის მოშვდარ თმებს გადააჭარბა
თვეისის სისასტიკით, ხნივრდლივებით, სითვარ-
თოვით, ასეთს თმს ისტორია არ მოსწრება
ამის მეტს) და მომავალშიც მუდაშ იქნება.
თმის წინადმდებრ სარწმუნოება და სამღვდე-

ლოება უოფელთების იურ, თუმცა მის მოსას:
პრდად გერას აწყობდა. ქრისტიანობა ჰქა-
ბებს, რომ ადამიანს თვისი მოუვასი თვისის
თავივით უნდა უყვარდეს (გალ. 5, 14). ამ
აშ სიყვარულშია შვეული, რომელიც გვასწავ-
ლის მოუვისათვის სულის დადებას, სიცო-
ნლის შეწირვას, (ითანე 15. 13), რადგან
ერთი დმირთი გვეუავს უველას (ეტიმოთ. 2, 5)
და ერთის სისხლიდან ვართ წარმომდგარი
(სიმე მაც. 17, 26). ომი ქრისტეს დროს,
რასაკირველია იურ. როდესაც „მხედრად
გაწესებულებმა“ ჰქითხეს ითანე ნათლი
მცემელს: „და ჩენ რამე ვუთაო“, ითანეში
დაარიგა: „ნუვისა აჯავრებთ, ნუცა ცილსა
შესწავებთ, და გმა გემავნ როჟიც (ჯამაგორი)
თქვენით“.

„ომია ადამიანის ბუნების ღრმად ზნეობ-
რივად გათახსინების მომასწავებული, ერთი
უდიდესი უბედურებათაგანი ქვეუნად“. (მარ-
ჯენესინ. „Христіанське ученіе о нрав-
ственности“, ტომ I, პეტ. 1890,
გვ. 670). „ომია ანთმალია“ (სთლივითვი,
„Оправданіе добра“). თმის წინადმდებ
გამოილაშქრეს მაგ. ესებმა, ლაქტანციმ, აზ-
ბირისი მედიოლინებმა, მენონისტებმა, კვაკე-
რებმა, ტოლსტოიმ, მლეთერმერმა, ელი
შერიტმა, კაბდენმა და სხ. (Богословская
энциклопедия).

რესეთის ეკლესია და სამღვდელოება აშ
ნორმალურ მოვლენად სთვლიდა. დიდი მთა-
ვარი აღვესანდრე ნეკელი თითონ ამთბდა
სამღვდელოების დაცვა-კურთხევით. სამედ-
რო დროშებს სამღვდელოება აკურთხებდა,
თმში გასამარჯვებელ შარკლისებს მღვდლები
ისდიდებ და სხ.

ჩენები სამღვდელოების შესახებ თმის დროს
ასე მოგვითხრობს ჯავახიშვილი: „უდიდესი
უფლებით მოსილი იურ მეფეს შემდეგ დადა
გეზირი, მწიგნობართუსუცესი, მთავარ-ეპის-
კობზი ჭურიდელი. უველაზე უფროს

იყ სასულიერო ჰირი, რომელიც აერთიანებდა უკუღა სასულიერო უწევებათ, მხედრობა ემთხოვებოდა მას, სანამ სამსედრო დროშა არ გადასცემოდა ამირ-სპისალარს. როდესაც კეზირები გადასწევეტდენ ამის გამოცხადებას, ან თუ სახელმწიფოს დაცვას, მშინ უკუგლის მხარეზე გაიგზავნებოდენ შეკრიპტი მხედრების გამოსაწევებად, სამთხოვიზაციოთ და დანიშნულ დროს შეიკრიბებოდა მხედრობა ერთს ალაგს. მეუე ჯარს დაათვალიერებდა და დროშას გადასცემდა ამირ სპისალარს. თუ ჯარს თითონ წინაშძლოლობდა, მეუე, მშინ დროშას მედრობეს გადასცემდა. დიდი კეზირი, მწიგნობართ-უხუცესი კათალიკოსთანა სამიზნედოების წარმოშადგენელიც იქთ“.

სამდვერელოება ამ ნაირად ამის დროს, ე. რ. გაჭირებაში, როგორც უოველთვის დიდს როლს თამაშობდა საქართველოში. ავილოთ მაგალითად თეოდორე მდვერე, რომელმაც მეუე სიკვდილს გადააჩნია, მტერს არ ჩაუგდო სელი, გზა აუხმია მათ, თითონ კი მსხვერპლად შეეწირა ერსა და მეუეს, სასტიკად წაშეს იგი.

ცნობილია აგრეთვე, რომ კათალიკოსს თვითი საკუთარი ჯარი ჭევადა და შეეძლო როდესაც უნდოდა მაშინ გამოეუენა მტრის წინააღმდეგ საორად ისე, როგორც რომის პაპისაც ჭევადა ჯარი. ეჭვს გარეშე, რომ წინააღმდელი სამდვერელოება დიდს გამჭრიასთან იჩინდა დაჭრილ მეომრების მფლობელობაში და მათის ოჯახების მიხედვაში.

ამ უამად ჩვენი სამდვერელოება სადაა? თუმცა ამით თავის თავად ბოროტებაა, მაგრამ რადამც აუცილებელი შეიქმნება, მაშინ სწორების დაცვას და თუ არ გვიწევენ, სრულიადაც არ იჩინებ უნარს, თუმცა ამის ბრალი მათ არ ედებათ საუსებით. თუ „ზემოდან“ არ ბრძანეს, ისე ნაკლებად გამოდიან სამოქმედოთ იგინი. ჩვენში აი რაში გამოიხარისება სამდვერელოებისაკან ამში მონაწილეობის მიღება. მთავრობაში უბრძანა თვის ქვევევრდომ მდგდლებს: „თქვენი მრევლი, რომლიდანაც გაწვევულია ჯარის-კაცები საორად, ან სათაღარიგოთ, საფაშერთ, დრამას არ გადაიხდის და უოველი მდვერე-მოქმედება მათს რჯახებს მუქთად აუსრულოთ“. საუგირეველია, სამდვერება აქ ავტომატიურ მანქანად გამოყავთ, საითაც უნდათ და როდესაც უნდათ მაშინ ამორავებენ თვისდა უნძურად. ის არა სჯობდა მთებართ თავი მდგდლებისათვის, თითონ ემსჯელათ მათ ამ დღიურ ჭირ-ვარამზე და გამოტეანათ თავისთავად დადგენილება. აქ რომ გაიგებდენ მათი მრევლი, რომ გაჭირების დროს ჩვენს სულიერ მამებისაც შესძლებით დახმარებათ; ახლა კი ფიქრობენ თუ არ მთავრობის, ჩვენი მდგდლები ჩვენთვის არაივერს გაიმტებდებოთ. სხვა და სხვა წვრილმან „სმეტების“ განხილვის და დამტკიცებისათვის კი იწვევენ მდგდლებს და ასეთს საკალებებულ დროს კი არა!.. სახეში არა მისაღები თითო როლია სამოწესრიგო სამდვერელოების კრება და რეზოლუციის გამოფინავის ამის გამო.

მღ. კ. ანთაძე.



პოლტიკური შენიშვნები

დეკ. იქნეს გამარჯვება!

(თარგმანი)*)

ქოველივე აზრი, ყოველივე გრძნობა დღეს ევროპის დიდი ომის გარშემო ტრიალებს. მილიონობით რუსეთის მოქალაქენი ეკვეთებიან უძლიერეს მტერს, მაგრამ ის ათეული მილიონებიც კი, რომლებიც სახლში დარჩნენ, ისინიც ჯარის კაცის რუს ხალათში გრძნობენ თავს. ასე ლრმათ მოიცო ომბა ცხოვრების ყოველი ნაპრალი, ასე ძლიერათ საგრძნობი გახადა შორეულ გალაშქრების სიძნელენი და სისხლიან ომის ბელიბალი და, ბოლოს, ასე გაფაციცებით მუშაობს გონება, რათა გამოიცნოს ისტორიული აზრი რუსეთის თავზე დატრიალებულ საშიში მოვლენისა.. რა ძალებმა შეუწყო ხელი გერმანიის მებრძოლ კაპიტალიზმს შესდგომოდა საერთაშორისო სისხლიან ომის უტოპიის ცხოვრებაში განხორციელებას? რა მოაქვს საზოგადოთ კაციობრიობისთვის, რა მოაქვს კერძოთ რუსეთისთვის ამ საქვეყნო კატასტროფას? ძნელი გიმოსაცნობია წინდაწინ, რით გათავდება ჯერ უმაგალითო ეს სამხედრო კრიზისი, რა ძირითადი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები გადაიშლება ევროპის ერთა წინაშე, როცა გაქრება ცეცხლის ალი და გაიფანტება სისხლიან ბრძოლის კვამლი. ძალიან ბევრი საქვეყნო მნიშვნელობის საკითხებს გვისვამს საერთაშორისო დიდი ომი, მა-

გრამ დღევანდელ მომენტისთვის საკმარისი იქნება პასუხი გავსცეთ იმ კითხვებს, რომლებიც განსაკუთრებულის სიმწვავით სდგას ჩვენს, როგორც რუსეთის მოქალაქეთა, წინაშე. ეს კითხვებია—მიზეზები და მნიშვნელობა რუსეთის მონაწილეობისა ევროპის ომში.

ჩვენ ვიცით გარეგანი პოლიტიკური ისტორია მომხდარ ამბებისა, ავსტრიის ულტიმატუმი სერბის მთავრობისადმი სამშვიდობო შუამდგომლობა რუსეთის მხრით, ავსტრიის მთავრობის უაზი, დოპლომატიური მოლაპარაკებანი დიდ სახელმწიფოთა შორის, ორ-ჭოფული ყოფა-ქცევა გერმანიისა და ბოლოს გერმანიის მიერ რუსეთისათვის ომის გამცხადება,—აი ევროპის საომარ ცეცხლი დასაწყისი, იმ ცეცხლის, რომელიც ლამის ყველა სახელმწიფოებს მოედოს გარემოებანი დატრიალდა ისეთის საოცარის სისწრაფით, რომ ეხლა; ვისე დებით რა უკან, საკმაოთ ნათლათ ვხედავთ, თუ რა სუსტ ნიადაგზე ყოფილა დამოკიდებული ევროპის შშვილიბიანობა და რა კარგათ ყოფილ მომზადებული ნიადაგი ომისათვის მთელ დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკურ დამოკიდებულებათა წყალობით.

გერმანიის კაპიტალიზმის ძლიერი ზრდა-განვითარებამ ფრანკ-პრუსიელ ძლევა-მოსილ ომის შემდეგ მოითხოვნებელ მრეწველობისათვის უფრო ფა-

*) ის. შერჩადი „Собр. Миръ“ № 9.

თო ჩარჩოები; ვიდრე გერმანიის შეერთებულ იმპერიის საზღვრები. ცოტა ყოს ყმანის შემდეგ წარსული საუკუნის ოთხმოცდა მეათე წლებში გერმანია ავითარებს ენერგიულ აგრძესიულ კოლონიალურ-პოლიტიკას. ამ გზაზე იგი ყველაზე უწინ ეჯახება ისტორიულ „ზღვათა მეფეს“ ინგლისს და იწყებს მასთან შეურიგებელ ეკონომიურ ბრძოლას. ინგლის-გერმანიის მსოფლიო ბაზარზე მეტოქეობა საკმაოთ არის გაშუქებული მდიდარ სპეციალურ ლიტერატურაში. თუ რა გავლენა იქნია ამ მეტოქეობამ ხალხის ფინანსონობიაზე, ამას ნათლათ გვიჩვენებს ინგლისის ეხლანდელ მებრძოლი მინისტრ კიტჩენერის სიტყვები: მე მას შემდეგ მძულს ნემცები, როცა პირველათ ვიხილე საბაზელი იაფი ნაწარმოები Made in Germany-ის მარკითო. ინგლისის მსოფლიო წატონობას ძირი გამოიუთხარა გერმანიამ და ამიტომაც ომი ამ ორ სახელმწიფოთა შორის დიდი ხანია აუცილებლათ იყო მიჩნეული.

თავის მხრით საფრანგეთიც, რომელიც კიდევ სამოცდა მეათე წლებიდან შესდგა კოლონიათა შეძენის გზაზე, აგრეთვე შეეხება მსოფლიო ბაზარზე დაგვანებულ ქონკურენტს, გერმანიას, როგორც მომაყდინებელ მტერს. უკანასკნელის დაუინებითმა მისწრაფებამ ხელთ ევდო აფრიკა, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთ-შორის უპირებდნენ გაყოფას, გამოიწვია მთელი რიგი ნაციონალურ გრძნობით გამწვავებულ დიპლომატიური კონფლიქტებისა. რეგნშის წყურვილი, ელჩას-ლოტარინგიის დაბრუნების სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა კოლონიალურ კონკურენციის შეტაკების ნიაღაზედ.

რაც შეეხება რუსეთს, როგორც უფ-

რო ახალგაზრდა კაპიტალისტურ მხარეს, კოლონიალურ პოლიტიკის საკითხმა აქ მხოლოდ ამ ბოლო წლებში მოაპოვა სერიოზული მნიშვნელობა. გერმანია თავისი მისწრაფებით საქვეყნო ბატონობისაკენ აქაც იძულებული შეიქმნა თანდათან უფრო მეტი და მეტი მტრული პოზიცია დაეჭირა. ვიღებელის პოლიტიკა ცხადათ იქითვენ იყო მიმართული, რომ რუსეთი მახლობელ აღმოსავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაექანებია, ევროპიდან აზიაში გაედევნა. ამას გარდა—და ეს არის ყველაზე უმნიშვნელესი გარემოება დღევანდელ საომარ კრიზისის ეკონომიურ მიზეზთა გამოსაცნობათ— თვით რუსეთი ვერმანიის მრეწველობამ უბრალო კოლონიის მდგომარეობაში ჩაიყენა. გერმანიის რუსეთთან ეკონომიური დამკიდებულება წარმოადგენს ყველაზე უარეს ფორმას კაპიტალისტურ ეკსპლოატაციისას. გერმანიის გააქვს რუსეთიდან ნედლი საჭირელი; რომ ხელახლათ დაუბრუნოს იგი მას ფაბრიკის სახით. გერმანიასთან ცუდ პოლიტიკურ მომენტში გაკეთებული სავაჭრო ხელ-შეკრულება ნემცების სრულ ბატონობის ქვეშ ამყოფებს რუსეთის, როგორც სასოფლო, ისე სამრეწველო მეურნეობას. ცხადია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზმის უკიდურეს სისუსტის ღრძოს თუ იყო შესაძლებელი.

რუსეთის მრეწველობის პირველივე ცდას თავისი თავისი ნებულ დაყრიბისაგან დასაცავათ აუცილებლივ უნდა გამოეწვია ბრძოლა ეკონომიურ თავისუფლებისათვის, რაც დღევანდელ საზოგადოებაში თითქმის ყოველთვის ხელში იარაღით იჭრება, უნდა გამოეწვია ბრძო-

ლა გერმანიის წინააღმდეგ. ინგლისს და, განსაკუთრებით, საფრანგეთს უთუოდ დახმარება უნდა აღმოეჩინათ რუსეთისათვის, სხვა არა იყოს მარტო იმისთვისაც, რომ რუსეთის ბაზარი მათვისაც სასურველ ველს წარმოადგენს ნებეცთა მრეწველობის დასამარცხებლათ. სულ რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ნებეცბისა და ფრანგების ქარხნებს შორის კონკურენცია რუსეთის სამხედრო საზღვაო „ზავაზების“ გამო დიპლომატიურ მოღავრაკების საგნათ გადაიქცა. ამ სახით რუსეთი იძულებული შეიქნა ეომნა გერმანიის წინააღმდეგ არა მარტო თავისი მრეწველობის განსათავისუფლებლათ, არამედ სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო დამკიდებულების თავისუფლებისათვისაც კი, იმ სახელმწიფოების, რომლებიც აგრეთვე მიისწრაფვიან რუსეთის ბაზრისაკენ.

აი—ძლიერ მოკლეთ, სულ ზერელი განხილვით — ეკონომიკური ნიადაგი დღევანდელი ომისა. საომარი მოქნევა გამოწვეულია ევროპის კაპიტალისტური მეტსისხლიანობით. გერმანიის კაპიტალიზმის ძლევა-მოსილი და სწრაფ ზრდას წანგადაელობა სხვა სამრეწველო ნაციათა ინტერესები. აქ მხოლოდ იარაღს უნდა გაეკატა გამოსავალი გზა იმ ყრუ კუთხითან, რომელსაც მიადგნენ გამარჯვებულნი დაპყრობი მსოფლიო ბაზრისა. აქედან გამომდინარეობს გერმანიის ის ბაზილინინისებური იდეაც მსოფლიო ბატონობისა, რაც ასე სჭრის თვალებს ნებეცთა ერის ფართო საზოგადოებას. გერმანია ეწევა სამკუდრო-სასიცოცხლო ომს, რათა გზა გაუკაფოს ნაციონალურ კაპიტალიზმს. ამავე მიზნისთვის იბრძეინ სხვა ნაციებიც. ცხადია, ასეთ პირობებში სხვა გამოსავალი გზა, თუ არა ომი, არ არსებობდა. ამით აისწნება ის უძლეველი

ძალა და სიღიადე იმ ცეცხლისა, რომელიც ასეთის საოცარის სისწრაფით მოქდო მთელ ევროპას, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისისა და რუსეთის მთავრობაში ყოველი ლონე იხმარა ხაომარ-შეტაკების თავიდან ასაცილებლათ. კერძო პირთა, თუ ჯგუფთა მეტადინებანი სრულებით უღინონი აღმოჩნდნენ უჩინარ ისტორიულ ძალთა სტიქიურ გადმოხეთების წინაშე, იმ ძალთა, რომელიც რკინის უცილებლობით მოქმედებენ იმ საზოგადოებაში, სადაც გაბატონებულია მხოლოდ უწყალო კონკურენცია და წარმოება მოკლებულია ყოველგვარ მიზან-შეწონილ ორგანიზაციას. დღევანდელი ომის შექმნება შეეძლო მხოლოთ ცალ-ცალკე სახელმწიფოთა კაპიტალისტურ განვითარების თვით წინააღმდევობის თავიდან აცილებას, ე. ი. თვით კაპიტალიზმის სრულიად მოსპობას. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ არ დაუსვამს ისტორიის დღის წესრიგში.

არა დანასტიური მოტივებით, არა კურძო პირთა ჟინით და ავანტიურით, არამედ უბედურ გარემოებათა შემთხვევათი თავის მოყრით არის გამოწვეულ დღევანდელი ომი. არა. იგი კაპიტალისტურ ერთა სასიცოცხლო ინტერესებიდ არის წარმოშობილი; იგი აუცილებელ საშუალებაა ბურჟუაზიულ საზოგადოებრ საერთა-შორისო კონფლიკტების გადას ჭრელათ. რუსეთის მონაწილეობაც ამში ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებით, მისი კაპიტალისტურ განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესის აუცილებელ მოთხოვნილება არის გამოწვეული. ამისათვის ღრმა სცდებიან ყველა ისინი, რომელიც ცდილობენ რამე მსგავსება აღმოანონ რუსეთის ესლანდელსა და იაპონია

ომის დროინდელ მდგომარეობათა შორის. მაშინ ომი სრულებით არ ეხებოდა ფართო საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების ინტერესებს; ომის ამა თუ იმ ბოლოს არ შეეძლო ძირითადი ცვლილება მოხდინა სახელმწიფოს საერთა-შორისო მდგომარეობაში; ის არ გვემუქრებოდა არც ეკონომიკური დამონებით და არც ნაციანალური დამოუკიდებლობის დაკარგვით. იაპონიასთან ომის წაგებამ მხოლოდ გაამწვავა ძველი რუსეთის პოლიტიკური წინააღმდეგობანი. სულ სხვა მიშვნელობა ექნებოდა რუსეთის დამარცხებას დღევანდელ ევროპის ომში.

დღევანდელ პირობებში დამარცხებული ქვეყანა, იგივე დაქცეული ქვეყანა იქნებოდა. გათამამებული გამარჯვებული მხარემოითხოვდა ყველაზე უწინ შილიარდობით კონტრიბუციას; სახელმწიფო დაკარგვადა თავისი ტერიტორიის ნაწილს, ხოლო ვილგელმი, როგორც ამას ოცნებობენ წემეცათა შოვინისტები, შეუერთდება გერმანიას ისეთ დიდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რაიონებს, როგორიც არის პოლონეთი და ბალტიის მხარე. ამასთან შესაძლებელია სახელმწიფო დაცვის უფლებათა შეზღუდვის ცდაც, როგორც, მაგალი, საშედრო ფლოტის შემცირების მოთხოვნა და სხ. დაბოლოს, ყველა სავაჭრო ხელ-შეკრულებანი იქნებოდა გამარჯვებულის მიერ ხელ-ახლა გადასინჯული და ნაკარნახევი მისი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით. რუსეთის მწერლობას შეიძლება დაედოს ისეთი პორტილები, რომლებიც არ მისცემენ მას ზრდა-განვითარების საშუალებას, ქვეყანა ჩავარდება გამარჯვებულის ეკონომიკურ მონაბაში და გადაიქცევა მისს საექსპლოატაციო პოლინიათ. გერმანიის რუსეთზე გამარჯვებას შეუძლია მოსპოს პეტრე დიდის

საქმე და ახალ-გაზრდა კაპიტალისტური რუსეთი გადაქციოს ძველ საგლეხო, რუსეთად. და განა შესაძლებელია ეკონომიკურ თავისუფლებას მოკლებული მრეწველობის აყვავება, ძლიერი საზოგადოებრივი ზრდა, და მუშათა დემოკრატიის სწრაფი განვითარება? რა თქმა უნდა, არა. დამარცხებული რუსეთი დიდ ხანს იძულებული იქნებოდა ეთრია დამჭერა და უფერული სიცოცხლე ნახვრათ-აზიურ სახელმწიფოსი და ყოფილიყო კაცობრიობის კულტურული წინმსვლელობის შემაფრენებლად.

არც გონება, არც გრძნობა. ნებას არ გვაძლევს წარმოვიდგინოთ დღევანდელი დიდი ომის ჩვენთვის სამწუხაროთ დამთავრების შედეგი.

ცივილიზაციისა და პროგრესის ინტერესი მოითხოვს. არა დამარცხებულ რუსეთს, არამედ რუსეთს გამარჯვებულს.

II

რუსეთმა უნდა გაიმარჯვოს. ამას მოითხოვს ცივილიზაციისა და პროგრესის ინტერესები. დღევანდელი ომის აურაცხელ მსხვერპლს გამოისყიდის მხოლოთ ის გამარჯვება, რომელიც წინ წასწევს ერს. ჩვენი მოწინააღმდეგენი, ნათლად გრძნობენ რა ამას, სცდილობენ წაართვან ჩვენი გამარჯვების სურვილს მისი იდეიური აზრი. ნემეცუა პოლიტიკურ მოსაზრებით რუსეთის გამარჯვება იგივე კულტურის დამარცხება იქნება. გერმანელთა სხვა და სხვა ჯგუფთა წარმომადგენლები ყოველ ლონეს ხმარობენ ჩაგონონ ევროპის საზოგადოებრივ აზრს შიში რუსეთის წინაშე. გერმანიის ყოფილმა კანკლერმა ფონ-ბიულოვმა, მაგალი, განაცხადა, რომ გერმანია 43 წლის განმავლობაში იყო გშვიდობიანი სახელმწიფო და არასოდეს

არ დაურღვევია სხვა ქვეყნების უფლება-ინტერესები, მაშინ, როცა რუსეთი, ინ-გლისი და საფრანგეთი ამ დროს განმავლობაში სულ აფართოებდენ თავიანთ მიწებს აზიასა და აფრიკაში.

„გერმანია ეხლა იბრძვის კულტურისა, თავისუფლებისა და ხანგრძლივი მშვიდობიანობისათვის და იგი მანამ არ ჩააგებს ხმალს ქარქაში, სანამ სამუდამოთ არ უზრუნველყოფს თავის თავს თავზე დაცუმისაგან. გერმანია გაიმარჯვებს იმიტომ, რომ უნდა გაიმარჯვოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპას ბარბაროსული მდგომარეობა უქადის“.

ომანობის დროს ერთს კაცებიც კი სცდილობენ სითამამის გამოხენას. და ყოფილმა კანკულერმაც, უქმეველია, დიდი სითამამე გამოიჩინა, როცა თავისი ქვეყნის კაპიტალიზმისა და კოლონიალურ პოლიტიკის გახურებული განვითარება მშვიდობიან შინაგან პროგრესათ დაგვინატა. ასეთი განვებ დაბრმავების შემდეგ რა გასაკვირალია, რომ მას დღევანდელი პრუსიელთა გერმანიის დამარცხება თავისი მილიტარიზმით და იმპერიალიზმით ევროპის ბარბაროსობაში ჩაგდებათ. მიაჩნდეს.

მაგრამ პრუსიელთა არა მარტო მაღალ-თანამდებობის პირები სცდილობენ რუსეთის გამარჯვება ბარბაროსობის გამარჯვებათ მონათლონ.

სამწუხაროთ გერმანიის დემოკრატიული წრეებიც კი მოწამლულან გაბატონებულ კლასთა ურუ-რწმენით. ომის წინადღით, როცა ვილგერმი კიდევ ემზადებოდა საომარ ცეცხლის ასანთებათ, ხოლო გერმანიის სოციალისტები იბრძოდენ მშვიდობიანობისათვის, ერთმა ყოფილმა სოციალ-დემოკრატია, გილდებრანდმა, გაილაშქრა ურნალ „Nilte“. ში სოციალ-

დემოკრატების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ რუსეთან ომი. ომის საწინააღმდეგო პროტესტებში გილდებრანდი ხედავდა დოქტრინიორობას და პოლიტიკურ ინსტიტუტის უქონლობას სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელთა მხრით. „არც ერთ მოაზროვნე აღამიანს არ სურს ომი „სწერდა გილდებრანდი— „მაგრამ განა შესაძლებელია დავუშვათ, რუსეთმა თავისი ნება-სურვილი მოახვიოს თავს მთელ ევროპას?—“. სოციალ-დემოკრატების ყოფაქცევა კიდევ იმიტომ ეწვენებოდა გილდებრანდს გაუგებრათ, რომ მარქსის წემდეგ რუსეთი მუდამ რეაქციის დარღვათ და თავ-შესაფარათ ითვლებოდა. რუსეთის ხიფათთან ბრძოლა, გილდენბრანდის აზრით, ძირითად მოთხოვნილებას შეაღებს არა მარტო ნემცებისათვის; არამედ მთელი დასავლეთი ევროპის პროლეტარიატისათვის. უსარგებლო ცდის შემდეგ ომის თავიდან ასაცილებლათ, გერმანიის სოც., — დემოკრატიული პარტია იმავე ნაციონალურ კალაპოტში ჩავარდა. კოპენგაგენის გაზ. „Liste Hyt“ თანამშრომელი, შეეკითხა რა ერთ ცნობილ სოციალ-დემოკრატს შესახებ პარტიის პოზიციისა მოის დროს, თითქოს ასეთი პასუხი მიიღო:

— ჩვენ საზოგადოთ ომის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მომხრე ვართ რუსეთთან ომისა, რადგან ეს იქნება ომი რეაქციონურ წყობილების წინააღმდეგ.

მეტის-მეტ ერთგულებით გატაცებულმა ნემეცთა სოც.-დემოკრატებმა თავიანთ პოზიციის გასამართლებლათ დელეგატებიც კი დაგზავნეს ნეიტრალურ სახელმწიფოებში, სადაც ისინი ხმა-მაღლა აცხადებდენ, რომ გერმანია რუსეთის რეაქციის წინააღმდეგ ეწვევა ომსო.

ეს რუსეთის წინაშე შიში და რუსეთისავე რეაქციის მოსპობაზე ზრუნვა სასაუკილო შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ ევროპის თავზე ტყვიებს და ყუმბარებს არ გაჰქონდეს ზუზუნი და არ იქცეოდეს სისხლი ხალხის ყველაზე უფრო ჯანსაღი და მშრომელი ნაწილისა.

ჯერ ერთი რომ გერმანია იბრძვის არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ, იმ რუსეთის, რომლის შესახებ შეიძლება ყველაუფრის თქმა, ვიდრე ნევის პროსპექტზე მოსეირნე თეთრი დათვებამდე, არამედ დასავლეთ ევროპის უდიდეს დემოკრატიულ სახელმწიფოების — ინგლისის და საფრანგეთის წინააღმდეგაც, რომელთა კულტურა ბევრჯერ აღემატება პრუსიის გერმანიის კულტურას. ომისა და ყველასაგან სასერველი ახლო მშვიდობიანობის პირობები მუშავდება სამთა კავშირის სახელმწიფოების თანხმობით, და არავითარი საბუთი არ აქვს იმ შიში, თითქოს ეს პირობები ნაკლებ შეესაბამება ცივილიზაციისა და პროგრესის ინტერესებს, ვიდრე ის პირობები, რომელსაც მოახვევდა თავს მოწინააღმდეგეთ გაშარჯვებული მტაცებელი და უტიფარი გერმანიის მთავრობა.

უკველია, ძლევა-მოსილი რუსეთის საერთაშორისო გავლენა ამაღლდება, მაგრამ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ, ბიულოვის მტკიცების წინააღმდეგ, ამით ევროპა არ ჩავარდება ბარბაროსულ მდგრადარეობაში, რადგან, სინდის ქვეშ რომ ესთქვათ, ე.წ. „რუსული ხიფათი“ (Русская опасность) ნამდვილათ ერთი პოლიტიკურ მითთაგანია და მეტი არაფერი. ევროპის ერთა შინაური ცხოვრება ისეთ მტკიცე და შეურყეველ ფორმებშია ჩამოყალიბებული, რომ რუსეთის, შედარებით, უფრო სუსტ კულტურას არ შეუძლია რაიმე ძალატანებით გავლენა იქონიოს მასზე. ამას გარდა, ამ უკანასკნელ ოცდახუთი წლის განმავლობაში რუსეთიც ეწეოდა კოლონიალურ პოლიტიკის განვითარებას სხვა სახელმწიფოების მიბაძით, მარა, მიუხედავათ ამისა, ის სრულებითაც არ სცდილობდა სხვა სახელმწიფოების შინაურ ცხოვრებაში ჩარევას, რაც არ შეიძლება ითქვას არც აცხტოდა არც არც, მით უფრო, გერმანიაზე. ერთ თავის მცექარე სიტყვათაგანში ვიღებულმი ომის გამოცხადების შემდეგ სიამაყით იგონებდა თავის როლს რუსეთში 1905 წლის ამბების დროს. ის შზათ იყო ჩარევადა რუსეთის შინაურ საქმეებში. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რა ჯურის იქნებოდა ეს ჩარევა? ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ ჩვენი შავ-რაზმელ ორგანიზაციების მონური დეპეშები გერმანიის იპერატორისადმი, საკმარისია გადავხედოთ ეხლაც გაზ. „რუს, ზნამ.“ რამოდენიმე ნომრებს, რომელიც ამ სისხლის ომის დღეებშიც კი აქებ-ალიდებს პრუსიელთა წესებს და ვილგელმს და გვარწმუნებს, თითქოს მარტო ებრაელებს უნდოდეს ომის გაგრძელება. და აი ყოველივე ამის შემდეგ ნემცები ბედავენ იმის მტკიცებას, რომ ვილგელმი ებრძვის რუსეთის ბარბაროსობას, რომ იგი თავისუფლებას მიანიჭებს დაჩაგრულ ერებს! ვინ დაიჯერებს ამ უაზრო ზღაპარს? ტყუილათ კი არ უპასუხეს იტალიის სოც.-დემოკრატებმა გერმანელ დელეგატის ზიუდეკუმას, რომ გერმანიის მილიტარიზმი ყოველ პოლიტიკურ რეაქციაზე უფრო საშიშარია. ვილგელმის გამარს ჯვება მართლაც რომ შინაური რეაქციის გამარჯვება იქნებოდა დამარცხებულ ქვეყნებში. ცხოვრების ყველა ღრმ-მოქმული ფორმები უწყალოთ დამაგრებულ იქნე-

ლია რაიმე ძალატანებითი გავლენა იქონიოს მასზე. ამას გარდა, ამ უკანასკნელ ოცდახუთი წლის განმავლობაში რუსეთიც ეწეოდა კოლონიალურ პოლიტიკის განვითარებას სხვა სახელმწიფოების მიბაძით, მარა, მიუხედავათ ამისა, ის სრულებითაც არ სცდილობდა სხვა სახელმწიფოების შინაურ ცხოვრებაში ჩარევას, რაც არ შეიძლება ითქვას არც არც, მით უფრო, გერმანიაზე. ერთ თავის მცექარე სიტყვათაგანში ვიღებულმი ომის გამოცხადების შემდეგ სიამაყით იგონებდა თავის როლს რუსეთში 1905 წლის ამბების დროს. ის შზათ იყო ჩარევადა რუსეთის შინაურ საქმეებში. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რა ჯურის იქნებოდა ეს ჩარევა? ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ ჩვენი შავ-რაზმელ ორგანიზაციების მონური დეპეშები გერმანიის იპერატორისადმი, საკმარისია გადავხედოთ ეხლაც გაზ. „რუს, ზნამ.“ რამოდენიმე ნომრებს, რომელიც ამ სისხლის ომის დღეებშიც კი აქებ-ალიდებს პრუსიელთა წესებს და ვილგელმს და გვარწმუნებს, თითქოს მარტო ებრაელებს უნდოდეს ომის გაგრძელება. და აი ყოველივე ამის შემდეგ ნემცები ბედავენ იმის მტკიცებას, რომ ვილგელმი ებრძვის რუსეთის ბარბაროსობას, რომ იგი თავისუფლებას მიანიჭებს დაჩაგრულ ერებს! ვინ დაიჯერებს ამ უაზრო ზღაპარს? ტყუილათ კი არ უპასუხეს იტალიის სოც.-დემოკრატებმა გერმანელ დელეგატის ზიუდეკუმას, რომ გერმანიის მილიტარიზმი ყოველ პოლიტიკურ რეაქციაზე უფრო საშიშარია. ვილგელმის გამარს ჯვება მართლაც რომ შინაური რეაქციის გამარჯვება იქნებოდა დამარცხებულ ქვეყნებში. ცხოვრების ყველა ღრმ-მოქმული ფორმები უწყალოთ დამაგრებულ იქნე-

ბოდა ჯავშნიანი მუშტით. შინაურ და გარეშე ნემეცთა კავშირი, აი—არა გამოგონილი, არამედ ნამდვილი ნემეცური ხიფათი, რომლის წინააღმდეგ დღეს სტიქიურათ იბრძვის რუსეთის ხალხი. ის გარემოებაც, რომ რუსეთთან ერთად გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან ევროპის ყველაზე უფრო მოწინავე ერები, ცხადი დამატების იმისა, რომ ჩვენი სურვილი საომარ გამარჯვების შესახებ არ უნდა იქნეს რეაქციის გაძლიერების შიშით დაჩრდილული. ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას არ შეუძლია პოლიტიკური და კულტურული სიბნელე ჩამოაგდოს ევროპაში.

კარგი—ამტკიცებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი—ესთეთ რომ რუსეთს არ ძალუდს თავისი უკულტურობის დალი დაასვას დასავლეთ ევროპის ცხოვრებას, მაგრამ თვით რუსეთის შინაური ცხოვრება გამარჯვების შემდეგ ხომ უკველათ რეაქციონურ ხასიათს მიიღებს? ზოგიერთი მოაზრენი ისტორიულ კანონსაც კი პოულობენ, რომლის ძალითაც ყოველი ძლევა-მოსილი ომი შინაური რეაქციის გაძლიერებით გვირგვინდება, ხოლო ყოველი დამარცხება—ლიბერალიზმის განვითარებით. აქ საზოგადოთ გვითითებენ იაპონიასთან წაგებულ ომის ცოცხალ მაგალითზე, რომელმაც თითქოს გამოიწვია რუსეთის შინაური პოლიტიკის ლიბერალიზმისაკენ დაქანება. ასეთ მსჯელობაში ერთნაირათ ყალბია, როგორც თეორია, ისე მისი პრაქტიკული გამოყენებაც. არ არსებობს არავითარი ისტორიული კანონი ბეღნიერ, თუ უბეღურ ომების შინაურ ცხოვრებაზე გავლენის გასამარტებლათ. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვირწმუნოთ, თითქოს 1905 წლის პოლიტიკურ რეფორმებზე გადამჭრელი მნიშვ-

ნელობა ჰქონდა იაპონიის ომს. 1812 წ. ძლევა-მოსილი ომი არ დამთავრებულა რუსეთში საზოგადოებრივი რეაქციით, ისე როგორც 1877—78 წ. ომიც. იმავე გერმანიაში 1870 წლის ფრანგ-პრუსიელთა ომს სრულებითაც არ მოჰყოლია რეაქციონური შედეგები, ხოლო საფრანგეთში იმავე 1870 წ. დამარცხებას არ გამოუწვევია თავისთავად დემოკრატიის გამარჯვება, მიუხედავათ იმისა, რომ მონარქია რესუბლიკაზე იქნა შეცვლილი. ომების გავლენა შინაურ ცხოვრებაზე ყოველ კერძო შემთხვევაში განისაზღვრება სხვა და სხვა ნაირათ, იმის და მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება თვითონეული ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი ძალები, ვერავითარი საომარი დამარცხებანი ვერ მიანიჭებენ ქვეყანას თავისუფლებას, თუ თვით ხალხის ფართო მასშაში არ არის მომწიფებული ახალი წეს-წყობილების მოთხოვნილება, ხოლო, პირიქით, თუ ეს მოთხოვნილება არსებობს და ვითარდება, ვერავითარ გამარჯვებას ვერ ძალუდს რეაქციის გაძლიერება. რუსეთის ევროპის ომში გამარჯვებას ყველაზედ უწინ მოჰყვება მისი განთავისუფლება ნემეცთა ეკონომიურ უღლისაგან, რაც, თავისთავად ცხადია, ქვეყანას ეკონომიურ პროგრესისაკენ გააქანებს; ხოლო ეკონომიური პროგრესი ჩამორჩენილ სახელმწიფოებში არა თუ ხელს არ უწყობს პოლიტიკურ რეაქციას, არამედ, პირიქით, მუდამ აჩქარებს ევროპიულ საზოგადოებრივ ცხოვრების გამარჯვებას.

არა რეაქციის სასარგებლოთ ეწყობა ჩვენში აგრეთვე საზოგადოებრივ და ეკონომიურ ძალთა განწყობილებაც. სამხედრო კრიზისი მილიონობათ ითრევს ხალხს აქტიურ ცხოვრებისაკენ; ჯარი, საექიმო დახმარება, სურსათის საქმე, ჯარში გაწ-

ვეულ მეომართა ოჯახების დახმარება და სხ. იწვევენ მთელი შინ დარჩენილი მოზრდილი. მცხოვრებლების დიდ ორგანიზაციებათ შექავშირებას. ევროპის ომის მაშტაბი დიად პოლიტიკურ საკითხების მთელ რიგს უყენებს წინ მიღიონობით ხალხს, რომელიც ასე თუ ისე ჩათრეულია დღევანდელ გარემოებათა მორევში; ამ საკითხების გადაჭრა კი დამოკიდებულია როგორც შეიარაღებულ, ისე შეუიარაღებელ ხალხზე. კიდევ ბისმარკი ამბობდა: „ომი მხოლოდ მაშინ შეიძლება ვაწარმოვოთ, როცა ომის თანახმაა მთელი ნაცია. ომი სახალხო უნდა იყოს. ომი აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს... ახლა წავიდა კაბინეტური ომების დრო. კაბინეტური ომი ვერასოდეს ვერ დაგვირგვინდება გამარჯვებით“. ამ სიტყვების წარმოთქმის დროიდან — ეს სიტყვებიც კი წარმოთქმულ იქნა ორმოცი წლის წინათ — ხალხის შეგნებული მონაწილეობა მმში კიდევ უფრო ცხადი შეიქნა, რადგან ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოთა შევიდობიან ცხოვრებაში. საზოგადო წესად გახდა ევროპის პოლიტიკურ წესწყობილებისათვის. და რამდენათაც დიდ კითხვებს გვისვამს ომი, მით უფრო ახლო მონაწილეობაა ხალხისა საკირო მათ გადასაჭრელათ. ფრიად საინტერესო ფაქტია გამოცხადებული ინგლისის „ლურჯ წიგნში“: გერმანიის ელჩი ვენაში ფიქრობდა, რომ რუსეთი დაემორჩილებოდა ავსტრიისა და გერმანიის მოთხოვნილებას დიად პოლიტიკურ საკითხების მორიგ კითხვებათ გადაქცევის შიშით. „რუსეთი — ეუბნებოდა დონ-ჩირსკი თავის ინგლისელ ამხანაგს — არ იქნება ისე უგუნური, რომ გადაწყვიტოს შეიარაღებული გამოსვლა, რასაც შედეგათ შეიძლება მოჰკვეს მთელი ქარტეხილი — პოლონეთისა, რუსინელთა,

რუმინელთა და სპარსეთის კითხვებისა“. ფონ-ჩირსკის მიერ ჩამოთვლილი კითხვები შეიძლება კიდევ დიდათ და ღიღათ გავაფართოვოთ, მაგრამ რამდენიც უნდა იყოს ეს დიადი და სამძიმო კითხვები, ევროპის ომა ისინი უკვე დასვა და მათ გადასაჭრელათ ჩაითრია ხალხთა მასსა. ჩვენ ვხედავთ, მაგ პოლონეთის საკითხს, რომლის გადაჭრის ძირითადი დებულებანი. აღნუსხულნი არიან რუსეთის ჯარის მთავარ-სარდლის მოწოდებაში; აი, რა მოულოდნელ მიმართულებას აძლევენ ხშირათ ისტორიული ძალთა-განწყობილებანი ძველ პოლიტიკურ დავასაც კი. პოლონეთის სამი ნაწილის შემოერთებას პოლონელები მოელოდენ საფრანგეთისაგან, ავსტრიისაგან და გერმანიისაგანაც, მაგრამ არც ერთი რეალური პოლონელი, პოლონელი პოლიტიკოსი არასოდეს და არავითარ გარემოებაში არ იფიქრებდა, რომ რუსეთი იკისრებდა იმ საქმის განხორციელებას, რაც ბევრს უკვე უიმედო ოცნებათ ეჩვენებოდა. ასეთივე კეთილნაყოფიერი მიმართულება მიიღოს შეიძლება გამოფხიზლებულ და დიადი იდეუებით ფრთა-შესხმულ ხალხის მიერ სხვაც ბევრმა რთულმა პოლიტიკურმა და ნაციონალურმა საკითხებმაც. რუსეთის მიერ ევროპის მმში დასმული საკითხები მეტად მნიშვნელოვანია და მათი გადაჭრაც შეუძლებელია ხალხის აქტიურ მონაწილეობის გარეშე; და ხალხიც იმდენათ დაინტერესებულია ცხოვრების განახლებით, რომ იგი არასოდეს არ ჰყოფს უარს იმ როლს, რომელიც გას წილად ხვდა დიდებულ ისტორიულ ხანაში; ამასთან მას საქმაო მომზადებაც აქვს, რათა თავისი გავლენა მოახდინოს გარემოებათა მსვლელობაზე. სამხედრო მწერლები აღნიშნავენ დიდ განსხვავებას ეხლანდელსა-

და ათი წლის უკანასკნელ რუსის ჯარის კაცთა შრომის. ახლა ჯარში გამოცხადენ სულ სხვა ადამიანები, ინტელიგენტები, რომელთაც აქვთ ინიციატივა და ეხერხებათ პოლიტიკურ გარემოებათა და სამხედრო კომბინაციების შექნებულათ განსჯა-დაფასება. ჩვენი არმიის ასეთი კულტურული ამაღლება პირდაპირი შედეგია მთელი ჩვენი ცხოვრების ძირითა და ცვლილებისა, რომელიც დაიწყო ამ უკანასკნელ ათი წლის წინათ და მას შემდეგ შეუჩერებლად მიღის წინ. ასეთ პირობებში მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ვითომც გამარჯვების შემდეგ რუსთი საზოგადოებრივ აპარიტის მდგომარეობაში ჩავარდება და შეჩერდება თავის შინაგან განვითარებაში. პირიქით, სამხედრო კრიზისის აუცილებლათ დაძლევის საჭიროება მოითხოვს იმოდენა შრომას, ჰერიტაჟის იმდენ საქმეებს, რაც შეიძლება შესრულებულ იქნას მხოლოთ მთელი ქვეყნის ყველა კულტალ ძალთა მეტის-მეტი ამუშავებით, ხალხის ენერგიის არაჩვეულებრივი განვითარებით. ხალხის ენერგიის

გამოცოცხლებასთან კი სრულებით ზედმეტია რეაქციის გაძლიერების შიში. ამიტომაც ყოვლად უაზრო იდეის — ნემეცთა თავდასხმის კულტურულ მისისის შესახებ — ჩვენ თამამათ შეგვიძლია დავუპირდაპიროთ რწმენა ჩვენი საკუთარი ნაციონალური განვითარების ძლიერებისადმი და რუსეთის დემოკრატიის ბრწყანვალე მომავლისადმი, იმ დემოკრატიის, რომელიც ყოველი გარემოებებში ასრულებს თავის პოლიტიკურ მოვალეობას. დიდი ქვეყნის ცხოვრებას არ შეუძლია შეჩერება, არამედ ის როულდება, მოითხოვს დიდ ენერგიას, დიდ აქტივობას, დიდ ლიბერალიზმს...

ჯარის-კაცთა არმია მტკიცე ნაბიჯით მიდის თავის მიზნისაკენ: დაიკოს სამშობლო გარეშე მტერთაგან. მოქალაქეთა არმიაც ასეთივე მტკიცე ნაბიჯით უნდა წავიდეს თავის მიზნისაკენ: მიანიჭოს სამშობლოს ყოველივე სიკეთე თავისუფალ და კულტურულ არსებობისა.

რ. რ—ლი.

ს. აგინეგი. ენის. გუბ.

მოქალაქობრივი მოვალეობა სამშობლოსადმი (გარდამ გელოვანის სამარადის ხსენებას)

... „ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“...
(დიდებული ილია)

I

ქარა, ვისიმე ძალდატანებით ანუ რაიმე იძულებით, არამედ მტკიცე ნებით და სრულის შეგნებით თავის დადება სამშობლოსათვის, ეს უტყუარი ნიშანია პიროვნების დიდებულად განვითარებისა. — ესთდენი უმაღლესი მსხვერპლი მოასწავებს ზნეობრივ უაღრეს ძლიერებას, ყოვლის შემძლებლობას, აღმატებულ თვითშფლო-

ბელობას და საკუთარი ნების უზენაეს თავისუფლებას.

ყველას გულისთვის თავის განწირებულობლოს დიდებისთვის კოცონზე აღტაცებით ასვლა ანუ წმიდა იდეისთვის ჯერზედ ცმა, ეს მარად უკენობი გვირგვინი შეუძლია მიიღოს მხოლოდ უძლიერესად ზნეობრივ განვითარებულმა, თავისუფალმა პიროვნებამ — ზეკაცმა.



გარლამ გელოფანი.

II

კურთხეულ და მარად სახსოვარ არიან
იგი ზეკაცნი, თავგანწირული შამულის
შვილნი და, უფროს დიდებულ და უძ-
ლეველ არს იგი ერი მრავლად მშობელი
ძლიერის პიროვნებისა!.. სიცოცხლის
მაღალი სიმრავლით ესოდენად აღჭურვილს
ერს, რაც გინდ პატარა იყოს იგი ერი,
მტკიცე გარანტია აქვს თვითარსებობისა
და მოპოვებული აქვს სრული უფლება
ეროვნული პოლიტიკური ცხოვრებისა,
ძლიერის თვითბუნების და უნარის მქონე
ერს, რომელიც თავის წიაღში ავითარებს
მდენის საღმერთებელ შვილებს—გაზაფ-
ხული კარს მოსდგომია.

III

დიალ, ბატონებო, სამშობლოსადმი
წმიდა მოვალეობა ბევრს შრომას, ბევრს
მსხვერპლს მოითხოვს! უწინ ქართველთა
მძლავრი ხმა ომში სჭექდა, დევიზად ჰქონ-
და: „ან გამარჯვება და ან სიკვდილი!..“
დღესაც, ამ მსოფლიო ომში რუსებთან
ერთად ქართველობამ დიდად გაითქვა
თვი საკვირველ სამხედრო ნიჭით და
საარაკო გმირობით, მაგრამ მარტოოდენ
ხმალი და გულადობა ვერ შეჰქმნის ერის
სიძლიერეს,—ვერ აღზრდის ვერ განავი-
თარებს ყოველ მხრივ... ხმალი და სიმა-
მაცე ვერ იხსნის დაღუპვისაგან ჩვენ სა-
კვარელ სამშობლოს!..

დღეს ქართველის დევიზია: „ან შრომა და ან სიკვდილი“!.. დიალ დღეს თვითეულ ქართველს წინ გვიდგია ნათლად: ან კულტურული ნაყოფიერი შრომა, ან სიკვდილი სამშობლისი... სცოცხლობს მხოლოდ ის, ვინც კულტურას ჰქმის. და თუ მედგრად არ შრომობ, მაშ მკვდრებში იჩიცხები. მკვდარი ხარ ცხოვრებით, ჰკუა-გონებით, ზნეობით, სულითა და ხორცით!..

IV

„სოფელი ვინ და ერთი კაციო“, გვიკარნახებს ქართული სიბრძნე. მართლაც და განა ვისგან შესდეგება ერი და საზოგადოება თუ არ ჩვენგან. ჰო და ზეციდან კი არავინ არას ჩამოგვიგდებს და ფიანდაზად კი არაფერს მოგვართმევენ! ნეტა თუ ვის ველით, ვისი იმედით ვართ?!. უეჭველად ზექაცობა როდია საჭირო კულტურულ შრომისთვის. შემოქმედობითი უნარი ბუნებითვე თანდაყოლილი აქვს ყველა ადამიანს. და თუ მეც, შენც ამ ნიჭს და ტალანტს მიწაში ვმარხვათ, მცინარენი ვართ, მაშ იცოდე რომ სამშობლოც სულსა ლაფავს... შეიძლება მიპასუხოთ: ე... ე... მე რა შემიძლია, ჩემით რა იქნებაო“. პასუხის პასუხად მეც მოგახსენებთ: —გავიზეპიროთ ზემოდ მოყვანილი ხალხური ბრძნული ანდაზა.—

V

ახა შეხედეთ ჩვენი დროის განათლებულ ქვეყნებს. რითი მიაღწიეს დღევანდელს სიძლიერეს და ეროვნულ კეთილდღეობას, თუ არ მედგარი შრომით, სწავლითა და განათლებით, მრეწველობით, ვაჭრობით, კულტურულ თუ ინდუსტრიულ ყველა დარგის განვითარებით?!. ..

იქ, ევროპაში, შემოქმედობითი ძალა, ცხოველმყოფელი ენერგიის დიდებული ნაკადული რათა ხანია სჩექს და გადმოდის. მეცნიერთა ნიჭმა და აზროუნებამ, ხალხის ტიტანურმა შრომამ და მოქალა ქობრივმა ბრძოლამ დიდი ხანია დააპირევა, დაამხო ძველი კერპები თუ ღმერთები, გადმოყარა იგინი კვარცხლ-ბექფიანდაზებიდან, ხოლო მათი ცრუმორწმუნე ქურუმნი გააძევა უკუნეთში...

თუ მიპასუხებთ „მეც ნახირ-ნახირო“... მეც მოგახსენებთ, რომ არამცთუ ძლიერნი სახელმწიფონი, არამედ ჩვენზედაც უმცირესნი ევროპიელნი ერნი დღეს უკვე ახალს რჩეულს გზას დაადგნენ. იბრძვიან, რომ თავის ხალხს მიანიჭონ მართლაც და საკუთარი ეროვნული სახე, ეკონომიური კეთილ-დღეობა და შესაფერი აღამიანური ყოფა-ცხოვრება. დიალ, იბრძვის პატარ-პატარა ერთა შემოქმედებითი ძალაც თავის პიროვნების და ეროვნების დასაცველად, გასაძლიერებლად.

VI

დღეს მეცნიერების მიზანია განასწავლოს, შექმნას ადამიანი და მთლად ერთვით მომქმედი, სულით და ჯანით სალი და ძრიელი შემოქმედი.

და, იქ, ევროპაში ადვილად მიაღწიეს კიდევ ამ მიზანს, რადგან ყოველი ადამიანი (გარდა ბუნებითი სახიჩრისა ანუ იდიოტისა, რეგვენისა) სიყრმიდანვე მისწრაფის რაიმე შემოქმედობითი ძალა და უნარი გამოიჩინოს, რამე შექმნას ორიგინალური რამ გააკეთოს, მოიმოქმედოს! მეცნიერებას დარჩენია მხოლოდ ერთი: ამ ბუნებრივი კეთილ-თვისებას მისცეს სასარგებლო მიმართულება სამშობლოს საკეთილ-დღეოთ, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა, რომ ბავშვიც ქ

შენებითვე შემოქმედობითი უნარით არის ქავილდოებული, აბა თვალი ადეგნეთ: სულ იმისკენ მიისწრაფის რამე შექმნას, აშენოს, გააკეთოს, თავის ფანტაზიით ჩაღაც შეიმუშაოს, თავის სულის ძრიე-ჭრია შთაპეროს, განასახიეროს, ჩამოა-ყალიბოს, ხასიათი და ელფერი მისცეს.

ამ სწორედ ამ შემოქმედობაშია ადა-მიანის უმაღლესი დანიშნულება, უაღრე-სი კმაყოფილება, უზენაესი სიხარული, სიცოცხლის მიზანი და სიტკბოება.— კლივ ვიტუვით: მხოლოდ ის სცოცხლობს, ვინც შრომობს, თავის ოფლით სცხოვ-რობს, სტკბება და სამშობლოსაც ემსა-ხურება. საბრალოა ადამიანი უკულმართი აღზრდით დასახიჩებული, რომელსაც მა ძალუბს არც თავისი შენახვა და არც მშობლოს სიყვარული, მისი სამსახური. ეს ეშმაკის კერძი სიცოცხლეშივე მკვდა-რია ანუ პირუტყვის გვარია.

VII

ის საზოგადოება, ის ეროვნება ჩაი- ფლება ცოცხლებში, რომელიც თავის წიაღში ანვითარებს სამშობლოს ინტერე- სებით განსცეალულს ძლიერ პიროვნებას, ფიფი მომქმედს, თვით უფალს და ღიღ- ბუნებოვანს, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მშობელი დედა და სამშობლო ერ- თი და იგივეა, იგივე კი არა უფროც სათავეანებელია. ერთს წამს წარმოიდგი- ნეთ, რომ დედა თქვენს განსაცდელი რამ მოელის, აგერ.— აგერ მტრის ხელით იღუპება... თქვენ ნეტა რას განიცდით ამ წუთში!? ნუ თუ თავს არ შეაკლავთ მტერს მშობელ დედის დასახსნელად, მისი სიცოცხლის, მისი პატივის, მისი ღიღების აღსაღენად?— აბა რა ბძანებაა! შეციც-კი ცდილობს დაამსხვრიოს იგი რკინის ყაფაზი თუ გალია, რომელშიაც.

დაამწყვდიეს მისი საყვარელი მშობელი დედა...

დიალ, ბატონებო, ღალუპულია ის ერი, სიკვდილის გზას აღგია იგი ხალხი, რო- მელიც ქმნის და წარმოშობს მონებს, უხასიათო პირებს, ყურ-მოჭრილ ყმებს, სულითა და გულით დაცემულებს, ზნეო- ბრივ გახრწნილ, რომელთაც არა აქვთ საკუთარი მე, თვითნებობა, საკუთარი ინიციატივა, მოკლებულ არიან საკუ- თარი აზროვნების და მსჯელობის უნარს, არა აქვთ არც პირადი და არც ეროვ- ნული თავ-მოყვარეობა.

ყველასათვის ცხადია: ქართველ კაც დედა რო შეაგინოთ—წამსვე თავს შემო- გაკლავსთ... მაშ რამდენათ უფრო ძლიე- რი უნდა იყოს ეს თვით პატიოსანი რაი- ნდობა შეურაც-ყოფილ სამშობლოსა- დმი!!?...

VIII

საღ ხარ შენ ეი! ქართულო თავ-მო- ყვარეობავ? მაშ თავი რაღათ გვინდა ცოცხალი თუ კი „მწველელ ფურად გადვიქცევით“, თუ კი კულტურულ მის- წრაფებაში სხვებს ჩამოვრჩებით!..

დიალ, ღლეს კარს მოგვსტებომია ის დი- დებული ისტორიული ბომენტი; რომე- ლიც მოითხოვს ან შრომას ან სი- კვდილს.— ღლეს საქართველოს სჭირია ახალი. დავით აღმაშენებელი, ძლიერი პიროვნება, მაგრამ არა დავითისებური დილის. ხმლით და მძლავრი მკლავით, არამედ მოქალაქეობრივი თვით მოქმედე- ბით.— ჩვენ გვჭირია შემოქმედობითი ძა- ლა ან ახლა ან არასოდეს. ამ ძალამ უნდა განახოთ ციელოს სამშობლოს პო- ლიტიკური და კულტურული მისწრაფე- ბა, აღადგინოს საქართველოს ისტორიუ- ლი უფლებანი— თავისუფალი ენა, სკოლა.

და ეკლესია. დიდი რეგვენი უნდა იყოს ის ენა-მქანა პოლიტიკანი, რომელიც სეპარატიზმს დაგვწამებს. ესოდენი მცირე ავტონომია, რომელიც გამოიხატება: ავტოკეფალიის აღდგენაში საქართველოს ეკლესიის, ენისა და სკოლის თავისუფლებაში, ნუ თუ ეს ნიშანებს პოლიტიკურ ავტონომიას, რუსეთისაგან განცალკევებას! ჩვენი მოთხოვნილება უდრის მხოლოდ ფართე ზემსტვოს (ერობას). ხოლო რაც შეეხება ავტოკეფალიას, მითომ და, რაშის წარმოადგენს რუსეთის დიდებულ იმპერიისთვის, რომ სომხებს აქვთ თავისუფალი, დამოუკიდებელი ეკლესია—ავტოკეფალია?...

ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ დემოკრატიულმა ცხოველ-მყოფელმა ძალამ განავითაროს ეროვნული ოჯახი, ერის ცხოვრება, კეთილდღეობა. ამ ძალამ უნდა შეიტანოს ცოცხალი ძლიერი ნაკადული სინათლისა ეროვნულ თვით შეგნებაში, მეცნიერება—ლიტერატურაში და სხვა ყველა კულტურულ დაწესებულებაში...

ქართველმა ერმა „უნდა შექმნას თავის მყობადი, მან უნდა მისცეს მომავალი ხალხს“...

IX

ძალა ერთობაშია!...

ჩვენ გვპირია არა ერთი და ორი ზე კაცი, ჩვენ გვპირიან ძლიერნი. მუშაქი, მშობლიური ერის ინტერესების წრფელი ჭირუსუფლები, საქართველოს ახალი კულტურის აღმაშენებელნი.

ჩვენ გვპირია კოლეგიური ზეობრივი ძალა ანუ შტაბი (როგორც ნ. ნიკოლაძემ სთქვა), რომელიც საქართველოს გულში (ცენტრში) აღმართავს

ახალ კულტურის დროშას და მოახდენს ძალთა სრულს მობილიზაციას.

ციდან მანანას და მესსიას მოსვლას კი არ უნდა უცადოთ, მთელმა ერმა უნდა თავი გამოვიდოთ და ძლიერი მხარი უნდა მივცეთ ჩვენში უკვე არსებულ კულტურულ დაწესებულებებს, ზნეობრივად და ქონებრივად ხელი უნდა შეუწყოთ ამათ განვითარებას, აჰეთვებას.

დიალ, ბატონები, ერთობაშია ძალა და გამარჯვება. დავისახოთ იდეალი ეროვნული ძლიერებისა და ვიშრომო ერთგულად და ერთსულად მთელის ჩვენის არსებით, ვისაც რის გაკეთებაც შეგვიძლია:—სოფლის მეურნემ, მუშამ და ხელოსანმა, მრეწველმა და ვაჭარმა, სწავლულმა და მოსწავლემ, ერმა და მღვდელმა, თავადმა და გლეხმა, ყველამ ეცადეთ თქვენი საკუთარი საქმე განავითაროთ, ქონებრივად, ეკონომიურად გაძლიერდეთ, რომ ამით შევიძლოთ სამშობლოს გაძრიელებაც, მისი კულტურული აჰეთვება.—ყველა ჩვენგანმა მოვიტანოთ თითო აგური იმ დიდებულ ტაძრის ასაშენებლად, რომელსაც სამშობლო ჰქვიან და ხელით კი არ იგრძნების.

ჩვენ ზემოთ დავასახელეთ კოლლეგიური ძალიერი ცენტრის ანუ შტაბის და არსების საჭიროება. ამით ჩვენ არ ვებდაგებთ ცენტრალიზაციას, პირიქით ეცენტრი უნდა იყოს საქართველოს მხედრომელიც თავის მადლიანს სხივებს მუქენს მთლად სამშობლოში და ცხოველმყოფელი ძალით ყველგან ააღმოჩინები სიცოცხლეს, ერის უკვდავებას. კოლეგიური დემოკრატიული ცენტრი თავი მადლიანი ხელით დაატრიალებს ერთ ნულ ცხოვრების ჩარხს, ხალხიდანვე მოიწვევს ახალ-ახალ ზნეობრივ და ქონ-

ბრივ ძალებს, აამოძრავებს მუშაյობის-თვის ყველა იმასაც-კი, ვისაც უნარი და შეძლება აქვს შემოქმედობითი შრომისა-თვის და იმავე დროს ინიციატივას კი არის მოკლებული — ხელ-მძღვანელობა კურია.

მაშ, ბატონებო მეტი მხარი და ნდობა ამ ცენტრს!...

X

მხოლოდ ერთი რამ უნდა გვახსოვ-დეს. უწინ, და, უმთავრესად კი ქრისტიანობის მიღების შემდეგ, საქართველოში კულტურა და განათლება ბიზანტიიდან შემოდიოდა, მაგრამ ბერძნებად კი არ გადავჭრეულვართ! ნუ მეტყვით, რომ ზაშინ საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო და ამიტომ ვერ შესძლო ბიზანტიამ ქართველების გადაგვარებაო... .

ბიზანტიის დაცემის შემდეგ აკი ბევრიც შეეცადა (თავიანთ თავის დასალუპ-ჭად) ოსმალეთი და სპარსეთი, მაგრამ მარც ვერ შემუსრეს ქართველის სული, მისი ეროვნული ქრისტიანული კულტურა და ელფერი ცხოვრებისა. — ავად იყო უკარგად მაინც ხომ შესძლო საქართველომ, ხომ მიიტანა მეცხრამეტე საუკუნამდე ვაზის ჯვარი და ბასრი ხმალი. ეს სულ სხვა საკითხია როგორის სტუმარ მოვარეობით შეიფარა რუსეთის მძლავრმა არწივმა თავის ფრთის ქვეშ და როგორ და რითი გაუმასპინძლდა სხვითა ვილებს, ქრისტეს მიერ ძმებს. ანუ როგორ ან რა გვარ ისარგებლეს თავ-შეფარებულებმა მშვიდობიან მფარველობით.

ეს ისტორიულ ფაქტი იმისთვის მოგა-გონეთ, რომ დღეს აუცილებელი საჭი-როებაა საქართველოს გაევროპიანება.

კვლავ ჩვენის მფარველის რუსეთის ძლიერის არწივის ფრთის ქვეშ უნდა შემოილოს საქართველომ ევროპიული განვითარებული კულტურა, ყოველივე დარგი ევროპიულ ინდუსტრიისა, მაგრამ იმავე დროს არ კი უნდა ვანაცვალოთ ევროპას მშობელი ერი, ქართველური სული და პიროვნება. არ კი უნდა გაი-თქვითოს ქართველის სახიერება ევრო-პიულ ერთა ძლიერებაში.

ჩვენი დიდებული წარსული, ბიზანტიური, ქრისტიანული კულტურისა და დღე-განდელი ჩვენი განვითარებული ენა და ლიტერატურა, ყველა ეს და ეროვნული დღევანდელი ძლიერი სიფხიზლე, თავდებია იმისი, რომ საქართველო შესძლებს შეითვისოს, გააქართველოს ევროპიული კულტურა და თანაც ეროვნული ბუნება და სიმტკიცე შეინარჩუნოს, არ დაკარგოს — ქართველი უნდა ქართველადვე დარჩეს!

ილ. ალხაზიშვილი.

P. S. აბა ვეცადნეთ და შემდგ წე-რილში შევადაროთ ქართველების კულ-ტურა: იმ ერების კულტურასთან, რომელიც ჩვენსავით რუსეთის იმპერიაში სცხოვრობენ. დიალ, შედარებითი სტა-ტისტიქა აშკარად დაგვანახებს რამდენად ჩამოვრჩით ჩვენ არამ თუ პოლონელებს, არამედ ლიტოვცებს, უკრაინელებს, ლა-ტიშებს, ფინებს და სხვათა.

ილ. ალხ.



პირველი გაკვეთილები ისტორიიდან^{*}

ჩვენ უურნალ-გაზეთებში ბევრი რამ დაწერილა ქართულ-რუსული ენისა და ანგარიშის სწავლების შესახებ. ავტორები არჩევდნენ სხვა და სხვა მეთოდებს, ეხ-ბოდენ სახელმძღვანელოებს, უკიუნებდენ არა კეთილ-სინიდისიერ მასწავლებლებს. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის სწავლება თანდათან სა-სურველ დონეზე დგება, (სახეში გურიას ვიქენიებ) რუსული ენის სწავლების მე-თოდიც თანდათან მუშავდება და განსვენებულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს შესწორების შემდეგ გარკვეულს ნიადავზე დგება. ანგარიშის სწავლება-კი

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომელიც შეეხება ისტორიის სწავლების ახალ მიმართულებას. შესედულობა და აზრი აუტორისა, რედაქციის აზრით, სწორია, მხსოლოდ ცოტად თუ ბევრად მთკლებულია განუენებულის ისტორიულის აზრის უფრო ნათლად განსილებას; ერთის კულტურული ისტორიის თანდათანხბით შესწავლის დროს წინ უნდა უსწრობდეს ის ცნება, რომ ერთგულ გერმა ადამიანს, ცალკე ჯახს, ხალხს, საზოგადოებას; თესისა, და ტომს და ბოლოს სახელმწიფოებს, ქალაქებს, ადგილებს და სხვას თავისი ისტორია აქვს და ამ ისტორიულ ცნობებს გიძენთ სხვა და სხვა გვარ ძევლი ნაშთებიდან, რომელსაც უველვან სიურთხილით და მოწინებით ეპურბიან; ისტორიულ ცნობებს გვაძლევენ ძველი ნანა გრევები, ციხე-კოშკები, ეკლესიები, ფული, წიბენები, საფლავება, უცხო ძველის მწერლები, მგზავრები, რომელთაც მიმოუვლიათ ჩვენი ქვეყნა და აღწერიათ, მუსეუმები, სა-დაც თავმოურთილია ჩვენი ქვეყნის ძვირფასი

ბევრ სკოლებში ვერ სწარმოებს ხეირ ნად. მაგრამ ამაზე შემდეგ. მე მინდა მითხველი საზოგადოების და ამხანაგ მასწლებლების ყურადღება ამ უამაღ მივაქცი სრულიად მივიწყებულ საგანს—ჩეკეროვნულ ისტორიას. ზედმეტია ლაპარ კი ამ საგნის საკიროებაზე. მაგრამ გვაკი რამე ახალი მეთოდი ამ საგნის სწავლების შესახებ, ან კარგი სახელმძღვანელოები?

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ლიტერატურა ძალიან დარიბია ამ მხრით. 1 კირია განსაკუთრებული ყურადღება კექცეს ამ საგნის სწავლებას დაბალ სკოლებში და გამოინახოს საუკეთესო მეთ

საუნჯენი და თვით ჩვენი მატიანე „ქართლი ცხოვრება“ და სხვ.

საჭიროა ამ ისტორიული ნაშთების დაზღიურება და თვალსაჩინოთ განხილვა; ხოდ გიდრე რომელიმე ერთ ისტორიულს ცხრილებს შეუდგებოდა, მან გაიარა შირველუფა და ადამიანის ხანა. აქ საჭიროა ცნობა იმის თუ, როგორ ცხოვრიბდა ძველად ადამიანი როგორი თავშესაფარი და რარაღები ჭირნდა და სხ. საჭიროა, რომ თვითონ ბაგშეება ამ თებდებ მოდელებს ძველი ბინისა და იარღებისა; საჭიროა აუცილებლად ადგილობრივი სიძველეთა თვალსაჩინოდ გაცნობა, რაც უზრუნველყოფის, გააღრმავებს ხალხის კულტურული თვითონ და წინსვლის იდეას. რასაკვირველია თვისი ერთი ისტორიის შესწავლას წინ უზრუნველყოფის და მაშინ ისეთი შეუწენარებლობის როგორიც დღეს არის, თავისითავად მოისწოდებ.

დები. თუ როგორ სწარმოებს ისტორიის სწავლება ამ უამაღ ბევრს დაბალ სკოლებში მოგახსენებთ: მინახავს რამდენიმე სკოლა, საუკეთესოდ წოდებული, სადაც ისტორიის სწავლება ასეა დაყენებული: მეოთხე განყოფილებაში მოწაფეები იწყებენ რუსეთის ისტორიის შესწავლას. მასწავლებელი მოუთხრობს ბავშვებს „Россия наше“-ს, ან „Восточные славяне“-ს, წაკითხებს მოწაფეებს და ეუბნება: „აბა, ეს კარგად დაისწავლეთ, ძალიან საჭიროა, ისტორიას უამისოდ ვერ შეისწავლით“-ი. მოწაფემ არ იცის, თუ რაა ეს გაკვეთილი, რისთვის სწავლობს, რა მიზანი აქვს ამ სწავლას, მაგრამ იძულებულია „დაისწავლოს“ და აი, მეორე დღეს მოდის სკოლაში და ეუბნება მასწავლებელს რაღაც აბდაუბდას, გაკვეთილად წოდებულს. მასწავლებელიც კმაყოფილება იმით და მიღის წინ. მაგრამ კი არ დაფიქრდება, თუ რამდენი კითხვაა მოწაფეთა გონებაში გამოწვეული, რომელთაც არ ესმის არც მიზანი მათი წვალებისა, არც იცის, რაა „ისტორია“. ეს მხოლოდ შვილი ასოა მისთვის ერთად შეგროვილი. ეს და მრავალი სხვა კითხვა მათთვის საშუალოდ გაურკვეველი ჩეხება, მთელი კურსი ისტორიისა გამოდის უნიადავო, არეული და ბნელი. ასე გადის წელიწადი. „ისტორიისგან“ ნაწვალები მოწაფეები წყებულობენ ქართული ისტორიის სწავლის(!). რა გასაკვირველია, რომ ისტორიის სახსენებელიც კი შესძულდეს მოზარდ თაობას? აი, რა უზარმაზარი შეცდომა უძევს. საფუძვლად ისტორიის შესწავლას ჩვენს დაბალ ორკლასიან სკოლებში, აი რაღიძი პასუხსაგები მოვლენა სრულიად უყურადღებოდ არის დარჩენილი და არავის აღუნიშნავს!

ჩემთვის ამგვარშა გაკვე-

თილმა დიდი გულშემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა და ძალიანაც დამაფიქრა. არ ვიცოდი, არ ვიყავი გარკვეული, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო პირველუ დაწყებითი ისტორიის გაკვეთილები. ეს ფიქრები არ მშორდებოდა და ბოლოს კიდეც დამაინტერესა. მოშაბებინა ისტორიის სწავლების საუკეთესო მეთოდები. საბეღნიეროთ წელს ცოტა თავისუფალი დრო დამრჩა და შევიმუშავე გეგმა პირველ გაკვეთილებისა. მოლოდინი გადაჭარბებულ იქნა, ჩემი გეგმა რაოდენიმე ლირებულებას წარმოადგენს. და, ვვონებ, უადგილო არ იქნება გავუზიარო ამხანაგ-მასწავლებდებს.

აი ეს გეგმაც.

გაკვეთილი I.

1. მოწაფეთაგან შათი კერძო ცხოვრების მოთხრობა სკოლაში მისელის შემდეგ.

2. ელემენტარული წარმოდგენა ისტორიაზე.

უნდა აღვინონო, რომ საზოგადოთ ისტორიის გაკვეთილებზე ფართო აღგილი უნდა ეჭიროს მოთხრობით მეთოდს. გვერდს ვერ ავუკვლით კითხვა-პასუხის მეთოდსაც.

მასწავლებელი აამბობინებს ერთ საუკეთესო მოწაფეთაგანს თავის სკოლაში ცხოვრების ამბავს. მთელი კლასის უზრადღება მიქცეულ უნდა იქნას იმ შიზნისაკეს მისწრაფებაზე, რომელიც საერთოა კუველს მოწაფეში და რომელსაც მეუბრალოდ გაუმჯობესების წყურვილს ვუწოდებ. ამ მოთხრობას რაცდენიშე მოწაფე გაიმეორებს და მთელმა კლასმა უკვე იცის მოკლე ამბავი თავის სკოლაში ცხოვრებისა. ამის შემდეგ მასწავლებელს გადაქვს მოწაფეთა წარმოდგენა უფრო დაშორებულს, განყენებულს ხნაში: ის

მოაგონებს მათ ბავშვის დროს, სანამ სკოლის გარედ იმყოფებოდენ და მოაყოლებინებს მათ ამ ცხოვრების ამბავსაც. ყოველივე ეს მოთხრობები ფუჭი იქნება, თუ მასწავლებელი არ შეეცადა წითელი ძაფივით გაატაროს ამ მოთხრობებში ბავშვთა უმთავრესი მისწრაფება, ამ მისწრაფების მომწიფება. ცნობილია, რომ ყოველ ბავშვთა უმთავრესი მისწრაფებაც იგივე გაუმჯობესების წყურვილია და არა სხვა რამე. და აი, ეს მისწრაფება, ეს წყურვილი უნდა ექნას დედა-ძარღვად, შემაერთებელ სტიქიონად ამ ორი ხანის მოთხრობებს. მასწავლებელიც უნდა ცდილობდეს ეს ბავშვის დროინდელი გაუმჯობესების წყურვილი სკოლის დროინდელ ასეთსავე წყურვილს გადააბას, დაუკავშიროს, რაღაც სკოლაშიაც ისეთიავე მისწრაფებაა და მასწავლებელიც ამ მისწრაფების კარგ ნიადაგზე დაყინებას ემსახურება. ამგვარად გამოდის, რომ სკოლის ცხოვრება განუყოფელი გაგრძელებაა სკოლამდის ცხოვრებისა (ნეტა სინამდვილეშიც ასე იყოს, და არა მოწყვეტილი ცხოვრებას), გამოდის, რომ თვით ცხოვრება წყურვილი და მისწრაფებაა გაუმჯობესებისადმი და სკოლაც ამას უნდა ენაცვალოს, სკოლა საშუალებაა, და არა მიზანი. (არა სკოლას უნდა ენაცვალოს ცხოვრება, არამედ სკოლა ცხოვრებას). ამის შემდეგ მასწავლებელი აამბობინებს მოწაფეებს შეერთებულ ამბავს მათი ცხოვრების ამ ორი ხანისას და ეუბნება: „დაფიქრდით, გახსოვთ თუ არა მთელი თქვენი თავგადასავალი? საიდან შეგვიძლია გავიგოთ ჩევნი თავ-გადასავალი დაბადებიდან მოკიდებული ოთხი ხუთი წლის განმავლობაში? მიიღებს რა ამ კითხვებზე მასწავლებელი საქმარისს პასუხს, მოწაფეებს მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„გამოჰკითხეთ დედას თქვენი ბალობის ამბავი, დაურთეთ თავში დღევანდელ მოთხრობებს და შეადგინე მთლიანი მოთხრობა თქვენი ცხოვრებისა. აი ასეთი „ცხოვრების მოთხრობა“ არის ისტორია. ყველა ჩევნგანს საკუთარი ისტორია აქვს“. მოწაფეები სიხარულით მოეკიდება ამ „ისტორიის“ დაწერას, რაღაც ეს დიდი ინტერესს იწვევს მათში. თვით ცნება „ისტორია“-ს რამდენიმედ შუქი ეფინება და ცოტად თუ ბევრად, ნათლდება მათ წარმოდგენაში.

ამით გავათავებ პირველ გაკვეთილს.

გაკვეთილი II.

1. მოწაფეება ნაწერების მათთან ერთად გარჩევა და შედარება.
2. უველა. მოწაფეება „ისტორიების“ შემაქრთებელ დედა-ძარღვის აღმოჩენა.
3. მთელი კლასის ისტორია თვითოულ მოწაფის ისტორიაც არის.
4. ელემენტურული წარმოდგენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი, უკითხავს მოწაფეებს მათივე ხელით დაწერილ მოთხრობებს, ხაზს უსვამს უმთავრეს სტიქიონს — გაუმჯობესობისკენ მისწრაფებას და შეეკითხება მოწაფეებს: „მე წაგიკითხე თქვენ ამ წუთში ვანოსა და ნიკოს ისტორიები; არის საერთო რამე ამ ორ ბავშვთა ცხოვრებაში? (მოწაფეები, იმ წამსვე დაასახელებენ აღნიშნულ მისწრაფებას). ახლა წავიკითხავ დანარჩენ ისტორიებსაც; (კითხულობს) პპოვეთ რამე საერთო? (ასახელებენ იმავე მისწრაფებას) მასწავლებელი რამდენჯერმე ჩამოათვლევინებს მოწაფეებს წაკითხულიდან, პირად კერძო თვისებებს და საერთო — საზოგადო „მისწრაფებას“, რითაც უფრო არკვევს მათ გონიერაში განსხვავებას „პი-

რადსა“ და „საზოგადოს“ შორის. ამის შემდეგ ჰქონდა ყველა მოწაფეთა საერთო თვისებას, აპკინძავს მათ საერთო თვისებას, აპკინძავს მათ-საერთო მისწრაფებაზე, წაუკითხავს მოწაფეებს და დაეკითხება: „ნიკო, ხედავ ამ წაკითხულ მოთხოვობაში შენ ისტორიას თუ არა? (კი) შენ ვანო? (მეც), ასე შეეკითხება მასწავლებელი მოწაფეთა უმრავლესობას და ყველას დაანახებს, რომ იმათ საერთო მიზანი, მისწრაფება და ცხოვრება ჰქონიათ, რომ ისინი მჭიდროთ შეერთებული შესისხლ-ხორცებული ყოფილან ამ თვისებათა წყალობით, რომ იმათ საერთო ისტორია აქვთ, რომ ისინი პატარა განუყოფელ საზოგადოებას შეადგენენ. ამ დასკვნათა კამოსატანად მასწავლებელმა ძლიერ ურთხილად უნდა გაუკაფოს მოწაფეთ გზა და შემდეგ სრული დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭოს და აცალოს, რათა თვით სცნან და წარმოსთხვან ეს დასკვნები. ამნაირად ჩვენ ხელს შეეუწყობთ მათში აზროვნების განვითარებას. ბოლოს მასწავლებელი მიმართავს მოწაფეებს: „როგორც ჰქონდავთ, ჩვენ გადაჯაჭვული ყოფილვართ ერთმანეთზე საერთო მიზნით, მისწრაფებით, ცხოვრებით, შეუძლებელია ვინმე ჩვენგანის ჩვენს გარეშე განაფომა, ჩვენ გვაქვს ჩვენი პატარა საზოგადოება და უნდა ვეცადნეთ ამ საზოგადოების ცხოვრების გამშვენიერებას. ახლა მითხოვით, სკოლაში მოსვლამდი ვიყავით ჩვენ ერთად თუ არა? (არა) მაგრამ გვქონდა საერთო რამ მაშინაც თუ არა? (კი) მაშ ერთობა და მთლიანობა ჩვენი არსებობდა თუ არა მაშინაც? (კი) დიახ, არსებობდა, მაგრამ ჩვენდა გაუგებად, ჩვენ ამას არ ვხედავდით, აი ამდენად ძლიერია ჩვენი შემაერთებელი ძალა; ახლა მითხარით, სად მოგვიყარა ჩვენ

თავი ამ მისწრაფებამ? (სკოლაში). რა შეექენით ჩვენ სკოლაში? (პატარა საზოგადოება). აი ეს საზოგადოება ჩვენ სკოლაში მისვლისათანავე ვიხილეთ, მანამდი კი ის უხილავად აჩესებობდა. შემდეგისათვის დამიწერეთ ისტორია ჩვენი პატარა საზოგადოებისა და მომიტანეთ“. თუ საკირო დარჩა, მასწავლებელი გეგმას აძლევს მოწარეებს. აი ესეც მეორე გაკეთილის დასასრული.

გაკვეთილი III.

1. საზოგადოებრივობაზე წარმოდგენის გაფართოებება.

მესამეგაკვეთილზე მასწავლებელი ათიოდე წუთს შესწირავს მოწაფეთა მიერ დანაწერის მათთან ერთად გარჩევას, გაურკვევს და გაუშუქებს წინა გაკვეთილებზე მიღებულ წარმოდგენას და შემდეგ ნაბიჯს გადადგამს. მასწავლებელი პარალელს გააბამს მის სკოლისა და სხვა სკოლათა შორის, გააგებინებს მოწაფეებს, რომ ასეთი სკოლა, ასეთი მჭიდრო საზოგადოება მოწაფეთა—მრავალია ჩვენს ქვეყანაში, რომ იმ მოწაფეთა მრავალ საზოგადოებას ასეთივე მისწრაფებანი და თვისებები აქვს, როგორიც ჩვენ, ისინიც იქითქენ მისწრაფვიან, საითქენაც ჩვენ. იქაც ისეთი ბავშვებია, როგორც აქ.

დაისმის საკითხი: „ყოფილან შეერთებული გაუმჯობესების წყურვილით მრავალი ასეთი პატარა საზოგადოება, როგორიც ჩვენა გვაქვს, თუ არა? შეიძლება საზოგადოებიდან გაქცევა ვუწოდოთ იმ მოვლენას, თუ რომელიმე ჩვენგანი ჩვენ ჩამოგვშორდება და სხვა ამგვარ საზოგადოებაში შევა? რატომ არ შეიძლება ეს გაქცევათ ვალიაროთ? (იმიტომ რომ მასში არაფერი არსებითი ცვლილება არ

ომშდარა). შემდეგ მასწავლებელი განა-
გრძობს: „გახსოვთ, როცა თქვენ პატა-
რები იყავით, სკოლაში არ დაფილით,
ერთმანეთს არ იცნობდით, მაგრამ თქვენი
საზოგადოება თქვენდა გაუგებრად არსე-
ბოდდა, რადგანაც თქვენ გაერთებდა გა-
უმჯობესების წყურევილი. აგრეთვე თქვენ
არ იცნობთ სხვა სკოლებში არსებულ
პატარა საზოგადოებათა. მაგრამ მათთან
კი შეერთებული ხართ სამუდამო მისწრა-
ფებით, თვისებებით. მაშ არსებობს ერთი
დიდი საზოგადოება, რომელიც შესდგება
თქვენისთანა პატარა საზოგადოებათაგან.
ჯერჯერობით ჩვენ ამას არ ვხედავთ, ისე
როგორც სკოლაში შესვლამდი არ ხედავ-
დით თქვენს ერთობას, ჩვენ მხოლოთ
გონიერით ვკცნობთ უფრო ფართო საზო-
გადოებას, ვიღრე ჩვენი კლასია. გავა
დრო, ყველა ასეთი საზოგადოება, როგო-
რიც აი ეს ჩვენი კლასია, გაათავებს სკო-
ლას, გამოვა ცხოვრებაში და იქ შეხვდე-
ბიან ერთმანეთს და კიდევაც ხელიხელ
მიცემული ჩაებმიან ახალ საერთო ცხოვ-
რებაში, შექმნიან იმ ფართო საზოგა-
დოებას, რომელსაც მხოლოთ ვგრძნობთ
დღეს. ამ გვარათ, თქვენისთანა ბავშვები
არ იცნობდენ ერთმანეთს. სკოლაში მო-
სვლამდი, მოვიდნენ სკოლაში და ჯგუფ-
ჯგუფათ შეერთდენ, შესისხლორცენ. გა-
მოხვალთ სკოლიდან და თქვენისთანა ჯგუ-
ფები შეხვდებით ერთმანეთს და საბოლოოთ
შეერთდებით ერთ საზოგადოებად. აი ამას
ჰქვიან ერთი მოზარდი თაობა, რომელიც
ერთ მთლიანად აქცია გაუმჯობესების
წყურევილმა და მოუწოდა, რათა საერთო
ძალლონით გაამშვენიერონ თავისი ცხოვ-
რება. მაშ მითხარით, მარტონი ვართ
ჩვენ, თუ ჩვენთან ერთად ჯერჯერობით
ჩვენ გაუგებრად ხელი-ხელ ჩაკიდებულია
სხვა მრავალი თქვენისთანა ჯგუფი? მით-

ხარით, ჩვენზე წინ აღზრდილი თაობა
სად იქნება ახლა? ჰქონიათ თქვენი მშო-
ბლების თაობას თავისი საზოგადოება თუ
არა? თქვენ უკვე იცით, როგორ იზრდე-
ბოდა და ეწყობოდა თქვენი ახალი თაო-
ბა, საინტერესოა ვიცოდეთ, თქვენი მშო-
ბლების უკვე ძველი თაობა როგორ-ლა
იზრდებოდა და ეწყობოდა? გამოკითხეთ
საჭირო ცნობები მათ და დამიწერეთ,
როგორ იზრდებოდა და ეწყობოდა თქვე-
ნი მშობლების (ძველი) თაობა? ეს იქნე-
ბა ძველი თაობის მოკლე ისტორია. თქვე-
ნი (ახალი) თაობის ისტორია უკვე იცით“.
თუ საჭირო იქნება, მოწაფეებს სამუშე-
ვარის გეგმა ეძლევა.

ამით დაბოლოვდება მესამე გაკვეთილი.

გაკვეთილი IV.

1. ჩვენი თაბის ისტორია ჩვენი დედ-
მაშის თანაბის ისტორიის გაგრძელებაა.
2. განსხვავების ადმინისტრაცია.
3. ამ განსხვავების გაუმჯობესობისაგენ
მისწრაფებით ასწნა.
4. პირველი ცნობა შთამშობლობაზე და
მის ისტორიაზე.

მეოთხე გაკვეთილზედაც ჩვეულებრი-
ვად რამოდენიმე წუთს ნაწერების მოწა-
ფებითან ერთად გარჩევას შეესწირავთ.
მასწავლებელს მიზნად უნდა ჰქონდეს
დასახული ძველი თაობის ისტორიაშიაც
ხაზი გაუსვას და აღმოაჩინოს იგივე სტი-
კიონი გაუმჯობესებისაკენ მისწრაფებისა,
ხაზი უნდა გაუსვას და გაარკვიოს, თუ
როგორ და რა სახით ხდებოდა ეს მაშინ
და ახლა. უნდა შეადაროს ძველი და ახ-
ლი მიმდინარეობა ცხოვრებისა და შეეკით-
ხოს მოწაფეებს: „როდის უფრო კარგად
იყო დაყენებული თაობის მომზადება და
საზოგადოება: ჩვენი მშობლების თაობის
დროს თუ ახლა? (პას. ახლა) ვინ ამიხს-

ნის: რატომ? (პას. იმიტომ, რომ ჩვენ გაუმჯობესებისაკენ მივისწრაფვით და აკი გავუმჯობესდით) ის, რაც კარგი და სასარგებლო გამოცდილება შეიძინა და დაგვიტოვა ძველმა თაობამ, ჩვენ გადავაგადეთ თუ გამოვიყენოთ? (გამოვიყენიეთ). მაში მითხარით, ჩვენ თავიდან დავიწყეთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა თუ დავეფუძნეთ ძველი თაობის გამოცდილებაზე? ჩვენი თაობის ისტორია ყოფილა თუ არა ძველი თაობის ისტორიის გაგრძელება? აგრეთვე ამ ძველი თაობის ისტორიის გაგრძელება? აგრეთვე ამ ძველი თაობის ისტორიის გაგრძელება? გვინდინ მოსთვლის, რამდენი თაობა არსებობდა ჩვენამდის: ჩვენი წინაპრების, ჩვენი პაპის და პაპისპაპების თაობასაც იგივე წინსვლის წყურვილი ჰქონდა, იგივე გაუმჯობესების მისწრაფება ჰქონდა, რაც ჩვენა გვაქეს, ისევე ცდილობდა გაემშვენიერებინა საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ჩვენ ვსცდილობთ და უნდა ვეპარნეთ, და უნდა ვსთქვათ, რომ მრავალი სასარგებლო გამოცდილება დაგვიტოვეს და გაღმრგვეს, ყოველი შემდეგი თაობა თავის ცხოვრებას ამ ძველთავინ ნაანდერძევ გამოცდილებაზე ამყარებდა. ასე ვიქცევით ჩვენც: ის, რაც შექმნა ჩვენმა შთამომავლობამ, (უთვალავმა თაობამ) ჩვენ გამოვიყენოთ. საძირკვლად და მივალთ წინ, რათა უფრო გავუმჯობესდეთ და უკეთესი საძირკველი გადასცემი მომავალ თაობას. აი რა ყოფილა მაველი შთამომავლობის მიზანი, მისწრაულება „. მოწაფეებს ეძლევა დასაწერად მოკლე ისტორია შთამომავლობისა შემდგის წინასწარი გეგმით: 1. ძველის-ძველ თაობათა ცხოვრება და მისწრაფება გაუმჯობესებისადმი. 2. გამოცდილების შექმნა. 3. ამ გამოცდილების შემდეგ თაო-

ბაზე გადაცემა. 4. თაობათა მუშაობა და გამოცდილების ზრდა ჩვენს დრომდი. 5. რაზე დავეყმარეთ ჩვენ და რა გვინდა შექმნათ.

აქ გავათავებ მეოთხე გაკვეთილს.

გაკვეთილი V.

1. თვით-არსებობის დაცვის აუცილებლობა.
2. სხვა და სხვა ნათესავ შთამომავლობათა შექრთება და მტრებთან ბრძოლა.

3. დახლოება და შესისლებრცება შთამომავლობათა.

4. ქართველი ერი.

ვარჩევთ მოწაფეთა მიერ დანაწერ „ისტორიას“ და ხელმეორეთ მოკლეთ აღვნუსხავთ შთამომავლობათა განვითარების გეგმას. ამის შემდეგ მოწაფეებს განუმარტავენ, რომ არსებობდა არა ერთი, არამედ რამდენიმე ნათესავი შთამომავლობა. ეს შთამომავლობანი ჩვენს ქვეყანაში დღემდისაც მოწეულან და სცხოვრობენ. ასეთია: გურულები, მეგრელები, იმერლები, ქართლ-კახელები, რაჭველები, სვანები, აჭარლები და სხვ. ძველად ეს შთამომავლობანი ცალკ-ცალკე ეწეოდა ამაღლორძინებელ მუშაობას და ჰქონდა საკუთარი (თუმცა ერთმანეთის მზგავსი) ისტორია. მაგრამ შემოსევია საშინელი მტერი და მოუნდომებია ამ შთამომავლობათა აღვა და თვითონ დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ხსნებული შთამომავლობანი უხსოვარ დროიდან შეერთებულან და საერთო ძალით უწყიათ მტრებთან ბრძოლა, უძლევია მტერი და შესდგომია საერთო ამაღლორძინებელ ეროვნულ მუშაობას. ეს შეერთებული შთამომავლობანი ღროს განმავლობაში შესისლებორცებულან და შეუქმნია ქართველი ერი. აი ამ დროდან იწყება ქართველი ერის ის აზრით ული ცხოვრება. ამ

უხსოვარ დროიდან ეწევა საქართველო მძიმე შრომას და იქმაყოფილებს თავის გაუმჯობესების წყურვილს, შრომობს და იბრძეს ბეღნიერ მომავლისათვის *). ამ შრომას, ამ ბრძოლას უანდერძებდა ის თავის ყოველ ახალ თაობას და ი, მრავალმა ძვირფასმა გამოცდილებამ და ცოდნამ, რომელიც გაუმჯობესებას ემსახურება, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას, ჩვენამდის მოაღწია. ჩვენ წარმოვადგენთ ქართველი ერის ახალ თაობას, ჩვენს ხელთ არის ჩვენი წინაპრებისაგან ნაანდერძევი ძვირფასი საგანძური, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით ქვაკუთხედათ უნდა დაედას ჩვენს წინასვლას, რომელსაც ჩვენ უნდა მივუმატოთ რაიმე ღირებულება და მომავალ თაობას გადავცეთ. როგორც სჩანს, საქართველო იბრძოდა და სცხოვრობდა ბეღნიერ და სახელოვან მამულისათვის, ჩვენც ამავე მიზნებით გატაცებული ვეწევით შესაფერ მუშაობას. აუცილებელი საჭიროა დაწვრილებით შევისწავლოთ: რა იყო ჩვენი წარსული, ე. ი. რისთვის და როგორ სცხოვრობდა ქართველი ერი, რა არის ჩვენი აწმუო, ე. ი. რას წარმოვადგენთ დღეს და საითქმნ მივისწრაფვით, და შემდეგ უკეთ გავარკვევთ, თუ როგორი მომავალი მოვციტანს ბეღნიერებას და რა გზით უნდა მივაღწიოთ ასეთ მომავალს.

*1) ქართველი ერის ისტორია დღევანდელ საშუალებანდან კი არ იწევბა, არამედ უფრო გვიან, იმ დროდან როცა ჩვენი წინაპრები ჭერ კადგი ქალდეაში ცხოვრობდნენ და იქიდან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თანდათა დამეგიდონდენ დღევანდელს. სამშობლოში.

რედ.

ამ გაკვეთილზე დიდი ადგილი უჭირავს მასწავლებლის მოთხრობას. ეს მოთხრობა ძლიერ ცოცხალი და გონების მომტაცი უნდა იყოს, რათა მიიპყროს საერთო ყურადღება და დააინტერესოს მოწაფე. დასასრულ მასწავლებელმა წინასწარ მომზადებული კითხვების საშუალებით უნდა გამოიკითხოს მოწაფეებს ყოველივე გაგონილი და მით გაკვეთილიც გათავდება. შემდეგი გაკვეთილი ყოველივე გავლილი მასალის გამეორებას და გადათვალიერებას უნდა მოვანდომოთ და მხოლოდ შემდეგ, გადავიდეთ სახელმძღვანელოზე. მაგრამ მარტო სახელმძღვანელოზე დამყარებაც ზარალს მოიტანს. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ისტორიის კურსი ერთ განუწყვეტილ ძაფს—დედა-ძარღვეს უნდა წარმოადგენდეს. ეს დედაძარღვი—როგორც ზევით აღვნიშნე, ქართველი ერის გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფებაა და ი, ამაზე უნდა აიკინძოს მთელი ჩვენი წარსული. სახელმძღვანელოებში კი ბევრგან გაწყვეტილია ეს ძარღვი და ი, სწორედ ასეთ აღილებში უნდა ვეცადნეთ რამე ნაირად ამ ძარღვის გამთელებას და შეცდომა და ბუნდოვანება ავაშორონ ნორჩ მოწაფეებს, უნდა გვახსოვდეს; რომ ეს შეცდომა მთელს ცხოვრებაში გაჰყვება მას, ექნება საზოგადო ცხოვრებაზე ბნელი და არეულ წარმოდგენა. როცა ისტორიის შეწავლას წინ ასეთ გაკვეთილებს წავუმძღვარებთ, ჩემის აზრით ამით ხელს შევუწყობთ მოწაფეთა გონებაში ჩანერგვას ჩვენი ერის ისტორიის გეგმისას, მისი ისტორიის ევლილუციისას. ეს თესლი იქნება უტყუარი და შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს.

შასწ. ა. დობორჯგინიძე.

მე და ქართველი მაჰმადიანი

პეტერე კოშევ

(გუმბათი ჭაიდარბეგ აბაშიძე)

გვეცან ქართველ-მაჰმადიანსა
სახემოწყენილს, დაღონებულსა,
დარბაისლურის ქართულით მეტყველს,
წითელის ფესკით დაშვენებულსა.
დიდს ხანს ვიმგზავრეთ ერთათ რკინის
გზით,
ცლაპარაკობდით ამ მთის; იმ ბრისას,
შევეხებოდით სამშობლოს აწყოს,
ვიტყოლით ამბებს წარსულ დროისას.
იმის სახესა აჯდა ბეჭედი
შეგნებულ კაცის გულისა დარღის:
ალბად აწყოლით გულ-გატეხილსა
სულს უღელვებდა ფიქრი მყობადის.
ისიც შევატყე, რომ რაღაც იჭვით
მისი არსება იყო მოცული,
და მე, ქრისტიანს, სისხლით თვისს მოძმეს,
არ გაღმიშალა სავსებით გული;
თუმცა გამიტყდა გული მის იჭვით,
მაგრამ განვაგრძე კვლავ საუბარი:
— „დიდებულია თქვენი სამშობლო
და კურთხეული მისი მთა-ბარი;
დაბრძანდებოდა იქ თავის ფეხით
თვითონ უკვდავი მეფე თამარი,
ვისაც შავშეთი ქებას უძღვნიდა,
და შეამკობდა რუსთველის ქნარი.
შავის ზღვის ნაპირს დაუკავშირა
თვისი ქვეყნისა მან მომავალი.
შეტად უყვარდა მას თქვენი მხარე,
მასზე ეკირა მოწყალე თვალი.
აღაშენა იქ ციხე-კოშები,
დიდი სასახლე, ბევრი ტაძარი;
წყლებზე გამართა მკვიდრი ხიდები,
მით ჰყო თვის თავი დაუვიწყარი.
ბრძანა: შავს ზღვასა ნუ განშორდებით,

მის ნაპირს იყავო დამკვიდრებული,
და იმის ზვირთებს დაქ ესმოდეს
მუდამ რუსთველის ტკბილი ქართული.
თქვენში ღვიოდა ძლიერი ცეცხლი
ძველად ქართული ეროვნობისა,
და აშუქებდა მთელ საქართველოს
იქიდამ სხივი მწიგნობრობისა.
მაგრამ უმტყუნა მას უამთა ბრუნვამ,
შავმა დრომ ჩასუა გულში მახვილი:
წემოესია საქართველოსა
ოსმალთა ჯარი ძლევა-მოსილი,
საერთო დედის მკერდისა მოსწყვიტა
აჭარის მხარე და ქობულეთი,
ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი,
შავშეთ-ლიგანა და ერუშეთი.
ცეცხლით, მახვილით და მუქარითა
აღმოფხვრა იქ მან იესოს სჯული;
ქრისტეს გულისთვის ოსმალთა მიერ
მრავალი იქმნა ტანჯულ-გვემული.
მოსწყდა ეს მხარე საქართველოსა,
გადაეფარა სუღარა ბნელი...

ღლე ღლესა გაჟყვა და ღამე-ღამეს
კვირე-კვირასა და წელსა-წელი.
ოსმალთა ხელში—მესხ—აჭარელებს
გადაავიწყდათ თვისი წარსული;
ბევრს დაავიწყდა ქართული ენაც
და მამა პაპის ღამე-არგა სჯული.
ღლეს აღარ ახსოვთ იგი გმირები,
რომელთ მათს დაცეს შესწირეს თავი,
უამთა ტრიალმა იმათს ხსოვნასა
გადააფარა ზეწარი შავი.

აღარცა სკოლა, აღარცა წიგნი,
აღარცა რუსთველი, არც მთაწმინდელი,
გზა დაბნეულმა თქვენმა ქვეყანამ

განათლებაზეც აიღო ხელი...

მთელი არსებით, სულით და გულით
დაემორჩილენ იქ მაჲმალის სჯულს,
არარა სწამდათ ლოცვის გარეშე,
იმით იტკბობდენ დაავადებულ გულს.

ბედის წყალობით ჩვენთან დაბრუნდით;
ვპოვეთ ჩვენ ძმები დაკარგულები,
და დღეს მას ვნატრობთ, რომ ზეამალლ-
უმეცრებითა დატანჯულები; დეთ
რომ ცოდნის შუქით შავი ბურუსი
მოშორდეს თქვენსა ჭკუა-გონებას, [შირს
რაც ხელს უშლიდა თქვენს ჩვენთან კავ-
და საღს ეროვნულს თვითშემეცნებას.

ხედავთ იღვიძებს ქართველი ერი,
ესწრაფვის სწავლა-განათლებასა,
აარსებს სკოლებს, ბეჭდავს წიგნებსა,
იუმჯობესებს თვისს ცხოვრებასა,
აქვს გაზეთები, აქვს თეატრები
სამშობლო ენის მასაზრდოებლად,
ხალხში სათეასად კეთილ აზრების
მისი ზნეობის აღსამალლებლად.

დღითი დღე ქართველს ქრისტიანებსა
ემჩნევა წინსვლა-განვითარება,
და მისს უდიდესს ნაწილს, მშრომელ
ეტყობა გათვითუნობიერება... [ხალხს,
ვერა რა ძალა ვერ შეაფერებს
აზვირთებულსა ერის შეგნებას,
თვით ტანჯვათ შორს გზასა გაიკვლევს
და მისცემს ერსა ბეღნიერებას!..

უბედურია შხოლოდ ის ერი,
ვისაც ზნელი აქვს თვისი გონება,
არ სჭვრეტს მსოფლიოს ზოგადს ცხოვრებას
და უგზო-უკვლოდ დაიარება.
შესძულდათ ქართველ ქრისტიანებსა
ძილი... ქეიფი და მცონარება...
მათში იყიდებს თანდათან ფეხსა
შრომა და კეთილგონიერება...
მოდით თქვენც, ძმებო, და ჩვენთან ერთად
სწავლა ცოდნასა ჩასჭიდეთ ხელი,
ღრმა ძილისაგან გამოიღვიძეთ,

თორემ მოგელისთ მყობაღი ზნელი,
როს მოისპობა თქვენი ხსნება,
აღიგვის სოფლით თქვენი ცხოვრება,
სამოთხის მსგავსი თქვენი ქვეყანა
სამკვიდრებელად სხვასა დარჩება.

და გან ქარდება მასში სამუდმოდ
რუსთაველისა ტკბილი ქართული,
დაიკარგება თამარის ხსოვნაც,
თქვეცს მიწა-წყალთან შეერთებული.
მაშინ ხომ ძვალნი მამაპაპების

ღიღ საყვედურით მოგიხსენებენ,—
მათნი აჩრდილნი დალვრემილები
თქვენსა სახელსა შეაჩვენებენ...
ცოდნა გიხსნის თქვენ შავი ხვედრიდან,
სწავლა მოგიძლვნით თავისუფლებას,
თქვენს აზროვნობას სხვა საგანს მისცემს
ძირითად შესცვლის თქვენსა ცხოვრებას.
გულით მოგვენდეთ, თქვენ წინა დავფენთ
რაც გვაქვს გონების სამკიდრებელი,
ამმაღლებელი ცათამდე სულის

და კაცის ჭკუის მსაზრდოებელი.
გაიცნობთ ჩვენი ქვეყნისა წარსულს,
მრავალ წამებულს იმის ცხოვრებას,
ქართულ მწერლობის ძვირფას საუნჯვა
და იგრძნობთ ღიღსა ბეღნიერებას.

მომეცი ხელი... ნუ მერიდები
მე ქრისტიანსა მაჲმადიანი,
არ გიღალატებ როგორც ღვიძლს ძმას
ისე მიმიღე, ვით შენიანი.

შენ შენი სჯული, მე ჩემი სჯული,
სჯულის სხვაობა ვერ შეგვიშლის ხელს
ის ვერ შემუსრავს სისხლით და ენით
ჩვენის ერთობის ჩადგმულს საძირკველ
კარგა ხანია სჯულმა დაჲკარგა
თავისი ძველი მიმზიდველობა,
თვისი აღვილი ცოდნას დაუთმო
და მას გადასცა თვის პირველობა!
ცრემლი გადმოსკდა ცოცხალ თვალთაგ
ახლად გაცნობილს მაჲმადიანსა
და სთქვა: „დავრწმუნდი, რომ გავეც

ქართველს შეგნებულს, დინჯს ჭე კევიანსა. რაია სჯული?! სისხლი ერთი გვაქვს, ერთი გვაქვს ტკბილი ქართული ენა, ერთი გვყოლია ჩვენ წინაპარი, ერთად ვყოფილვართ ძველს დროში ჩვენა ერთსა ტაფაში ძმურად ვხრა კულვართ,— და გაგვიყვაი ლხინი და ჭირი; ბოლოს ქართველი ერის დაყოფამ გიმოუთხარა ჩვენს ყოფას ძირი!! განა არ ვიცით, რომ ქართველნი ვართ, სისხლით, ენით და ჩამომავლობით... და სჯული მაჰმედ ფელამბარისა დამყარდა ჩვენში ძალის ძალობით?! თამარის ენა, ქართული ენა, ეს დღეს ჩვენშია ყველასა სჯერა, არ მოისპობა უკუნისამდე, თუნდ გაგვიცუდდეს ჩვენ ბედისწერა. ვინც დაივიწყა დროთა ბრუნვისგან თვის მშობლიური ენა ქართული, კვლავ შეისწავლის ამავე ენას, ქართველებისკენ გაუსწევს გული... დღეს გვსურს ვისწავლოთ ქართული ენა და შევითვისოთ წიგნი ქართული, დაუკავშირდეთ ქრისტიან ქართველთ

მით აღვიმალლოთ სული და გული. აღარ გვსურს ვიყოთ გზა დაბნეული, არცა თათარი, არცა ქართველი, არცა ამ ბარის და არც იმ მთისა, და გარს გვეხვიოს სუდარა ბნელი... შევიგნეთ დღესა, რომ ქართველნი ვართ, მაჰმადიანი მხოლოდ კი სჯულით, და ქრისტეს მოსავს ჩვენსა მოძმეებს მივესალმებით სულით და გულით. და ამ შეგნებას ჩვენს არსებაში ჩაქსოვილსა და ფესვებ გადგმულსა, ვერარა ძალა ველარ შემუსრავს საშვილიშვილოდ გამტკიცებულსა... და ამ შეგნებით შევაკავშირებთ წარსულს, აწმყოსა და მომავალსა, უშიშრად ვხვდებით ხვალინდელს დღესა და ცხოვრების თავგადასავალსა!..“ ეს სთქვა... ერთმანეთს გადავეხვიეთ შვილნი ერთისა დედის ქებულის, და გვისხურებდა ორივეს ღაწვებს ცრემლი ნუგეშის და სიხარულის!

ილია ჩხერიმელისპირელი.

1914წ. 20 ივლისს.

წმიდა პავლი

(აკაკი ხსოვნის)

შუქურა რომ ერთ წერტილზე ცას მიჰკვრია და კიანთობს, ცეცხლით ნაქსოვ ოქროს სვეტსა ერთ ადგილას მიწას ასობს, საცა დაკერის მთის ნიავი და ქვეყნისა ამბავთ ამბობს, საცა ბულბულს ვარდის ეშხი ვნების ცეცხლით წვავს და ათბობს,

იმ ადგილას, ყვავილთ შორის, ხალხის ქნარი ასვენია, სიმთა მისას ამა სოფლათ ცრემლი სისხლათ დასდენია. ასვენია... და მას დაჰგლოვს, მაზე მოთქვემს არე-მარე: „დაილურბლა სამშობლოს ცა, ჩაესვენა მზე ბრწყინვალე“. სან. გურული.

გ ლ ღ ვ ა

(ს ე კ ი ს გ ა რ დ ა ც ე ფ ა ლ ე ბ ა ს გ ა მ თ)

ქხევ, დაბნელდი, ნუ ჰეთენ სხივებს ჩემს სამშობლოს წამებულსა, გლოვის ძაძით შეიმოსე, საქართველოავ, ცრემლი ჰლვარე; აქეითინდი კვლავ სამშობლოვ, ცას ამინე გლოვის ხმები, ერის დრტვინვას შეუერთე შენი მოთქმა, კვნესა მწარე.

საქართველოს დიდების მზე ჩაესვენა, აღარ ნათობს, ერთი მსხვერპლი შეეწირა კვლავ სამშობლოს საკურთხეველს; სიკვდილისა შავ ყორანმა კვლავ დასჩავლა ბელკოულ მხარეს, ვინ მოჰყინოს შვება-ლხენა ერს, შავბეღში ცრემლის მფრქვეველს?

გარდიცვალა... და ეს სიტყვა გლოვის ზარად გარს გაისმა, ნისლ-ბურუსში გაეწვია საქართველოს მთა და ბარი; მაშ იტირე, ერო, შვილი სწორუბოვარ ღირსეული და მტკვრის ტალღებს შეუერთე მწუხარების ცრემლის ლვარი.

შეც მომიკლა კაეშანით გული მშობელ ერის ბედმა, მხიარული ქნარის ედერას ჩავაქსოვე გლოვის ჰანგი; მშობელ ერთან მეტა ვგლოვობ, მგოსნის კუბოს მეტ დავსტირი, და სამშობლოს დანაკარგსა მოსთქვამს, სტირის ჩემი ჩანგი.

ა. გაფრინდაშვილი.

ქ. კიევი. 5 თებერვალი.

ცხოვრების პირველ საფეხურზე

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

(დასასრული)

VIII

ლამის ორი-სამი საათი იქნებოდა შავ-ბნელ ფიქრებით გატაცებულ თამრო-საც კი ჩასძინებოდა. იქვე თამროს ახლო მწოლიარე დედ-მამა თვალ-ყურს აღევ-ნებლენ თამროს, ხან დედა იღვიძებდა, ხან მამა, ხან-კი ორივ ერთად და შეჰყუ-რებდნენ შვილსა, ჩასცეროდნენ მის

გამხდარ გადაფითრებულ სახესა, ყურს უგდებლენ მის ოდნავ სუნთქვას. ნეს ტორს და ტასოს, როგორც მოქანცულო ჩაეძინათ, ღრმა ძილს მიეცნენ. პირის ფერი ჩუთით პატარა სანათებელი მქრთალ პირისფერსვე შუქსა ჰეჭენდა მთელ თახესა, თამროს მაგიდაზე ქ საცა სანათებელი იდგა, ოდნავ აფენდა თეთრ-შუქს. იმავე მაგიდაზე დაწყობილ

თამროს კუკებსა და სხვა სათამაშოებსა, პარკებით და თევზებზე დაწყობილ ქადანაზუქებსა, კამფეტებსა, შაქრის პურებსა და სხვასა, რომლებიც მნახველებისაგანა ჰქონდა თამროს მორთმეული. მთელს ოთახში ნაცხობების საუცხოვო სუნი დაეყენებინათ. სახლის იატაკ ქვეშ, საღლაც გადაკარგულ ვირთაგვასაც კი მიუვიდა ეს სასიამოვნო სუნი, და ამ ნაცხობების ჭამის სურვილმა ვირთაგვას სულ კბილები აუკაწება, პირსწყალი მოპევარა. მშვენიერმა სუნმა და ნაცხობების მირთმევის სურვილმა მოიპატიუა ვირთაგვა თამროს ოთახისკენ. კამოდის ქვეშ კუთხეში, იატაკის ფიცრების თავში, მოხერხებულ ალაგას დაუწყო ვირთაგვამ კედელს ფხაკა-ფხუკი, ფხოჭა—თხრა. ჯერ კიდევ კარგა დამე იყო. ვირთაგვამ თავისი მუშაობა დროზე დამთავრა, თავისუფალი ამოსასვლელ-ჩსსასვლელი გამოთხარა კუთხეში. ოთახში ამოსელა, გასეირ გამოსეირნება და ნაცხობების მირთმევაც მოისურვა.

ნათქვამია „სიფრთხილეს თავი არ ასტყივაო“ ვირთაგვაც სწორედ ასე იქცეოდა, მეტის მეტი სიფრთხილით ამოყო კედელსა და კამოდ შუა იატაკიდან თავი. მიიხედ-მოიხედა. სასიამოვნო სუნმა უფრო მძლავრად იმოქმედა მასზე, ცხვირის ნესტოებმა ყნოსვას უმატეს, გაუნათლდა მთლიად სული და გული, კბილები უფრო აუკაწება, ტუჩებმა ძალა-უნებურად მოძრაობა, ცმაცუნი დაუწყოს, დაწყეპილი ულვაშები აათავაშა. იატაკიდან სრულებით ამოძრა. გასწორდა. რამდენიმე ნაბიჯი წამოდგა წინ და ისევ გაჩერდა. ულრები აცქვიტა, ეშინოდა არავისა ჰდვის ქებოდა, მოულოდნელად არავინ დასცემოდა თავსა. სრული სიჩუმე, სიმშვიდე იყო, მარტო ნესტორის ლრმა სუნთქვა

და ფშვინვა არღვევდა ამ სიჩუმეს, ვირთაგვამ ცოტა გამოირბინა, სინათლეში გამოვიდა. კიდევ შეჩერდა, მიიხედა-მოიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ ხიფათი არაფერი მოელოდა, დამშვიდებული თამროს მაგიდას ეცა, რადგანაც სანატრელი სუნი იქიდან მისდიოდა. სწრაფად ზედ ავარდა. მაგიდაზე დამწკრივებულ კუკებს დაუბატიუებელმა შეცდა გულები დაუხეთქა. ისინი მოულოდნელათ თავისი გძელი კუდით კარგა დაწკიპა, შეშინებულები მაგიდაზე აქეთ იქით გადაცვივლენ, გორაობდნენ, თამროსავითა ფოთხამდნენ. ქალალდის პარკებმაც ფაჩა-ფუჩი შრიალი მორთეს, პარკების ფხაკა-ფხუკმა, შრიალმა და კუკების ალიაქოთმა ნესტორი გამოალვიდეს, წამოიწია, თამროს გადმოჰქედა. ნესტორის გამოლვიდებამ და წამოდგომამ ვირთაგვას თავზარი დასცა, ელვასავით ძირი იატაკზე გადმოეშო ბლარტვანი გასცვიდა; თითქოს სულ დაიმტვრა, მაგრამ სწრაფადვე გაქრა, თავის სორის ეცა. ისე სწრაფად გადმოეშო ვირთაგვა მაგიდან და დაიმალა, რომ ნესტორმა თვალი ვერც კი მოჰქრა. მხოლოდ არეულ-დარეულმა მაგიდამ დაარწმუნა ნესტორი, რომ თამროს მაგიდას და საჩუქრებს ვირთაგვა ეწვია. ნესტორმა ხელად ტანთ ჩაიცა, სამზარეულოში გავიდა და იქიდან თავის მახე, რომელიც იმ წინა დღეებში იყიდა, შემოიტანა.

ნესტორმა ჯერ ტახტის ქვეშ და სხვა კუთხეებში დაათვარიელა ვირთაგვის სორი და რაკი ვერსადა ნახა, შედეგ კამოდს გამოსწია და იქ გამოთხრილ კუთხის ცოტა მოშორებით დაუდგა შიგ მავთულის კაუჭზე პატარი ნაზუქის ნაჭრით დამზადებული მახე. ნესტორი ისევ ლოგინზე წამოწვა. ელოდდა ვირთაგვის

გამოსვლას. მახეში გაბმას, მაგრამ დიდ-ხანს არაფერი ჩამი-ჩუმი არ იყო. ძილი მოერია, ბურანში წავიდა. ისევ სრული სისუმე ჩამოვარდა.

ის იყო ისევ ღრმა ძილს უნდა დაე-მორჩილებინა ნესტორი, რომ მახე დაეცა. ვირთაგვამ ფხაკა-ფხუკი მორთო მა-ხეში, მავთულებს ღრნა, კბილებით და გრეხა დაუწყო, უნდა თავი გაენთავისუ-ფლებინა, გაქცეულიყო, მაგრამ დუშაში ვერ მოუვიდა. ხაფანგის მავთულები, მა-ტიკოს გალიის მავთულებზე მაგარი გა-მოდგა. ვირთაგვის ფხაკა-ფხუკზე ნესტო-რასაც გამოელვიძა. წამოდგა. მახესთან მივიდა. მახე ხელში აიღო და გარეთ გაიტანა. ვირთაგვა მართლა დიდი ყოფი-ლიყო, მთელი ხაფანგი ეჭირა მას, ჯან-ჯღარით მისი დაისება. ხაფანგში შეუ-ძლებელი იყო. ნესტორმა ბალის იქით სანაგვეზე გაიტანა და იქ მთვარის შუქზე მოკლა, თავი გაუჭერება ჯოხის ნატეხით და იქვე სანაგვეში გადააგდო. ნესტორი ნასიამოვნები იყო, რომ მარტიას ჯავრი იყარა. სახლისკენ წამოვიდა, დამზადებუ-ლი შახე ისე იქ კამოდს უკან დადგა. თითონ კი ისევ ლოგინზე მიწვა, მიიძი-ნა. მალე გათენდა. ნესტორმა გამოი-ლვიძა. ცარიელი მახე ააღო, კამოდი გა-ასწორა, ყველამ გამოილვიძა, ნესტორმა დაწვრილებით უამბო ტასოს ვირთაგვის დაჭერა მოკვლა—გადაგდება. გამოციცი-ნათენული და თითქმის სიკვდილის კარ-ზე მისული ცხოვრების პირველ საფე-ხურზე მდგომი პატარა თამრო დედაზე

უფრო გულ-მოდგინეთ უგდებდა მამას თავის მახეილ ყურსა. ჯერ ისევ დილი იყო, რომ სოფიო მოესალმა თამრიკოს და თავის ლოცვას შეუდგა.

არც ექიმი უხეშაშვილი აკლებდა თამ-როს თავის მეცადინეობას უფრო იშ-ტომ, რომ მის ტანში საშიში სენი ვ-რაფერი აღმოაჩინა. ივათმყოფი კი მძიე იყო. თითქოს ეს ორი ადამიანი ერთ მეორეს ეჯიბრებოდა; არა მე უნდა მო-ვარჩინო თამარი არა მეო.

თამროს მართლა უკეთობა დაეტყო, პირველად მას თვალები გამოუცოლ-ხლდა და ღრმად, თავისუფლად—ამო-სუნთქვას ტკბილ ძილს ეღირსა. რამდნი ხანიც გადიოდა, ტუჩებში და ლოყებში ფერი მოსდიოდა, ხორცი ემატებოდა. კვირა არც კი იქნებოდა, რომ თამრო სრულებით განიკურნა, ლოგინიდან აღ-გა. ერთი თვის შემდეგ მან თავისებურად დაიწყო ოთახებში და კარ-მიდამოშ ცერიალი. ნესტორის ნათესავები, მეზო-ბლები და ნაცნობები, რომელთაც თა-როს ავათმყოფობა ენახათ, ეხლა მის მორჩენა პირდაპირ სასწაულად მის ჩნდათ. ზოგი მათგანი ექიმ უხეშაშვილი წამლობას აწერდა ამ სასწაულს, ზოგ კი სოფიოს ლოცვას. ნამდვილად კი რამ მიიყვანა პატარა ცქრიალა, ჯანით და ლონით საესე თამრიკო სიკვდილის კარამდენ და რამ განკურნა ის, დღი საც მათვის საიდუმლოებას წარმოადგენს.

კ. ხევისუბნელი.



რა დავაშავეთ ნეტავი?!.

... ეს გვაკლდა და მოვესწარით:
ღრმ დაგვიდგა უფრო ავი...
რომ გვრისხავენ — ეს მითხარით—
დავაშავეთ რა ნეტავი?!
სხვის რომ შავიც თეთრი არის,
ჩვენი თეთრი რად არს შავი?
რომ გვდის ღელე ურემლის ცხარის,
დავაშავეთ რა ნეტავი?!.
უველა ზიზლით შემოვცერის,—
დაგვიხრია მწარედ თავი...
რომ გვარტყია ალყა მტერის,
დავაშავეთ რა ნეტავი?!.
შენ, ყორანო, სთქვი, ხო, მალე
რას გვიქადი, რას დაგვჩავი?

სულ რომ ჩვენზე მოიცალე,
დავაშავეთ რა ნეტავი?!

მარტვ მწარ ენით, ენით გველის,
მომავალის შენ ამბავი:
მართლა იქაც ტანჯვა გველის?..
დავაშავეთ რა ნეტავი?!.
შიპასუხეთ გული რად სწუხს,
რად ჩაგვიცვამს ყველას შავი?..
რომ ეს რისხვა ჩვენს თავზე ჰქუხს,
დავაშავეთ რა ნეტავი?!.
გულ-საკლავად რომ დაგვჩავის
თვალ-ბედითნი ყორან-ყვავი,
ნუთუ ქმნელი ვართ რამ ავის,
დავაშავეთ რა ნეტავი?!

ფასკუნჯი.

ზამთარი

ზამთარია და ქარ-ყინვა
მკვდარ ბუნებას თავს დაღმუის;
ფერს ვერ უცვლის მას იმედი
შორს მომავალ გაზაფხულის!..

ზამთარია შენი გრძნობაც
და ქარ-ყინვა შენის გულის
სულს მიყინავს და მეც მაზრობს
მწვავე ყინვა ჩემივ სულის!..
ქარიშხალმა ამიშალა
მოგონება ტკბილ წარსულის
და უფრორე ამიტკივა
დაფარული წყლული გულის!..

ეხ, რას მომცემს მხოლოდ ნატვრა
საოცნებო გაზაფხულის?!

ილ. გოგია.

ნაკადული

უამოა გაზაფხულზე
პაწაწინა ნაკადული,
ნაპირებზე ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

მწვანე ბალას აბიბინებს
აქეთ იქით სიო წყნარი,
ტალღა ტალღას ეხეთქება
მაღლა მთიღან მომდინარი

ისმის ტკბილი ქრიამული
წყლის ჩერიალთან გადაბმული...
და ამიტომ გაზაფხულზე
მიყვარს წყლის პირს სიარული.

მე მიტაცებს ის ნანინა,
მის ტკბილ ჰანგებს ვუერთდები
და ღროებით მავიწყდება
სხვა ფიქრები, სხვა დარდები!..

ს. აბულაძე.

ტალღა

ტალღა—ფიქრით განბანილი,
ტალღა—შორით მოცეკვავე,
ტალღა—ფრთხები—ძლევის ფრთხები—
ტალღა წყარო—დღის სათავე,
ტალღა—ცეცხლის აღმზნები და
ტალღა—მქრობი ცეცხლის აღის,
ტალღა მწარი, ტალღა ტყბილი,
ტალღა—შვება მწუხარ თვალის,
ტალღა ლტოლვის თაიგული,
ზღვაშ შობა, ზღვაშ მომაბარა,
მასთან არის ჩემი გული
შევიყვარე, შემიყვარა!..

* * *

მიჰქრის ტალღა და ოცნება,
ფიქრთ სავანე მას მიჰყვება,
სიცოცხლისკენ მიმავალი
გზას მიაპობს, არ იღლება...
და ცხოვრების გაშლილს ველზედ
სანუჯეშოდ გაშლილ იას,
ვერცხლის მძივებს აბნევს ყელზე
გულს ამხნევებს კაეშნიანს!..

მიჰქრის ტალღა, ჩემი ფიქრი
მას მიჰყვება, მასთან არი,
გულში ნათლად იხატება,
საიმედო მომავალი!..

გელა.

შენ მშვენიერი ხარ, მშვენიერი; ვით
ცვრით დაპკურული მაისის ვარდის კო-
კობი. შენ სიფაქიზე ხარ სულისა... შენ
პატარა ღმერთი ხარ, ღმერთი...

შენ გიუ ხარ, გიუ, ვით ნაკადული,
მთიდან ვარდნილი: ხან ნაზი, წყნარი.—
მაღამო გულის წყლულისა...

ფიქალო გულ-მკერდისა და მწყნარ სახე-
ზე მარცვლები გცვივა ლალ-ზურმუხ-
ტისა.

პირველათ შემხვდი და პირველათვე
გულში შთამეჭერ როგორც მტრის
ტყვია. აღარ მცილდება და ვერც გშორ-
დები...

შენ მზეს შემამდურე. მზესა... პაპანე-
ბაში როცა გიცქერდა—მაგ სილამაზეს,
ჩემ სიცოცხლესა, იქა იქრეფდა და თა-
ვის სხივებს იძლიერებდა...

მზე ხომ ჩემი მესაიდუმლე იყო!..
იგიც ხომ შენსავით მიყვარდა?... მაგ-

რამ... ლამაზი მაინც არ იყო—ან არ
მიყვარდი...

საღამოს უამზე, როცა ტყის პირად
გამოიქროლებ და მედილურათ გადაა-
ქმნები მდელოსა და მთებს—მთვარეც კი
ცდილობს წაგართვას ეგ ლალი სილამა-
ზე—კიდეც გაშინებს.

მაგრამ რათ კრთხები?!

მიტომ გჯაბნიან, ჩემო ლამაზო, რომ
შენ ჩემი ხარ...

თორემ შეხედე?... — ა იქ ბრინჯაოს
ლოდები, რომელზეც იჯექ, ჩემო სული-
კო,—როგორ წყრებიან, იმუქრებიან...
ხილებს ისხამენ და ისე გგლეჯენ ღვთაშ-
ბრივ სამოსს...

— რისთვის რა იყო?!

— და რომ ჩემი ხარ...

შენ მშვენიერი ხარ, მშვენიერი, ვით
ცვრით დაპკურული მაისის ვარდის კო-
კობი. შენ სიფაქიზე ხარ სულისა... შენ
პატარა ღმერთი ხარ, ღმერთი!..

ნიკ. ასათიანი.

პეპელა

(უძღ. ნარ-ჯანს..)

მ არ მახსოვს შობის ქამი, მე არ მახსოვს შობის წუთი,
განთიადზე დავინახე, რომ ვიყავი, ფრთა-სათუთი,
განთიადზე დავინახე, რომ ვიყავი ფრთა-ანკარა;
რაღაც ძალამ გამომგზავნა და მოვფრინდი ასე ჩქარა...
დავინახე ციდამ ღმერთი, ვით ისროდა ოქროს ღილებს,
დავინახე ვით სხივები, ეხვეოღნენ ამ ყვავილებს...
მეც დავკოცნე... და ეს კოცნა, იყო ნაზი, იყო წმინდა—
გულში ტრფობამ დამიარა, გულში ტრფობა აღიღინდა...
— ო, კარგია სხივთა ღილა, ო, კარგია ცის კანდელი,
ო, კარგია ეს წალკოტი, ეს ჟეიმი დღევნდელი...
შენ ამბობ: რომ უმიზნოა, ეს ქვეყანა, ეს ცხოვრება?..
შენ ამბობ, რომ დილის სხივი, საღამოზე ისევ ჰქრება...
ო, რა უყოთ,— ასეც იყოს... თან დამდევდეს უმიზნობა,
მე კი, არ მწამს ეგ სიკვდილი და არც მინდა მაგის ცნობა...
მე კი ვიცი, ამ ყვავილებს, რომ ჰკოცნიდა დილით ცვარი,
რომ ამ ფრთებზე დაიხატა სიყვარული მრავალ-გვარი...
მე კი მაყვარს ეს ყვავილი... მასზედ დილის ზურმუხტები,
მე კი, მიყვარს ეს ბუნება, და ღვთიური მისი ხმები...

გ. ლეონიძე



თეთრი ღამე

ც ლაშვარლი, მოკამპამე
ვარსკვლავებით მოიქარგა,
შავი სივრცე, ბნელი ღამე
მთვარის ელვით დაითანგა!
და გულს სევდა ავარიდე,
შვების ქსელიც ავახიე
და თეთრ ღამის თეთრი რიღე
გრძნეულ ფარდათ მოვახვიე!..
გაცრეცილი ღამის სახე
ჰიმნი იყო მწუხრის ქამის
და მეც გულში ჩავისახე
საიდუმლო თეთრი ღამის!..
ის. გოგია.



ე ჭ ვ ი

(ძღვად თ—კოს)

ეჭვმა გული დამიფლითა, ეჭვმა გული დამისერა,
ეჭვის შვილდმა თვის ისარი ჩემს მიმქრალ სულს დააძგერა!
ეჭვმა ისე მომაღუნა, ეჭვმა ისე დამაღონა,
რომ თავს შენად დღეს ვეღარ სცნობს ყურმოჭრილი შენი მონა!

მე უშენოდ მოვისაზრე, მე უშენოდ განვიზრახე,
საუკუნოდ დავივიწყო შენი ხსოვნა, შენი სახე:
გუშინ ზიზლით გადავხედე შენს ჯადოქრულ ტანის რხევას
და ეხლა-კი ძველებურად ისევ-ისე გითვლი წყევას!

აბა რაა, თუ არ ისე,—სალალობო, სათრეველი
შენი სიტყვა, შენი ქცევა და ეს კოცნა ზიზლის მგვრელი;
გჯერა, რომ მე დაგიჯერე!.. და გრწამს კიდეც, რომ გერწმუნე?—
აზირებულ დაჯერებას გადაჰყრიხარ, დამერწმუნე!

კარგად იცი, მაგ გაცვეთილ ქამანდებით ვერ გახვალ ფონს,
კარგად იცი, რომ მეც უკვე, დღეს მეც უკვე, მეც მოველ გონს...
და ეხლა-კი ტრფობის მონას, ტრფობის ისრით განაწიმებს,
მომანიჭებს ეგ ცრუ გრძნობა სანეტარო განა წამებს?!

არა, ჩემო, მე სულ სხვა მსურს, სულ სხვა რამ სურს ჩემს ტანჯულ სულს,
ნუ მიკიდებ ცეცხლის ალებს ტრფობის ფერფლში ამოტრუსულს...
და თუ ისევ მიძღვენ აც მსურს: კული წრფელი სული წმინდა,—
მაშინ მხოლოდ, მაშინ ჩემს თავს დაიბრუნებ თუ-კი გინდა!

და ეხლა-კი ეჭვმა გული დამისერა, დამიფლითა...
ეჭვის შვილდმა თვის ისარი ჩემს მიმქრალ სულს სჩევლიტა, სჩევლიტა!
ეჭვმა ისე მომაღუნა, ეჭვმა ისე დამაღონა,
რომ თავს შენად ჯერ ვეღარ სცნობს ყურმოჭრილი შენი მონა!

ლადო გეგეჭკორი.

შორეულს მეგობარს

ჰამეა... ზღაპრული ღამე...
 ჰკაშკაშებს მთვარე...
 სციმციმებენ ვარსკვლავნი...
 იქარგებიან ნათელი სიზმრები...
 ბუნება განაბულია... გატვრენილი...
 ლხენის სიჭარბეს დაუთენთია
 აღარ ჰმუსიკობს...
 უხმოდ ინთქმება ეშხის ზეირთებში...
 უხმოდ ინთქმება ტკბილს ბურანში და
 მით უფრო აციაგებს ვარსკვლოვან სიზმ-
 რებს...
 სუმბული ხომ ბუნების შვილია... სი-
 ყმის შვილი და იგიც ოცნებობს...
 იგიცა ჰთროთის ნეტარებით...
 სათუთი ცრემლი უბრწყინავს ლამაზს
 თვალებზე.
 ლოცვაც-კი იწყო იდუმალი ლოცვა...
 რა ამძაენა?..
 ვისთვის ჰლოცულობს?..
 ვიღაცას ელის...
 ვიღაცას უშლის თვისს კოკობს გულსა.
 ჩუ!
 შორს... შორს... ატეხილს ჭალაში
 ჭაისმა ნელი... შემპარავი მელოდია...
 რა კაეშნიანია...
 რა მხიბლავია...
 ვინ, ვინა ჰგალობს?..
 ვინ აქანდაკებს ნაზს სევდის ჰანგებს?..
 ეს ბულბულია...
 ბულბული უმღერს სუმბულს...
 ბულბული ეძიებს ყვავილთ დედოფალს..
 სუმბული ჰთროთის... ფრთხიალებს ვი-
 რა ჰეპელა...
 ახ, ჰეპელასავით ფრთები რომ ჰქონ-

დეს—რა კისკასად გაიცქრიალებდა ბულ-
 ბულისაკენ...

ახ, ხმის ამოღება რომ შეეძლოს, რა
 ნეტარებით გაეხმაურებოდა თვისს აშიქს...

მაგრამ არა აქვს ფრთები საბრალოს...

უტყვია იგი და უხმოდ იხმობს... უხ-
 მოდ ეძახის ძებნით დაქანცულს...

ნეტავი კი ჰპოვონ... ნეტავი კი ჰპო-
 ვონ ერთმანეთი...

* *

მარტო ვარ ჩემს ოთახში... ჩემსავით
 ნაღვლიანში... გულ-ჩათხრობილში...

ტაბლაზე ოდნავ ანათებს სანთელი...

მკრთალი სხივებით ებრძვის სიბრელეს...
 სიყურსეს...

ჰსურს გააჩახახოს ოთახი... გაგვამხია-
 რულოს...

გამეტებით იბრძვის სანთელი და სწუხს
 რომ სუსტია... კნინია, მისი ნათელი...

ეს ჰარპალი... ეს უილაჯო შებრძო-
 ლება სანთლისა უფრო გვანალელიანებს
 მე და ჩემს ოთახს... უფრო გვიბინდებს
 ფიქრებს...

სარქმელი ლიაა...

გავაყურებით გარეთ...

ხარბად გავსცეკრით ხავერდოვანს სივრ-
 ცეს...

ვეღლით... ჩვენც ველით მოყვასს...

მაგრამ არავინა სჩანს...

არავინ მოდის...

ბაიბური არსილან ისმის...

მოცულავს მხოლოდ ღამე გაუგებარ...
 გამოუცნობი ფიქრებით...

არავინ მოდის და ვიღელფებით გულ-
მდულრად...

იღველფება სანთელი...

იღველფება ჩემი ოთახიც...

ცივი ოთახიც-კი იღველფება...

იგი ცრემლებით ყოფილა დალტობი-
ლი—მექი ნოტიო მეგონა...

— სს... — სისინით შემოიჭრა ნიავი
და ეცა სანთელს...

ააკანკალა... გააფირთოა უარესად... კი-
ნალამ ჩააქრო...

ელდის ფერ-ფურმა გადამკრა...

ჩემი ოთახიც შეკრთა... ჩრდილები
ააცახცახა...

მადლობა ღმერთს!...

გადაურჩა სანთელი ნიავს... ისევ იშყო
პარჩალი.

დაძიუშჩდა გული...

დამიშოშმინდა ოთახი...

ისევ მივაპყარით თვალი სარქმელს...

ისევ ვიწყეთ ლოდინი...

რად... რატომ არ სჩანს?..

შორეულო... უხილაო მეგობარო, სადა
ხარ... რადა სდუმ... რად გვავადებ?..

გაგვეხმაურე...

მოვედ ნუგეშად...

* *

ი ახლოს გაისმა თავ-დავიწყებული...
მგზნებარე გალობა...

თრიაქივით ძლიერი სურნელება მიმო-
იყმია ჰაერში...

ეს ბულბული და სუმბულია...

მიუგვნიათ ერთმანეთისთვის და ჰარო-
ბენ... ეშხით მთვრალობენ... ხოშ იკლა-
ვენ ტრფიალებისას...

სატლაა სიმძიმილი და კაეშნიანი ზახი-
ლი?

იგი გაუქარვებია შვების ჰანგთა შად-
რევანს...

ბეღნიერები... ბეღნიერები... ბეღნიე-
რები...

ნეტავი მათ... ნეტავი მათ... ნეტავი
მათ...

* *

ნიავი არა პწყნარდება...

ისევ შემოიჭრა შლეგიანივით...

ისევ აახამხამა სანთელი.

ისევ ააცახცახა გრძელი ჩრდილები...

რომ ჩააქროს ახლა სანთელი, არავინ
გაიგებს...

არავინ დანალვლიანდება...

აკვნესდება მხოლოდ ჩემი ოთახი...

განუჭვრეტელი ჩრდილებით დაითალ-
ხება და ივაგლახებს.

ჩემს აუსრულებელს ოცნებაზე... განუ-
ხორციელებელს სიზმრებზე...

მეგობარო... შორეულო... უხილა
მეგობარო; სადა ხარ... სადა?..

რად არ გვასმენ ნუგეშინის ხმას?..

დ. თურდოსპირელი.



მინიატიურები

მზე..

შენ ოცნებობ? რას შესცქერი და-
ფაქტებული ლურჯ ცას? როგორ?! ფრე-
ნა რომ შეგეძლოს შენსკენ ამოვფინდე-
ბოდი, თავს დავახწევდი მიწიერ ტან-
ჯვასაო?... სცდები, ჩემო კარგო, სცდე-
ბი—აქ შენ სანუგეშოს ვერაფერს
იპოვნი. შენ აქ ვერ დაისვენებ... ისევ
მანდ, მიწაზე თორემ...

შენ გინდა მიწას მოშორდე, მიწის
შვილმა მიწა მიატოვო, გაეჭცე მას?...
სირცხვილია, სირცხვილი...

მაშ შენ არ გყვარებია დედა შენი... ა?..
იმ დროიდან, როდესაც პირველი ატომი
შეინძრა ქვეყანაზე, იმ დროიდან მე მი-
წისაკენ ვგზავნი ჩემს ცხოველ-მყოფელ
სხივებს... ამ სხივებში ვხვევ მას... ხო-
ლო როცა მე დროებით მას ვსტოვებ,
ის სტირის, იცრემლება, მაგრამ დილის
მე მოვდივარ და ისევ ვუშრობ ამ ცრემ-
ლებს და ისიც იცინის, მეც ვიცინი...
მოყვარს ის... უყვარვარ მას... და შენ,
მისი შეილი, რისთვის სტოვებ მას, რათ
გინდა რომ მას გაეჭცე?

დამშვიდდი და გაიგე, რომ მიწის შვი-
ლმა, უნდა ეცადო მიწაზე დამყარდეს
ბეღინიერება და ტყვილა ნუ ეძიებ მას
საღლაც ცის სივრცეში...

და როცა მიწისაგან უკმაყოფილომ,
მისგან მოშორება გაინძრახო, მაშინ შე-
მომხედე, თუ როგორ დაულლელათ უგ-
ზავნი მე მას სინათლესა და სითბოს, თუ
როგორ მიყვარს ის მე, და როცა დაი-
ნახავ ჩვენს ასეთს სიყვარულს, მაშინ
შენც შეგიყვარდება მიწა, უფრო შეგი-

ყვარდება და ისევ ახალი ძალით აღვხი-
ლი დაუძრუნდები მას....

უკანასკნელი ამოძახილი.

შენ თავს დამტირი მე? ჰმ... რათა,
რისთვის?—გული გეწვის?... კმარა, კმა-
რა თავის ტყვილება, რას მიკეთებს მე,
ან სხვას ვისმეს შენი ტირილი და ჭმუნ-
ვარება? როცა მე მტრის ტყვიას გულს
უშვერდი და შასთან სამკვდრო სასიკო-
ცხლო ომი მქონდა, შენ იცი, სად იყა-
ვი? ხომ გახსოვს?!

ახლა კი რა გაუდა ვე რომ მოსულ-
ხარ?—შენ ვერ მრავალი ვერ მოითმი-
ნა შენმა „კე... ლმა“ გულმა...
ჩემი გამოთხოვგება გსურს? ნუ, ნუ, არ-
ვის სჭირია ტირილი, გულის წყრიმა.
მტრისადმი... თუ მასე გული გეწოდა
მაშინ. მაშინ უნდა ჩემს გვერდში ყოფი-
ლიყავ, თორემ ახლა ტყვილია სინანუ-
ლი.—ტყვილი ტირილია... ბრძოლის
დროს, თუ მომზე ხარ, ბრძოლის დროს
უნდა მიღევ გვერდში!..

ოთახიდან.

...ხა, ხა, ხა, ხა... იცი დედა... ჰა;
ჰა, ჰა... გრძნაზიას რჭამ გავათავეს ცოს
ტა მიჯიბე და გავწევ „ექ“... იქნება არ
მეყოს, ცოტა მომშივდეს, მაგრამ არა მი-
შევს, მოვითმენ შიმშილსაც... მერე რო-
შევალ სამსახურში, იქიდან ჯერ! არ-
ჯო ფულ გამოგიგზავნით.

... მერე მოვუყრი თავს დიდ ფულს...
გამოვგზავნი ერთად და მამა-ჩემს შეს უკუ-
თვლი—აბა მამა ჩემო, ერთი კაი-სახლი,
მაგრამ ორი სართული კი არა—ს ...

გერმანიელს სახლს რომ ზევიდან დასჩერებოდეს... მამა ჩემს ვეტყვი თუ რამე იას რაღი გაქვს—ხელები, შალაშინი და ამისთანები საღმე ძველ ყუთში დაჭკეტი და დაისვენე მეტეი... მერე ვითხოვ ერთ ქალს... ხა, ხა, ხა, ხა... მაგრამ იცი, დედა, ერთ ათი ათას მანეთს თქვენს სა-

ხელზე შევიტან ბანკში და ოქვენ მის სარგებელით არხეინად იცხოვრებთ... მერე...

— ეხ, ეხ, ეხ, ეხ, რაკარგი ხარ, უოხერო სიყმაწვილევ, მაგრამ რა მალე გტყდება ფრთხები?!...

მიწიშვილი.

მთის პეტელა

(ლექსი პროსად ტეტრიანდან)

ირთხელ მე თაორაზე გამოვიარე, ჩემს უკან ლიპტოველ მთებზე ქარიშხალი ჰქონდა. ელავდა. ელვას შოჰყვებოდა ხოლმე დამაყრულებელი ქუხილი. თაორა ბანს აძლევდა. ჩემს გარშემო ტიტველი უფსკრულნი იყვნენ, სადაც არავითარი მცენარე არ იზრდებოდა. მაღალმაღალი სალი კლდენი ბუმბერაზებივით ამართულიყვნენ, მათი წვერები სადღაც ცის უფსკრულში იკარგებოდნენ. ქვევით თვალ-ჩაუწვდენელი უფსკრული მოსჩანდა. უფსკრული გაქედილი იყო პატარ-პატარა ქვებით ისე მწყრივად იყვნენ დალაგებული, თითქო ადამიანს განგებ დაუწყვითა. დიდრონი კლდენი იქაც ამართულიყვნენ. საზარელნი! უველა ესენი უდაბნოს გაახსენებდნენ ადამიანს. ჩემს ზევიდან მოქუშულ ცას ვხედავდი: იგიც რაღაც დალვრემილი იყო. არსად ჩემს ირგვლივ არც ბალახის, არც არავითარი მცენარის ხსენებაც არ იყო. მარტო თდენ ქვები და კლდენი ამართულიყვნენ, მჯდარი უდაბნო. უცბათ პატარში რაღაცამ დაიფრთხიალა. ხეობის ერთი ნაპირიდან მეორემდინ გადაიფრინა

პატარა ფრინველმა — მთის პეტელამ. ასე ძახიან მას მთიულები. ნაპრალიდან ნაპრალზე, კლდიდან კლდეზე იგი მაღლა-მაღლა ადიოდა, მანამ არ დაიღუს სადღაც თვალ მიუწდომელ ცის სივრცუში. იქით შორს ძალიან შორს ქარიშხლი ღრიალებდა. იქვე მოსჩანდა. გაუჯლი ბნელი ტყე. ქვევით ბარში მოსჩანდა ქალაქები, სოფლები, ნათესები; სიცოცხლე სდუღდა, უველა მოძრაობდა, სიცოცხლეს ეწაფებოდა. ის ფრინველი-კი ყველასაგან დაღმორებული განდეგილი რომელსაც ვერავინ ხდევდა, ნავარდობდა აქ ციცაბო კლდეებზე და დაუსრულებელ უდაბნოში. ადამიანის სულმას არის, რაღაც მსგავსი ამ უდაბნოს ფრინველისა: რომელიც ქარიშხალ-ტყეზე მაღლა დაფრინავს ქალაქ ნათესებზედ და სიცოცხლის მოძრაობაზედ. უველასაც დაშორებული, უველასათვის უცხო, მხოლოდ ზოგჯერ ერთის წუთით შესამჩნევი ისე, როგორც ის ფრინველი, გამოსჩნდებ ხოლმე საზარელ უდაბნოში და წამხა გაჭერება ხოლმე უსაზღვრო სივრცუში მესხი ვ. მიქელაძე.

სალაში ვაუა-ფუაველას

(ეოფილ სახალხო მასწავლებელს)

ქთაში მღერალო, ვაუკაცო,
დაგიძლევია სენიო;
გავიგე—მესიამოვნა
მე განკურნება შენიო.
შენმა ლოგინში ჩაწოლამ
ბევრს გაგვიმწარა დღენიო,
დალონდა მთები, ხევები
და აქვითინდენ ტყენიო.
ღმერთსა შეესთხოვდით გულითა
„უშველე, დაიხსენიო,
რაღან მგოსანი მის მეტი
ჩვენ აღარა გვყავს ბრძენიო“.
თუმცა მელექსე არა ვარ,
არ მიჭრის შენებრ კალამი,
მაგრამ არ უშავს, იძლევნი
ჩემგან გულწრფელი სალამი.

სახალხო მასწავლებლად ვარ
ოცდა მეხუთე წელია,
გამოგიცდია, მგოსანო,
რომ სამსახური ძნელია;
რამდენჯერ სიცივ-სიმშილით
მე მომწყვეტია წელია,
განა დამძრახვა, რომ ლექსი
ღავწერო კოჭლი, თხელია?!
მაშ ბოდიშს ვიზდი, იცოცხლე,
კიდევ მრავალი წელია,
აგშორდეს ჭირი—ვარამი,
ტანჯვა და ბედი ძნელია,
გქონოდეს გული ხალისი,
ჯანიც, სანამ ხარ მთელია,
„მთის არწივს“ ჩვენთვის ბარშიაც
ხშირად გეწვდინოს ხელია.

ლადო ბზგანელი.



ჩვენი მოღვაწე ქალები

I

ნინო ბეჟანის ასული უიფიანისა*)

ო აში მსახიობის გულს ყოველთვის
ახარებს და ახალისებს, მაგრამ ზოგი ღიღ
ყურადღებას აქცევს ტაშს, ზოგი ნაკლებს.

*) კოტე ყიფიანის ბიოგრაფიის შედგენის დროს
შემთხვევა მქონდა, უფრო დაახლოებით გამეცნო
მისი მეუღლის—ნინოს—მოღვაწეობა. აზრათა
ქონდა ყველა ჩვენი მოღვაწე ქალების ღვაწლის
აღნესხვა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ შევსძლი

კოტე ყიფიანი უმთავრეს ყურადღებას
იმას აქცევდა, რომ სულიერი მხარე ამა
თუ იმ ტიპისა რაც შეიძლებოდა მეტის

და მომავალში იმედი მაქს, ჩემი განზრახვა გან-
ვახორციელო. ჩვენს ქალებში საქმაო რიცხვია
ისეთი მოღვაწეებისა, რომლებითაც ჩვენ თავი
უნდა მოგვწონდეს და მათი ღვაწლის გათვალის-
წინება ყოველი ქართველის მოვალეობაა.

0. 8.

სინამდვილით გადაეშალა მაყურებლისა-
თვის.

— ყოველგვარის ღონისძიებით პლო-
დისმენტების გამოწვევას არა ვცდილობ-
დი, საზოგადოების აზრს მუდამ დიდად
კაფასებდი, ხოლო ჩემი საუკეთესო მსა-
ჯული ჩემი მეულე ნინო ბეჭანის ასული
იყო! აი კოტეს სიტყვება. ყოველი წარ-
მოდგენის შემდეგ მე მას დავეკითხებოდი:
აბა მითხარი, როგორ ვითამაშე მეთქი.
თუ ნინო მეტყოდა: კარგადო, მე კმაყო-
ფილი ვიყავი; თუ მეტყოდა, ცუდათო,
ბევრსაც რომ ვექე, მე მაინც აღარ ვიყა-
ვი ჩემი თამაშის კმაყოფილი.

პატარა ნინო ქვიშეთში ხშირადა
სცენორობდა ხოლმე თავის დეიდასთან.
ქვიშეთში მას წერა-კითხვას ასწავლიდა
კოტეს და ელენე. კოტეს ნინო აი ამ
დროიდან იცნობდა. ბავშვებმა ხშირად
იცინ ხოლმე ქორწილობისა თამაში. ნი-
ნოსაც უთამაშნია ტოლ-ამხანაგებში, რვა-
ცხრა წლისა როცა იყო. კოტე მაშინ
კოხტა ახალგაზრდა იყო და ალბათ მისი
გარეგნობისა და ბავშვების ქორწილობისა
ბრალი უნდა იყოს, რომ ცხრა წლის
ნინოს უნატრია: ნეტავი კოტე ჩემი ქმა-
რი იყოსო. არ გასულა ამის შემდეგ სულ
შვიდისარვა წელიწადი, რომ ნინოს ბავ-
შვების ნატვრა აუსრულდა. ნინოს ძმა
ნიკო ტატიშვილი ბორჯომში მასწავლებ-
ლიდ იყო და ზაფხულობით მინერალური
წყლების კანტორისაც განაგებდა, კოტე
და ნიკო ერთმანერთს ძალიან კარგად
იცნობდენ. ნინო სწავლობდა გორში ანას-
ტასის პროგიმნაზიაში. მასა ზრდიდა ნი-
კო. 1884 წელს ნინომ გაათავა თხი
კლასი და საზაფხულოთ ბორჯომში ეწვია
ძმას. ამ დროს ის თექვსმეტის წლისა არც
კი იყო.

ნინო ლოგინში ნებივრობდა, როცა
ნიკოს კოტე ესტუმრა ბორჯომში.

— კარი, მიხურე, ნიკო, კარი! მიაძახა
ნინომ ნიკოს.

არ უნდოდა, რომ ლოგინში მწოლი-
რე დაეგახა კოტეს.

— არაფერია, შენკი ერთი უცხო ხომ
არ არის ჩვენი კოტეა! მიუგო ნიკომ და
მიეგება კოტეს:

კოტემ პირველად მოჰკრა თვალი ნი-
ნოს და მოეწონა.

როდესაც კოტემ ნინო ჩატული ნახა,
იმის გულში სიყვარულის ნაპერწყალი
გაჩნდა.

— ვინ არის ეს ქალი? ეკითხება კოტე
ნიკოს:

— როგორ, ხომ არ მოგწონს?

— ძალიან! აი ამისთანა ქალს შევიტ-
თავდი.

ნიკომ გააცნო კოტეს თვისი და.

კოტე ხედავდა, რომ იმის გულში რა-
ლაც ხდებოდა, მაგრამ შედგა და თავს
დაეკითხა: მე ოცდა თოთხმეტის წლის
შეუა დამჯდარი კაცი ვარ, ეს კი ჯერ
თითქმის ბავშვია და მაგის გონებრივი
განვითარება მე როგორ დამაკმაყოფი-
ლებსო..

მაშ რა იყო საჭირო?

ან ყურადღება არ უნდა მიექცია სრუ-
ლებით, ან უნდა დარწმუნებულიყო, რამ-
დენად იყო გონება გახსნილი ეს ახალ
გაზრდა ქალი.

პირველი კოტემ ველარ მოახერხა, თვი-
სი გული ველარ სძლია.

ამიტომ მან დაიწყო ნინოს გამოცდა
მაგრამ ისე კი, რომ ნინოს ეჭვი არ აეღო.
გაეცნო ნინოს, კარგად დაუმეგობრდენ
ერთმანერთს; კოტე ჩამოუგდებდა ხოლმე
ნინოს ლაპარაკს სხვა და სხვა საგნებზე;
მიმართავდა ხოლმე საჭა. და სხვა კითხვა-

ბით, ხან წერილებს აწერინებდა. ნინო ყოველივეს გულუბრყვილოდ ასრულებდა, ის კი არ იცოდა რომ ეს იყო ერთვარი გამოცდა — ეგზამენი.

ეჭვს გარეშეა, ნინომ ჩინებულიად დაიჭირა გამოცდა; ან იქნება არაჩეულებრივი ეგზამენატორი აღვილ კითხვებს აძლევდა: ღმერთი არ გამიწყრეს და არ ჩავჭრაო. ასეა თუ ისე, გამრუნდა თუ არა კატე ქვიშებოთში, მაშინათვე აფრინა წერილი ნიკოსთან. ამ წერილში სხვათა შორის სწერდა: ამ ხნის კაცი ვარ, ბევრი ქალი მომწონებია, მაგრამ იმდენად კი არა, რომ შერთვა გადამეწყვიტოს. ნინო ძალიან შემიყვარდა, გადავსწყვიტე, შევირთო, და ამიტომ მაგისი აზრი როგორმე გამიგეო.

ნიკომ უპასუხა: მე ძალიან კმაყოფილი და მოხარული ვარ. ნინოს მე ვერავითარ ძალის ვერ დავატან და მაგის აზრს კი მალე გაგაგებიებო.

ნიკომ მიუგზავნა ნინოს მასწავლებელი ქალი რუნგე, რომელიც მოელაპარაკა ნინოს და ყოველისფერი გააგებინა.

ნინომ შორს დაიკავა: რაღოოს ჩემი გათხოვებაა, ჯერ თბილისში უნდა დავამთავრო საშუალო სასწავლებელი, შემდეგ რუსეთში უნდა წავიდე უმაღლესი სწავლის მისაღებადაო.

კოტემ შეატყობინა ნინოს, თუკი შენ სხვა არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, მე მოვიციდი, ვიდრე შენ კურსს დასრულებდეო.

ამაზედ შეთანხმდენ კოტე და ნინო. ნინოს უნდა დაემთავრებინა სწავლა თბილისში და შემდეგ დაეწერათ ჯერი.

ამგვარი გარდაწყვეტილების შემდეგ კოტემ გამოართვა ნინოს სურათი და მას შეატყობინა, დავინიშნეო.

— ვინ დანიშნე, კოსტიუკ!

კოტემ აუხსნა, გამოიღო უბიღან ნინას სურათი და აჩვენა მამას.

დიმიტრიმ ახედ-დახედა სურათს და წარმოსთქვა:

— Отлично, отлично!

— ერთი მაჩვენევთ ის შავოზება გოგო, როგორ გაკეთდა ამდენად, რომ კოტეს მოეწონა!

წამოიძახა ელენემ.

აქ დედამ გამოსთქვა სურვილი თვისი სასძლოს მალე ნახვისა და კოტემ და ნინომ თვისი გარდაწყვეტილება მალე შესცვალეს: ჯვარი დაიწერეს.

ეს ამბავი რომ გორში გაიგეს ნინოს მასწავლებლებმა, საშინლად ეწყინათ, რადგანაც ნინო საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა.

შემოდგა თუ არა ნინომ დიმიტრის ოჯახში ფეხი, მაშინათვე შეუდგა სწავლასა და თვითგანვითარებას. დიმიტრი მას ასწავლიდა ფრანგულს, ელენე მუსიკას.

ნინო თანდათან განვითარდა და „ბოლოს კოტეს აღარ ვარცხვენდიო“, იხუმრა ნინომ ამასწინეთ.

როგორი განწყობილება დამყარდა რძალსა და მამამთილს შორის?

ისეთი, რომელზედ უკეთესიც წარმოუდგენელია. ნინოს სურათს დიმიტრი გულში ატარებდა და პირველ ხანებში ასე აცნობდა თავის ნათესავებს. საღაც უნდა ჰყოფილიყო, ნინოსათვის უნდა გაეზიარებინა თვისი ფიქრი, თვისი გრძნობანი, თვისი სულისკვეთება.. „ჩემო საყვარელო შვილო ნინუკა“, „ჩემო სასიქადულო შვილუკა ნინუკა“, „ჩემო სიხარულო ნინუკა“, — არ როგორის გრძნობით საესე ალერსით არის აქრელებული დიმიტრის წერილები ნინოსაღმი. როცა ამ წერილებსა ჰყითხულობო, შეუძლებელი

ლია, სიამოვნების ცრემლები არ მოგად-
გესთ თვალზე.

მრავალი წერილებიდან მე მოვიყვან
მხოლოდ რამდენიმეს. ღიმიტრი მეტად
დიდი პიროვნებაა ჩვენთვის და იმის ყო-
ველ სიტყვას ღილი ფასი და მნიშვნელო-
ბა აქვს. ჩვენი საზოგადოება ნაკლებად
იცნობს ღიმიტრი ყიფიანს კერძო ცხოვ-
რებაში და აი ეს წერილები ახასიათებენ
მას ამ მხრივ. მეც ეს რამოდენიმე წერი-
ლი უფრო იმიტომ მომყავს, რომ მყით-
ხველმა მცირეოდენი წარმოდგენა მაინც
იქონიოს, თუ როგორი იყო ღიმიტრი
კურძო ცხოვრებაში და თვისიანებში.

ჩემთ კარგი და მშეგნიერო
Hy—ka! ნინუკა!

დიდი სიამოვნებით წაგიკითხე შენი ამთვის
22-ის და აი, გწერ ჰასუხს. რათ დამიგინე
ჰასუხი აქამდინო, ამას კინუ მეტხავ, თორუე
უნდა გითხრა, რომ თუმცა 22-ს იყო დაწე-
როლი, მაგრამ ხაშურს 24-ს გაგიგზავნათ
და იქიდამ წესელის მოგვივიდა.

შენი სახლისკაცებისათვის, როგორც იმათი
ამბავი გესმოდა, სასჯელი ძალიან შეუმსუბუ-
ქებიათ; ადამიათ არა ჭერნათ დიდი დანაშაუ-
ლი. შენი ფრანცუზულის ამბავი შენვე უნდა
შემატებინო ხლომე, თუ რომ „დუშა ჰა-
ჰაჰასთან“ წერა არ დაგზარდა. როგორც რას
მომწერ, ისე მიიღებ, არც თავის ქებად ჩა-
მოგართმებ რასმე და არც საკიცხვად; რად-
გან ვიცი, რომ რასაც ჩემი საყვარელი შეი-
ლუკა ნინუკა თავის ჰაჰაშას მომწერს, ნათელს
მართალს მომწერს, n'est cepas, ma chérie
belle fille?

ადგილად წარმოვიდგენ შენს კრუხებს რო-
გორ დასტრიალებ და ღოვის გამოგზავნილს
ქათმებს როგორ აღევნებ თვალსა, კარგათ
დამ-კავალერობენ და კავალერ-დამობენ, თუ
არა.

ფრინველების აშბავს კარგს იწერები და
ოთხთვესისას კი. არაფერს. ამაგბის წერილებები
ხლის იმედი დასა მაქვს; მაგრამ საქმე ის
არის, რომ თვითონ შენი წერილებებსაც
დამახვედრო როდისმე. — ამ ხელათ რომ წი-
თვლი ღვინო მოგვიგიდა, ძალიან მოგვწონეს;
მაგრამ თითქო წითელი ღვინის გამოგზავნა
არ ამირებდნენ. დევან მომიკითხე.

ბევრს გაკაცებ შენი ჰაჰაშა.

ჩემთ საყვარელო და ძვირფასო
შვილო ნინუკა!

ჲე! აგალაპარაკე თუარა! აქამდისინ შენ
ჰაჰაშას ორითდ სამს სტრიქნისა სწერდ
ხლომე. იმასაც რა ნაილაჭობით: ხან თავი-
სებურად ავათ არისო, — ვითამდა კარგათ უფა-
ნა არა სჯობდეს ავადუროთხმისა; ხან ჭა-
ისევა სძინავს და მოწერა როგორ შეუძლია.
ახლა კი ლაათიანათ გაჭრელებული წიგნ
მომიდიდა შენი, და რასაკვირებელია, რომ მი
მიამა. მაგრამ ერთს ადგილასა სწერ, თ
ნინუკა გიყვართ, ჰატურა ადრე დაიწევთ ხლი
შე წერათ. მერე ვინ გითხრა, რომ მე ნინუ
მიევარს. სულაც არა. აქათდა ჰაჰაშა და ლომ
აქ არ არიანო, მუზიკისათვისაც დაინიჭებო
თავი, ფრანცუზულისათვისაც. Mais ce
est pas bien, ma chérie belle fille, savez-vous. Vous pouvez lire et écrire; donc vous
pourrez continuer vous même. მაგრამ მათ
ბევრს გაკაცებ, ჩემთ ნინუკა, ძალიან ბევრს
რომ გათემუნინ: ეს, კარგია ახლა ჰაჰაშა.—
მაშ მძასლისაგან მზასლის იმედი უნდა ვ
ქონიო, რალა! დიალ კარგი და ჰატურისან
მოგვიკითხავ ჰატივისცემით როგორ დებს.

შენი ჰაჰაშა.

ჩემთ გულით საყვარელო კეკლუკ
შვილო (belle fille). ნინა!

ოთხი არს ათახში მოთავსდებით თვალი
მაინც, როდესაც ქალაქს ჩამოსვლა მომისდ

თა, როგორ იქნება, რომ ჩემ შეიღებთან არ ჩამოგდე. მართალია, მზახსლების ერთ თახში მარტო უთვისა არ იყარგებს, მაგრამ განა არ შეიძლება ისე მოფეწუთ, რომ დედა და შეიღი ერთს თახში იყვნენ და მამა და შეიღი მეორეში. აქ მეუღლეოთ განსორება მოდისო, შეიძლება სთქვას ვინმემ; მაგრამ თრისამი დღით რა დაუშავდებათ? უფრო გაქანებით ან შეუტევებ ერთმანეთს. გი! შენ-ტე!

დღეასთან *) მოწერილი შენი სიტყვები გადასწრებ ჩემს წიგნში და ისე გუგზავნი. ასე ჩემთ კარგო და ტბილო ნაირ.

როგორ მოგეხვევით, დაგდოცნით და მამა შეიღირის გრძნობით დაგდოცნეთ.

თქვენი პაპაშა.

ჩემო საიმედო შეიღლო ნინუკა!

ჩვენს ახლანდელს შიწერმოწერაში სხვათა ადამიანის გულის თვისებათა შორის თრთვისება გამოიხატა შესანიშნები: 1. როდესაც გული საგვეა გრძნობით რომლითამე, სიტყვა აღარ ესერხება ამ გრძნობის გამოსათქმელი, თუ რომ ტბილია თვითონ ეს გრძნობა.—

2. როდესაც აღელებულია რისგანმე, მას შინ თავის თავად იბადება ისეთი მრავალ-სიტყვებისა, რომ საიდამ ახერხებს ამდენსო, ატევის მსმენელი.—

ამათში პირველი იუთ მიზეზი, რომელმაც გამოითხოვა მეორე და ამითი სხვა მოვალეება დამტკიცდა, რომელიც ცხადად გვამსილებს, რომ შეთანხმებული და შეთვისებული უთვილას ის გულიც, რამელასც სიტყვა შემთაქლდა, შემთაქლდა გრძნობით საგვებისაგან და ისიც, რომელმაც მრავალი აფრენია აღელებისაგან. ერთი ერთდებოდა, შეტი არა მომიღიდეს რათ, მეორე ჭავრობდა ამ მორიდებასა, შენ როგორ იტევი: ამით გავათავ ჭით.

*) ლოკას დიმიტრი, უძახდა თავის ქალს ელენეს.

დედა და ქმარი ბთრჯომის წასედას გირჩევენ, შენი სენისაგან ეგების განიკურნოთ. და შენ კი უფლენიბი, აქალა წიწილები მოუვალელად დამრჩებიანო. ქალო! შენ თღონდ შენი საკუთარი, ესე იგი, კოსტუმებული წიწილები გვაჩვენებ და ქამის წიწილები თუნდა სულაც ნუ გამოგვჩენან.

გადაგეხვევით ორთავე ცოლქმარს (ყისტებში შემარტინმა—ჯერ ქალი და შერე კაცი), ძალიან დაგდოცნით და დაგდოლავთ შენი პაპაშა.

ახლაც იტევი, ცოტა მოშერეათ?

მე შეძებლო კიდევ ამომეწერა სხვა წერილებიც. რადგან ნინოსა და დიმიტრის ვრცელი მიწერ-მოწერა ჰქონიათ ერთმანერთთან, მაგრამ ისეც ცხალია ამ წერილებიდან, თუ როგორი განწყობილება ყოფილა მამამთილსა და რძალს შორის.

დიმიტრის ყოველ სიტყვაში ჩასკენილია ღრმა სიყვარული და პატივისცემა ნინოსადმი. ამგვარი აღამიანის სიყვარულსა და პატივისცემას აქვს თავისთავად გარეუშე ყოველისა დიდი მნიშვნელობა და ფასი, რადგანაც დიმიტრი უბრალოდ, დაუშსახურებლად არავის შეიყვარებდა და არავისა სცემდა პატივს, რძალი კი არა ვინც უნდა ყოფილიყო.

დიმიტრი რომ არა სცემდოდა, ეს მისმა რძალში მთელი თავის ცხოვრებით დაამზრკიცა:

დიმიტრი ნინოს მასწავლებელი იყო. დიმიტრისაგან ისწავლა ნინომ სიყვარული სამშობლოსადმი და მას დღეს აქეთ თავის ძალლონეს და ენერგიას ეს ქალი საზოგადო საქმისადმი სამსახურში ჰქონდას.

კოტე და ნინო სხვა და სხვა გზით ემსახურებიან მიზანს—სამშობლო ქვეყნის აყვავებას.

საზოგადო საქმეებს გარდა ნინო მწერლობაშიც იღებს ღიდს მონაწილეობას.

1895 წლიდან მას აქვს დაწერილი რამდენიმე სურათი—ზოგი ორიგინალური, ზოგიც ნათარგმნი რუსულიდან და ფრანგულიდან. აქვს დაწერილი სხვა და სხვა საკითხებზე პუბლიკისტური შინაარსის წერილები. გაღმოთარგმნა რომანი „სპარაკი“, პიესა „სპარაკი“, ფრანკოს მოთხოვნა „ნაძირალნი“, პიესები: „ავი სენი“, „აზირებულია“, „დონპიეტრო დე კარუზო“, „წერილი“ და სხვ.

მთარგმნელისათვის ღიღილი საჭიროა იკოდეს, თუ რა უნდა მიაწოდოს, რითი უნდა დაინტერესოს მყითხველი. ნინოს რომ ეს კარგათა პერნდა გათვალისწინებული, სხვათა შორის, სპარაკის გამოცემით დამტკიცა. ამ წიგნმა ღიღილი აღტაცება გამოიწვია მუშათა შორის და მათს გათვითცნობიერებას ღიღილი სამსახური გაუწია.

აი როგორის წერილით მომართეს ნინოს მუშებზა ამ წიგნის გადათარგმნისა და გამოცემის გამო.

ქ-ნო ნინო ყიფიანისა!

თქვენ მიერ ნათარგმნი ისტორიული რომანის სპარაკის წაკითხვაშ დიდათ ადრაციანაში მოგვიყვანა. თუმცა დიდათ ვცდილობდით ჩეგნი გულწევილობა დაგვეფარა, მაგრამ ამათდ, წმინდა გრძნებაშ თვეისი გაიტანა და ბევრი ცრემლი გამომგეტვიდა ჩეგნდა უწებურად თვალთაგან. რადგანაც უკნასგნელს გულის სიღრმების ჩაგვწევდა ადრაცებით გრძნებანი სპარაკის მოქმედებით გამოწევეული და იქ მოეცხო წერაულს მაღამდე.

ნუთუ ჯიფენითლის ნაკურთხი კალამი ისე ხელოვნურად აგვიწერდა თრი ათასის წლის წინეთ მომხდარის ამბავს, რომ დღესაც ასე განსაცვივწევდეს და საგულისხმიერო გაკვე-

თიღს წარმოგვიდებენდა? თავისუფლად შეგვიძლიან გსთქვათ, რომ დღესაც ზედ გამოწერ რიღს გაკვეთიღს შეადგენს სპარაკის სიუგარული ჩაგრულთა ძმებისათვის... ჩეგნის თავს მოვალეთ ვრაცხო, რომ საზოგადოთ უოველს ჭეშმარიტის მოდვაწეს დირსეული მადლობა გამოცხადოს. ამისათვის მოგმართავოთ იქვენ ქართველი მუშა-მკითხველნი, ვინც კი წავიკითხეთ დიდის მხდლობით მაგ თქვენის დაღის შრომისათვის, რადგანაც არ დაზოგეთ არც ნივთიერი და არც გონიერი ქონება ამ ძვირფასი განძისათვის, რომელიც გაჭირდეთ უოველი ქართველი მკითხველისათვის ხელ მისაწილი, თქვენის ნიჭით, დაუზარელის შრომით და მშევნიერი მშობლიურის ენით. ამისათვის უკრჩხვთ უველა ქართველ მკითხველს, რომ უკრჩხვად წაიკითხოს, რადგანც მასში ნახავს ბევრს საგულისხმიერო ამბავს, რომელიც გამჭირდია დღევანდელ ჩეგნის ცხოვრებისათვის, რომ დღესაც იგივე მონაბაა, დღესაც ერთი ბატონია, მეორე კი მონა, დღესაც ერთი მეორის შრომის ნაურიზე ბატონიბის და სხვა... მხოლოდ რასაკვირველია. იმ განსხვავებით, რომ დღეს სხვა ფორმებშია განცემული. იმედია, რომ უველა ჩეგნი მკითხველი დირსეულად დაათვასებს თქვენი შრომისა და ვისურვებთ, რომ თქვენებრ სხვ. ნიც აღმოჩენილიერებენ და თქვენის მიბატვიდ სამსახური გაეწიოთ ერთსათვის.

დავსთებით თქვენი პატივისმცემული რეანის გზის სახელთსნოს ხელისხმები ვანო ჭავჭავაძე და სხვანი.

მუშებისაგან ამგვარი შინაარსის წერილის მიღება და ასეთი მაღლობის დამსახურება ღიღილი განძია საზოგადო მოღვაწისა და მწერლისათვის.

ზაფხულობით ნინო აგრძელებდა ქვიშეცემის სცენის მოყვარეებს, რეპეტიციებს მართავდა თავის სახლში, მოამზადებდა

პიესებს და შემდეგ მართავდა წარმოდგენებს ქვიშეთში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში. შემდეგ და შემდეგ საზაფხულო წარმოდგენებისათვის ნინო ჩვენს მსახიობებსაც მიიწვევდა ხოლმე.

წმინდა შემოსავლიდან ნინო დახმარებას უწევდა ღარიბ მოწაფეებს, სტუდენტებს, სოფლის მასწავლებლებს და წერაკითხვის საზოგადოებას.

ამგვარად მიმდინარეობდა აღნიშნულ ალაგებში. ზაფხულობით წარმოდგენების მართვის საქმე ნინოს მეთაურობით, სანამ სურამში არ დაარსდა ამ რამდენისამე ჭილის წინეთ დრამატიული საზოგადოება.

თბილისშიაც ნინოს ბევრჯერ გაუმართავს წარმოდგენები მსახიობების სასარგებლოდ.

თავად-აზნაურობას ხშირად გამოულია ფული ჩვენი თეატრისათვის. ამ საქმეში ნინოსაც წილი მიუძლვის, რადგანაც მისის თხოვნით ბევრჯერ მიუკია გუბერნიის შარშალს თეატრისათვის ათას შანეთობით.

დიდი დახმარება გაუწევია ქ-ნ ნინოს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. მან დაარსა ფულების შესაკრებად ყულაბები და ამ საქმის მოსაწესრიგებლად დიდი შრომა და ენერგია. დაუხარჯავს. ჩვენ არისტოკრატ ქალებს დაურიგა ყულაბი, მიმართა ყველას ცალკე მოწოდებით და „მატიცის“ ნომრებით. უხსნიდა ყველას ამ საქმის დიდმნიშვნელობას და ამგვარის-

ბეცადინეობით ჩვენი ქალების საზოგადო საქმისაღმი გულგრილობის მაგარი კედელი შეანგრია. პირველ ხანებში რამდენიმე ასი თუშანი შეეროვდა ამ ყულაბების შემწეობით, მაგრამ შემდეგ და შემდეგ საქმე თანდათან შეუერჩდა და ბოლოს სრულებით ჩაიფუშა.

ნინომ შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას 800 ცალი „სპარტაკი“ ნახევარ ფასში და აგრეთვე 600 კვადრ. საჯენი სააგარაკო აღგილი.

დიდი შრომა დასჭირდა ნინოს სხვა ჩვენ მოღვაწე ქალებთან ერთად ილიას ფონდის ქალთა წრის დასაარსებლად როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებშიც.

რაფიელის, აკაკის, ეკ. გაბაშვილის, საფაროვი-აბაშიძის იუბილეებზე ქალების. წერმომაღენლად იყო ხოლმე ნინო და ყოველთვის გრძნობით და შინაარსით სავსე სიტყვა წირმოუთქვამს.

ნინოს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ განსვენებულმა არჩილ-ჯორჯაძემ დასწერა დიმიტრი ყიფიანის საუცხოვო პიოგრაფია, რომელიც სამწუხაროდ დღესაც არ არის ცალკე წიგნად გამოსული.

ყოველგვარი მასალა ნინომ დაუმზადა არჩილს, თორემ ვინ იცის, როდის ველირსებრიდით ამ დიდებული ქართველის ბიოგრაფიას.

ივ. გომართელი.



შინაური მიმოხილვა

საჭიროა განვახორციელოთ 1914 წლ. პირველი ივლისის კანონი

1 ასეული 1914 წლის, ივლისის პირველს რიცხვს, გამოიცა კანონი რუსეთის კერძო სასწავლებლებისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს : რა-რუს ეროვნებათა მიმაჯღისათვის. იგი ნებას აძლევს კერძო სასწავლებლთა დამზუქნებლებს მოწაფეთა საშოთლო ენაზე აწარმოვთხო სწავლა-განათლება და ამისთვის მოუპოვონ კიდევ. კურს-დამთავრებულთ ამ სასწავლებლებში იმისთვის უფლება, რა უფლებაც ეძლევათ სახაზინო სასწავლებლის მოწაფეთა, უკეთ მომზადება მათი აკმატულების მმართველობის პროგრამების მთხოვნილებას და გამოცდასაც დაიწერენ რუსულს ენაზე მთავრობის წარმომადგენელის თანასწრებით. ამ კანონით საჭალდებულოა შხოლოდ ის, რომ რუსული ენა ასწავლის კერძო სასწავლებულში და რუსულს ენაზე გეოგრაფია რუსეთისა, რუსეთის ისტორია და რუსული დაიტერატურა. ამათ გარდა სხვა რა საგნები უნდა ისწავლებოდეს, ამის უფლებაც დამზუქნებულთა აქვთ მინიჭებული.

რამდენად სასიკეთოა მოსწავლეთათვის, როდესაც იგინი სამშობლო ენის საშეალებით იწყოთნებან გონიერივად და ზენობრივად, ეს უკეთ ცნობილია მრავალთათვის. მაგრამ ამ უამას, როდესაც სხენებული კანონის ძალით შესძლოა ამ ჟემშარიტების გატარება ცხვრებაში, სჭიროდ მიმაჩნია მთავრები მასც განვითარება და საგანი, რომ ფრთხილად, ცნობიერად მოვალეობა მას მომავალს წლიურს კრებაზე მაისში.

ადამიანის სულიერი განვითარება უმთავრესად იმაზე არის დამოიდებული, თუ რას

იძენს იგი გარემონტველ ბუნებისაგან და იმ პირთაგან რომელიც მას გარს არ ტუან. შთაბეჭდილებასი ცხადი, მოვალებული ბუნდოვანი და აძლევენ მას სწრა შენებას გარეშე საგნებზე და ამდიდრებენ მის სულიერ საფარის სადას ცოდნითა, რომელიც არის საუკეთესო იარაღი ცხვრების გველზე საბრძოლვებული. სულიერ ძალას მოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ პირების, რომელთა შორის სწარმოების შთაბეჭდილებათა გარდაცემა ადამიანის გრძებაში. შთაბეჭდილებანი ელვის სისწავით იჭურებან ხოლმე შეგნებად, მაგრამ თუ იგინ მოვალებული არიან სიცადეს და გაურკვევენი. არიან იმ პირისათვის, რომელიც ექვემდებარება მათს მოქმედებას, მაშინ შთაბეჭდილებათა გარდაცემა შეგნებად ძნელდება ხოლმე, გვიანდება და იძლევა ბუნდოვანი ცნობას, სუსტად დამუარებულს ცოდნას. აშემთხვევაში აზროვნისა აზროვნისა სწარმოების სუსტად და გონიერი უნებრივი განვითარება მისი დაბრკოლებულია. რაგინდ ცხდი იუს შთაბეჭდილება გარემონტველის რაც უნდა თვალსაჩინა იუს უოველივე, რაც ჰქმნის ჩვენზე შთაბეჭდილებას, იგი უენოდ, ე. ი. თუ გაშემქმნებული არ არის სიტევები, შეუძლებელია შეგნებული იქნაცნობად და საფუძვლიანია. შეგნება—აზროვნისად და სიტევა განუკურებანი არან ერთმანეთთან. შეგნება გძებას სიტევას, რომ მიღლის მასში გამოხატულობა, იგი, ასესთქვათ, ჰქმნის სიტევას, ხოლო სიტევითავის მხრით განამტკაცებს გონების მიერ შექმნილ ცნებათა და აგროვებს შეთ ადამიანის სულის საფარში. ცნებანი ერთგზარი

და დაბული და დოდიგურად დაგავშირებული ერთმანეთშორის, შეაღენენ ცოდნას. თანდათანობითი შეთვისება ბავშვის, მიერ ენისა იგივე თანდათანობითი განვითარება არის მისის სულისა და შექნა მის მიერ სხვადასხვა გვარის ცოდნისა.

ასე ბუნებრივად მიმდინარებს ხოლმე სამშობლო ენის საშეალებით განვითარება ბავშვისა სასკოლო ასაკიდის. შემდგომ, როდესაც იგი სკოლაში მიეპარება, თუ იქაც სწავლააზრდა იმავე ენაზე სწარმოებს, განვითარება მისი იქნება გაგრძელება წინა განვითარებისა და მისი სულიერი ზრდა სკოლაშიაც ბუნების წესის თანახმად სწარმოებს ძალადაუტენებლივ, თავისუფლად; ბუნებრივად იფურჩქნებიან შემთქმედებითი ძალები სულისა, გითარდებიან და მზადდებიან, რომ თავის დროს განხორციელებულ იქნან ამა თუ ცოდნაში, ამა თუ იმ მეცნიერებაში ანუ ხელფაქნებაში. შირიქით, როდესაც ბავშვი უცხო ენაზე იწყებს სკოლაში სწავლას, იგი მაშინვე სწერეს აკვიდინ დაწესებულს ბუნებრივს ზრდას სულისას. ამ შემთხვევაში სულიერი განვითარების კოერებმა, რომელთაც იწყეს გაფურჩქნა თვალის თბილ და მოალერსე ატმოსფერაში, მაგრამ ჯერ კადეც ვერ მოუსწორათ სავსებით გარდაქცევა უვავილებად და ნაუფლად, უნდა შეაჩერონ თავის ალევების მორცესი; იგინი უნდა დასუსტდნენ, დასტენენ, რადგან სასტიკად ჭიედება მათ სუსზი უცხო ენისა, რომლითაც უმასპინძლდებიან ხოლმე მოსწავლეს სკოლაში შესვლისათვალი. ამისთანა შირიქით შეთქმის ცხად შეაძლებილებათ მიღება, გარდაქნა მათი შეგნებად და ამასთან შეერთებული აზროვნება დამრკოლებულია, უცხო ენაზე სწავლის დროს იმისთან ფორმებში, იმისთან სიტყვებში უნდა ჩამოასხას ბავშვმა თავის შეგნება, თავის აზრები, რომელთადმი მას არავითარი შთამომავლობითი მიღლებილობა არა

აჭვს, ეს არის ამჟამად უუდიდესი შიზესთაგანი, რომელიც აბრკოლებს ქართველ ერმათა განვითარებას და წარმატებას სწავლაში. ამისთანა გზადასშელობა სულიერად აკნინებს ადამიანს, ადატაგებს შის გონიერის საფაროს. შემთქმედებითი ნიჭი მისი სჩულენგდება. ამ მდგრმარეობაში გარემოცულობის სხვადასხვა მოვლენანი და საგნები ხალისს ვერ იწყევენ მოსწავლეებში; აზროვნობა მათი ამის კამის დუნდება, ჭრანტდება და იწყება სიზარმაცე — მიზეზი მრავლის ნაკლებობანობისა, გონებრივისა და ზენებრივისა. შრომის მოვალეობის უქონლობა სხვადასხვა გეთილმისწრავებათა — ერველივე ეს უმეტეს ნაწილად არის შედეგი მისი, რომ შესწედა ბუნებრივი ზრდა სულის ძალების, — რომ ეს ძალები დასუსტდნენ, დაჭვარებს წათ სიმახვილე და ენერგია.

თუ გვინდა მომავალში მაინც განვთავისუფლდეთ ამ დიდმისგნებლოგან ნაკლობგან (ამის არ ნდომა კი უარეთვა იქნებოდა თავისთავისა) აუცილებლად საჭიროა ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმე. მოწეობილ იქნას სამშობლო ენაზე. ეფექტს ეწეს გარემოა, რომ სკოლა სამშობლო ენისა მისცემს ჩვენ ასალთაობას ბევრად უფრო მეტს ცოდნას, გილო ახლა ეძლევა რესულს ენაზე, და უფრო საფუძვლიანს, უფრო მტკიცეს. თვით სული ენისა და რესული დიტერატურის შესწავლა მაშინ. კიდევ უფრო მიმზიდებილი უფრო ნაუფლერი იქნება ქრთველ მოსწავლეთაგვის, ვინაიდნ ფინისურ კანონებთან შეთანხმებული სწავლება და თავისუფლები ზრდა სულისა გამოიწევეს მათში მეტს მისწრავებას საზოგადო ცოდნისადმი და უფრო ენერგიულად აამუშავებს მათ. ბუნებრივი წეურვილი ცოდნისა, რომელიც თან ახლავს წწრო ჰედაგრეიურ საფუძვლებზე დამერებულს სწავლას, საუკეთესო თავმდები იქნება მისი, რომ რესუსულ ენას კარგად შეისწავლიან.

კარდა ამ მოსხურებისა, რომელიც წარმოადგენს ზოგად შირობას სწავლის უკეთესად და უკენებისთვის, განახლებულს სკოლაში ასალი კანონის მოთხოვნილებასთან ერთად ხმარებულ უნდა იქნას სტუდიალური ღრინისძიებასთან რესული ენის შეიავსებისთვის იმ ზომიდის, რომ მოსწავლეთ კინონიერის ენით შეეძლოთ თავის აღრის სრულად გარდაცემა სხვისათვის როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც და გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ შესძლონ წარმატებით სწავლა რესულის უმაღლეს სასწავლებლებში. ამ უმაღლეს სტუდიაში ენის კარგად ცოდნას იმას ეძახიან ჩვენში უკუმართო პედაგოგები, როდესაც ქართველი ჰყარგავს თავის ენას, გელა ახერხებს მასზე ფიქრსა და მსჯელობას; შეგრამ ამისთვის წოდნა ღმირთმა გვაშოროს.

დამატასტურებული საბუთი მისი, რომ შესაძლებელია სასიკეთოდ განსაზღვრულდეს ახალი კანონი, შეგვიძლიან ვეზენბორ თვით რესულის ცხოვრებაში, სადაც არა ერთი მაგალითი უფლისა, რომ რესულის ქვეშრლომ გერმანელების, რომელთაც სამშებლო ენაზე ჰქონდათ გვლილი გიმნაზიის კურსი, საქმიან მოშზადება გამოუწენით და წარმატებით განუგრძიათ სწავლა რესულის მაღალ სასწავლებლებში. ამგვარსავე საბუთს ვხედავთ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაშიც: ზორბეგთნი მათგანი სწავლის დამთავრების შემდგომ რესულს ენაზე აქვერ სამუშალო სასწავლებლებში, მეტყველეობას სოლიკ საზღვარგარეთ და ერთის წლის მუშაბდის შემდგომ ფრანგულისა ან გერმანულის შესასწავლად, რომელთაც ძალიან მცირე ცოდნა გაჭირვათ აქედან, შედიან იქ მაღალ სასწავლებლებში და წარმატებით სწავლობენ. ჩემის აზრით ამგვარს სამშაბურს. გაგვიწევს ჩვენ და გადავ შპერესაც ქართველი გიმნაზია, ქართველი ენასე აგებული. მის მოწავეთ შეუძლარებლად შეტა ცოდნა ექნებათ

რესულის ენისა, ვიღრე იმ ქართველ ახალგაზდათ ფრანგულისა და გერმანულისა, რომელიც რესულიდან მიღიან საზღვარგარების მაფალ სასწავლებლებში.

მოსაზღვრული წარმატება რესულის ენის ცოდნისა მიზევნილ იქნება რამდენიმე სხვადასხვა ღრინისძიებით: ა) დაწევბული მოსამზადებელი კლასის პირები განუდოლებიდან (სასწავლო წლის მეორე სახევარში) გიდრე გიმნაზიის რვა კლასის დასრულებაში დის უფლება კლასში უნდა იქნეს საკმარის ცხვირი რესული ენის გავეთავებისა; ბ) გიმნაზიაში უნდა იქნიოს კარგი ბიძფითოება, რომელშიაც მოთხოვებოდეს გველა წარმინუბულ რეს მწერალთა თხზულებანი და ურმათა საკითხსავი წიგნები იმდენი, რომ ერთს და იმაგვე დროს კრთი და იგივე თხზულება ეძლება წასკითხად არა ერთსა და ორს მოწაფეს, არამედ მრავალთა; გ) უნდა იმართებოდეს მასწავლებლთა სელმძღვანლობის ქვეშ კოლეგიური კითხვა წიგნებისა გავითილებს გარეშე; დ) თვით მოსწავლებას უნდა გავალებოდესთ წიგნების კითხვა შინ იმ პირობით, რომ წაკითხული შეამოწმოს მასწავლებლმა — მოსთხოვებს ხთლობე მათ ანგარიში, რა წაიკითხეს და რა გაიგეს; ე) თვეში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს გიმნაზიაში საშინაო დიალექტურული სალაში დილა, (მოწაფეთა, მასწავლებლთა, გამზენ კომიტეტისა და მშებელთა წრის საბჭოს წერთა თანადასწრებით), სადაც მოსწავლება გვიამბობდენ ხლომე რესულად, უცხოი ან წერილობით, შინაარს მათ მაერ წაკითხულესას, ახასიათებდენ დიალექტურულ ნაწარმობთა გმირებს და სხვა; ვ) კაბუგთათვის მიმზიდებელსა და ენის გარჯომშებისათვის ნაუფლიერს მუშაბდის წარმოადგენს გასამართლება და ტერიტორიულ ნაწარმოებთა გმირების და ამგვარ მუშაბდისაც საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სხვა ღრინისძიებათა შორის; ზ) ნე-

ს უნდა ეძლეოდეს მოწაფეთ ხელნაწერი უკრაშის გამოცემისა მასწავლებელთა მეთვალ-უერთბის ქვეშ; თ) შემოღებულ უნდა იქმნას სწავლება ხელსაქმბის ზოგიერთ დარგებისა და ამ დარგებში მუშაობის დროს მოსწავლე-ებმა უნდა ივარჯიშონ რუსულს ლაპარაკში და სხვ.

ქართული ენა, ერთი უმთავრეს საგანთაგანი გამნაზის კურსისა, უზრუნველყოფილი იქნება მით, რომ მას კურთხვანი ადგილი მიეცება გაკვეთილების რაოდენობით, სწავლება საგნებისა ქართულის ენაზე იქნება და გარდა მისა მის საფუძვლიანად შესწავლი საოვალის ხმას რებულ იქნება იმგვარივე ზომები, რუსულის ენისათვის რომ ჩამოვალვალეთ.

რადგანაც საგნების სწავლება სამშობლა ენაზე იქნება, რაიც ბევრად გაუსდილებს მოსწავლეთ სიძნეებს სწავლისას, უკრებელია მთელი გიმნაზიის კურსი თავისუფლად იქნება გავლილი შეიძლება კლასში (მოსამზადებელს კლასს არ ვდგებულობ სათვალავში). მაშასადამე, მერჩე კლასის დანიშნულება იქნება მსოფლიო განმეორება უკვლა სანების რუსულს ენაზე. აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ურველს საგანს, თვითულს მეცნიერებას თავისი სტერილური ტერმინები აქვს, რომელთა უცოდინარობა რამდენად მეღაბრებულებს საგნების გამეორებას მერვე კლასში, მაგრამ ადგილად შესძლებელია ეს ტერმინები გადაცეს მოსწავლების დაბლა კლასში ამ გვარდ: მას შემდგომ, როდესაც მოწაფეები ქართულს ენაზე შეითვისებენ გამეორებას ტესაცერის ტერმინოლოგიათა და დასკვნით, სტანდარტულებულს შეუძლიან გარდასცეს მათ, რამ რუსულად ესა და ეს ასე ითქმის, ამ ურთეშლით; მაშასადამე, გარდაცეცების მათ შოდილ დასკვნა, მსოფლიო კანონი მთემატიკური, ბუნების-შეტევებულური, ფიზიკური და სხვ. ეს ცოტა დროს მოითხოვს და არას

ავნებს ქართულს ენაზე სწავლებას. ამ გვარად ტერმინები ეცოდინებათ მოწაფეებს რუსულაც და აზარ გაუმნებულდებათ რუსულს ენაზე გარდმოცემის ნასწავლისა, როდესაც მას საჭიროება მოითხოვს.

საქმეს რომ შეუღებით და გაიმართება მუშაობა, მაშინ მაღალ, არა უგვიანეს სამის წლისა, საკიად გამოირგვება, რამდენად შეს საძლებელია გამართლდეს იმედი, რომელსაც ვამერაბებთ მერვე კლასზე. თუ დაგინახავთ, რომ საჭიროა, შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო გავაძლიეროთ დონისძიებანი— 1 წლით გავადიდოთ გიმნაზიის კურსი და გავხადოთ იგი ცხრის წლისად. მაშინ შეგვეძლება თრი წელით მოვახმაროთ რუსულს ენაზე საგნების განმეორებას ზოგრონი რომ ჰეთიქ-რობენ ამ ჟამად სწავლის წარმატებისათვის საჭიროა მოსამზადებელი კლას კლასის მეთხე განეთვილება არ არის, ეს ჩემის აზრით გადაჭარბებულია. არველი კლასისთვის რომ მომზადება უმაწვილი სრულიად საკმარა ამისათვის სამი წელიწადი, და თუ საჭიროება მითხოვს უკეთესი იქნება ერთი წელიწადი მიემატოს არა მოსამზადებელი კლასს; არამედ გიმნაზიის კლასების. მაშინ შესაძლებელი იქნება საგნების უფრო ზომიერად განაწილება კლასებზე და მოსწავლეთათვის ტერმინის შემსებელება, რომ ექვს-ექვს საათს არ ისხდენ ხოლო გამეორებას შეიძლება და შეარცენ კლასში. ურველს ეჭვისგარეშე, ცხრა წლისანი გიმნაზია იმდენად მომზადებელი კას ბუკთ, რომ იგინი თავისუფლად დაბჭერენ გამოცდას რუსულს ენაზე და საგნების ცოდნაც გაცილებით შეიტან ექნებათ და უზრომ მტკაცე, ვიდრე ახლა. გარდა ამის ულიერი ძალები კურსი თამთავრებულთა ისე როდიდა იქნებან მოქანცულინი და საწერივს ენერგიას მოკლებულნი, როგორც ამ ჟამად.

რაიცა შეხება სახელმძღვანელოს სხვა

და სხვა საკუბისათვის, ზოგიც მთი-
ზოვებიან ქართულს ენაზე და ზოგიც უკვე
იძებულებიან. ამ შერით დარტყმულება არავითა-
რი მოედის ქართულ ენაზე სწავლებას, ვა-
ნაიდგან ჩვენი ორი ქართული გიმნაზიის
მასწავლებელი და გიმნაზიის გარეშე შეფ-
ფინი მცოდნე ქართველი შესძლებენ რიგიან
სახელმძღვანელოთა შედგენას. მაშასადამე,

შესძლებულია მამდინარე წლის ენგენისთვი-
დან თამამად დავადგეთ ახალს გზას და
დაწებული. მოსამზადებელი და პირველი
კლასიდან თანდათანხმით განვახორციელო
ჩვენს ქართულ საშუალო სასწავლებლებში
წარმოება სწავლა-ადგრძისა თანხმად ახალის
კანონისა.

აღ. ჭიჭინაძე.

ახირებული თავისმართლება

(უგანასგნელი ჰასუხი „შადრევნის“ დარსების რედაქციას)

იმას გსწყინობა: ავნი ავსა
თვით იქმენ და სხვას-კი სძრაპვენ.
დ. გურამიშვილი.

წოვორც მოსალოდნელი იყო „შად-
რევნის“ რედაქტორი ბოლო. წერილში
(„შადრევნი“ № 16) საკმაო ეპიტეტე-
ბით შეგვაძლი და ამით ლამობს ჩვენს
მოთმინებიდან გამოყვანას, მაგრამ ამაშიაც
სცდება დინჯი და თავდაკერილი რედაქ-
ტია, რომლისაგან ძაგებით შემკობა უფ-
რო სასიამოვნოა, ვიღრე ქება-დიდებანი.

ეს დარბაისელი რედაქტია თვისი ჭაღა-
რა და უწვერულთა შემადგენლობით ვერ
მიმხვდარა, ან არ უნდა მიხვდეს, რომ
მან შეცდომა ჩაიდინა, როცა ბ-ნი პ. ჯა-
ფარიძის სალ აზროვნებას მოკლებული
წერილები დასტამბა განსვენებულის იაკობ
გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნების
შესახებ და ეს პასკვილი საზოგადო საქ-
მისათვის საკეთილოდ მიაჩნია. რედაქტიას
ავიწყდება, ან არ უწყის, რა კრიპაში
უდგანან ჩვენი განათლების მტერ-მოკე-
თები სალ პედაგოგიურს მიმართულებას
ჩვენს სკოლებში, ავიწყდება მას, რომ
გოგებაშვილის სახელმძღვანელოები უაღ-

რეს ხარისხით იქმნა მოწონებული, მაგ-
რამ პოლიტიკან—მოხელეების წყალმის
1912 წლის ბორჯომის კურსებზე უკანას-
კნელ ხარისხოვანად მოიხსენიეს და უპ-
რატესობა წმინდა რუსულ სახელმძღვა-
ნელოებს დაუთმეს; რედაქტია ანგარიში
არ უწევს. იმ გარემოებას; რომ ჩვენში
ჯერ კიდევ არიან მასწავლებელთა შორი-
საც წაქაძეები, ჯანელიძეები, რომელნუ-
ყურმოვრილ მონიბას იჩენდნენ ტექ-
გაბარიანცის წინაშე; არიან სანაძეები
ჩიმახიძეები და გორდაძეები; რომლებიც
წინადადებით მიმართავდნენ ხოლმე სახლ-
ხო სკოლების დირექტორს—გამოცალონ
გოგებაშვილის წიგნები რუსულის შესა-
წავლად და სხვა ავტორის სახელმძღვანე-
ლო შემოილონ“ (გაზ. „იმერეთი“). იქ-
ნება „შადრევნის“ ბრძენშა რედაქტია
არ იცის ერთი გარემოება, რომელსც
ადგილი ჰქონდა ამ ორი წლის წინა-
ერთს ჩვენებურს საოსტატო სემინარიაში
სადაც მიწვეულნი იყვნენ სახალხო სკო-

ლების დირექტორ-ინსპექტორები ბორჯომის კრების დადგნოლების თანახმად სერთოდ შეთანხმებით მუშაობის შესახებ და სადაც აღძრული იქმნა საკითხი რუსული ენის სწავლებისა და სახელმძღვანელოების შესახებაც. როცა სემინარის დირექტორი და მთელი კორპორაცია ერთხმად მხარს უჭერდენ 81 წლის სასწავლო გეგმას და გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, დირექტორ-ინსპექტორები სულ სხვას გაიძახოდენ, ოქმზე ხელიც არ მოაწერეს და განაცხადეს ჩვენს აზრს ჩვენვე წარვუდგენთ მზრუნველსაო. ყველა ეს ფაქტია, საღრთო სურათია იმისი, თუ როგორ უყურებენ სასწავლო მთავრობის მოხელეები და ზოგიერთი ყურმოქრილი ყმა მასწავლებლები გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. და ახლა მკითხველმა განსაჯოს: თუ რამდენად ხელსაყრელია საზოგადოებისათვის ქართველი კაცის მიერ ქართულ გაზეთში დაბჭედილი ყოველ სიმართლეს მოკლებული წერილები გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ, რომელსაც ჩვენი მტერმოყვარენი, როცა დასჭირდებათ, მშვენიერ იარაღად გამოიყენებენ ჩვენი სკოლების საწინააღმდეგოთ, ხოლო ამ თავის მოსაკლავ იარაღის ბრძა მიმცემია „შადრევანის“ რედაქტირი, რომელიც ამ დაფარულ აზრს წარმშეურელი ქვეყნის საკეთილდღეოდაც ასაღებს და პ-ნ პ. ჯაფარიძეს ექომაგება, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. „შადრევანის“ რედაქტირი რომ სრულიად ობიექტოურად არ მსჯელობს და იგი ჯაფარიძესავით შორს გამჭვრეტელობას მოკლებული, მეტის-მეტს წინდაუხედველობას იჩენს, ეს ცხადია.

რედაქტირი საცხებით ვერ გაამართლა დანაპირები — ჩვენს აზრს ჯაფარიძის წერილების გამო ცალკე გამოვსთქვამთო,

მან ჯაფარიძის საწინააღმდეგოდ მოკლედ გაიმეორა მხოლოდ ზოგი ჩვენი ნათქვამი და მერე სამარცხვინოდ ჯაფარიძის ვექილობაც-ები იკისრა.

ჩვენ არ შევხებივართ ბ-ნი პ. ჯაფარიძის აზრს „დეტა-ენა“ და „ბუნების კარი“-ს შესახებ. რედაქტირისაც, როგორც უწყით, თავი არ შეუწუხებია ემნილი თავისი თანამშრომელი, რომ განსვენებული გოგებაშვილი არც კლერიკალი იყო და არც მუშების ინტერესების მოწინააღმდეგე, რასაც შემდეგ დავინახავთ უფრო ვრცელს წერილში. ამ მტკნარ ცილისწამების „შადრევანის“ რედაქტირი ხელს აფარებს და უნდა ვითიქროთ იზიარებს კიდეც. დიალ, ასეთია „შადრევანის“ რედაქტირის „რიგიანობა“, იგი რიხიანად გაიძანის „დასაგმობი ლირსეულად დავგმეთ“ და იმას კი არ დაგიდევსთ თუ, მართლა რა ლირსებისაა ეს გმობა და რამდენად სამართლიანია.

რედაქტირი გვეკითხება, დაგვისახელეთ ვის ვუთხარით უარი წერილის დაბეჭდვაზეო. ჰკითხეთ, ბატონებო, გერასიმე იმნაიშვილს, რომელიც თვისი ბაგით აღიარებს თქვენს სამართლიანობას „სახალხო ფურცელში“ და ის მოგახსენებსთ, თუ რა მიზეზით არ დაუსტამბეთ მას წერილი საკამათო საკითხის შესახებ. მაშ ფაქტი ყოფილა, თქვენ-კი უარობთ. ესეც უეპველად თქვენს „რიგიანობას“ შეაღენს.

„რედაქტირი ეკამათება ბ. ჯაფარიძეს და მასთან თქვენც სწორუპოვარო პედაგოგო. რად გავიწყდებათ“-ო. რიხიანად ბრძანებს ჩვენი მოკამათე. გამოიტანით! სანამლეო გერგებათ, განა მკითხველისთვის სიღუმლოა, რომ მეკამათებით, არა, მხოლოდ საარა ის არის, რომ ბ-ნმა პ. ჯაფარიძემ ბლაგვი იარაღი მოგიტანათ, თქვენ ამ იარაღს პირი მოუწყვეთ და.

მტერს მიაჩეჩო ხელში, შემდეგ ბლაგვიარალის მომტანს შეეკამათეთ და ამას „რიგიანობას“ ეძახით. ეს თუ „რიგიანობაა“, ურიგობა რადას უნდა ვუწოდოთ, არ ვიცი.

აალაც განსაკუთრებული ტვინი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ჩემი ოდესმე ნათქვამიდან ან ნაწერებიდან ასეთი დასკვნა გამოყენანოს: „ვისაც ამე დაუწერია გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ სიცრუით სავსე ყოფილა“. და ამ გვარი დასკვნა ბრძენ რედაქტიას ჩემი შემდეგი სიტყვებიდან გამოჰყავს, რომელიც აწყოს ეხება და რედაქტიას კი შეცვლილად მოჰყავს. ესეც „რიგიანობაა“. ამ ჩემი სიტყვები: „ისეთები-კა, ვინც სიცრუით სავსე წერილებით ცდილობენ განსვენებულის გოგპაშვილის სახელმძღვანელოების განკიქეას და პედაგოგიური საკითხიც ჩინურ ანბანად ეჩვენებათ, კარგს ვერას შესძენენ ჩვენს საპედაგოიო მწერლობას“ („განათლება“ № 3, გვ. 235), განა აქედან შეიძლება ზემოთ მოყვანილი დასკვნის გამოტანა! მკითხველი უეჭველია ჩემი სიტყვებიდან მიხვდება, რომ აქ სახეში გვყავს ბ-ნი 3. ჯაფარიძე და „შადრევანის“ მთელი რედაქტია, რომელიც ისეთს საგანს ებლაუჭება, რომლის ავანჩვანისა არა გაეგება რა.

ვინც ჩვენს საპედაგოიო მწერლობას ოდნავად მაინც იცნობს, დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ გონიერ კრიტიკას და არა ჯაფარიძისებურს, ხელი შეუწყვია გოგებაშვილის სახელმძღვანელოების თანდათან გაუმჯობაში, რაც თქვენს უმორჩილეს მონას არა ერთხელ აღუნიშნავს.

„შადრევანის“ რედაქტიას რომ საძუე შესწყვეტია და გონება აბნეულად მსჯელობს, ეს მისი „რიგიანობა“ ყველაფერში ში სჩანს. მე ვეუბნებოდი რედაქტიას,

რომ ჩემს საკამათო წერილებში, თუ როგორია გოგებაშვილის შეთოდი, არა მითქვამს რა მეოქი და მომყავდა ჩემივე სიტყვები, რომლის დამახინჯებას გვწამებს და გვითითებს. „განათლებაში“ ქვემოთ აი რა სწერია: „სისტემა და მეთოდი უსათუოდ გოგებაშვილის უნდა დარჩეს, უამისოდ შედგენილს, თუ შესწორებულს სახელმძღვანელოს განსვენებულის სახელი არ ერქმევა“ („განათლება“ № 2 გვ. 156). ამის შემდეგო, ბრძანებს რედაქტია „ჰქონდა თუ არა უფლება რედაქტიას ეთქვა“ „ბოცვაძე გვასწავლის თუ როგორია ი. გოგებაშვილის მეთოდი და ვისი მეთოდით უნდა გასწორდეს ხსნებული წიგნებით“ („შადრევანი“ № 12). რას იტყვით ამაზე? განა გადამახინჯება არაა თქვენივე აზრისა?“ („შადრევანი“ № 16).

განა ამ ჩემი სიტყვებიდანაც შეიძლება სოქვას ვინმებ, რომ მე „შადრევანის“ რედაქტიას ვასწავლიდე, თუ რო ურა გოგებაშვილის მეთოდი. არა, ბატოხებო, ტყუელად ატანთ ჰქუას ძალას, თუ ასეის უბრალო აზრს, თქვენივე ჰქუა-გონებით ვერ მიმხვდარხართ, შეეკითხებოდით მანც ვისმე. ჩვენი კამათის მთავარი საგანი განსვენებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესწორება იყო. თუ ამ სახელმძღვანელოებში შესცვლით სისტემას და საზოგადოთ მეთოდს, რომელსაც ავტორი ადგას და რომელიც სახელმძღვანელოს სულს შეადგენს, თვით ავტორის მიერ შთაბერილს, მაშინ თქვენ ასეთს შეცვლილს წიგნში სპობთ ავტორის სულს, მაშასადამე ასეთ წიგნსაც ვერ ვუწოდებთ გოგებაშვილის სახელს და სხვა, განა ეს ჰქონდება არ არის?! მეთოდი, მოგეხსენებათ, ბევრნაირია, სახელმძღვანელო წიგნების ავტორებიც სხვა და სხვა მეთოდს ატარებენ თავიანთ სახელმძღვანელოებში.

შეიძლება გოგებაშვილის მეთოდი უვარებისიც იყვნეს, ან ყველაზე უკეთესიც, მაგრამ ამის შესახებ განა მითქვამს რამე ამ საკამათო წერილებში და ან მისწავლებია „შადრევნის“ რედაქტირისათვის, თუ როგორია გოგებაშვილის მეთოდი!?. აქ არა თუ აზრის გადამახინჯებაა, არამედ შეუგნებლობა თვით რედაქტირისა, რომელსაც მარტივი აზრის გაგებაც უკირს ხოლოე.

„რუსკოე სლოვოს“ შესახებ ბ-ნი პ. ჯაფარიძის პირველი წერილი „შადრევნის“ № 4-ში დაიბეჭდა, გაზეთი ორშაბათობით გამოდის, მაშასადამე ასეთი გაზეთი კვირაობით უნდა იბეჭდებოდეს; მე-კი გასაფრთხილებელი წერილი რედაქტირის მივსწერე შუა კვირაში ე. ი. იმ დღის, როცა ჯაფარიძეს მასალაც-კი არ ექნებოდა მიტანილი. მაშასადამე რედაქტირის წინდაწინვე ეცოდინებოდა ჩემი წერილის აზრი, რომელიც „შადრევნის“ № 5-ში დასტამბა, მაგრამ სად „,შადრევნის“, რედაქტია და სად ჩემ მიერ გაფრთხილება, როცა ბრძენ რედაქტირის პედაგოგიურს საკითხებშიაც-კი თავისი თავი უცოდველად მიაჩნია. მაგრამ მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა ჯურის პედაგოგიბი სხედან „,შადრევნის“, რედაქტიაში და რაგვარ დაკნინებამდის მისულან ეს ვაჟაპეტონები.

როცა „,შადრევნის“, რედაქტირისთან გვქონდა კამათი, საჭირო იყო წერილი-დან იმ ადგილის მოყვანა, რომელიც

მხოლოდ რედაქტირის ეხებოდა, სწორედ ის ადგილებიც გვაქვს მოყვანილი („განათლება“, № 3 გვ. 237), „,შადრევნის“, რედაქტირის-კი მოჰყავს ისიც, რაც ჯაფარიძესაც ეხება, აღარებს ერთმანეთს და გამარჯვებულ მამლაყინწავით გაპყიდის: „,ბოცვაძე თავის წერილებს ამახინჯებს, სხვისას დაინდობს?“ მოდით და ელაპარაკეთ ამისთანა დარბაისელ ხალხს, რომელიც სხვის თვალში ბეჭვას ხედავს და თავის თვალში-კი დეირესაც ვერ ამჩნევს. დასასრულ ჩემის მხრით ვსპობ ყოველგვარ კამათს „,შადრევნის“ რედაქტირისთან, ჩემის აზრით საკმარისად გამორკვეულია რედაქტირის ფიზიონომია და მისი ავლა-დიდება პედაგოგიურს საკითხებში და პოლემიკურ „რიგიანობაში“. „არ გა თუთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითაო“, ამბობს ხალხური სიბრძნე და მართალიც არის, რამდენიც უნდა ამხილო „,შადრევნის“ რედაქტირი, ის მაინც მოწლილ წისქვილსავით თავისას გაიძახის. განა ამ სახელმოვანმა რედაქტირი რაიმე ახალი შუქი შეიტანა საპოლემიკო საკითხში, განა თუნდ ბისტად მაინც ლირს ის დუხჭირი მოსაზრებანი, რომელნიც მან გაუმოსთქვა?!

შემდეგ წერილში შევეხებით ბ-ნი ჯაფარიძის კრიტიკის მეორე ნაწილს და პასუხს მივლავნით მისსავე „უკანასკნელს“ პასუხშედაც.

ლ. ბოცვაძე.



† ნიკო ლომაშვილი

(ნიკო ლომაშვილი)

კრისტიანი 17-ს მცირე წნის ავადმყოფობის შემდეგ ქ. გორგაშვილი გარდაიცვალა ჩვენი ნიჭიერი მწერალი, სახალხო მასწავლებელთა აღმზრდელი--მასწავლებელი, ქართული ენის დიდი მოამავე და მოჭირნახულე, ტკბილი მოუბარი, უმწიკვლო ადამიანი, საზოგადო მოღვაწე და ჩინებული მამული-შეილი ნიკო ლომაშვილი. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მეტად დააღონა, როგორც ყველა მისი ნაცნობ-მეგობრები,

ნამოწაფარნი, აგრეთვე ყველა შეგნებული ქართველი, რომელსაც-კი ცოტად მაიც უღვივის გულში მამულიშვილური გრძნობა, რადგანაც დანაკლისი დიდია და ამის გამო გლოვა და დაუშრეტელი ცრემლი გულის სიღრმიდგან ამომდინარი, ისეთი გულშრფელია, რომელიც შეეფერება მართლა ღირსეული მამულიშვილის უდროოდ დაკარგვას.



ნიკო ლომაშვილი.

დიალ, განსვენებულს ნიკოს ფრიად დიდი ღვაწლი მიუძღვის საშობლოს წინაშე, როგორც ნიჭიერ მწერალ-ბელეტრისტს და მოზარდ თაობათა ნამდვილ აღმზრდელ-მასწავლებელს. მისს ამაგს ვეურავინ დაივიწყებს და რაც დრო გავა,

ნიკოს უკვდავ სახელს უფრო მეტი შარავანდედი მოეფინება.

განსვენებული ნიკო უკანასკნელ დღეზე დის სამსახურში იყო. მხოლოდ ამ ბოლო დროს, როცა სამსავე შვილს ორ ქალს და ერთს ვაჟს უმაღლესი სწავლა-განათ-

ლება უკვე დასრულებინა, ფიქრობდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა, მის-ცემოდა მყუდროებით ცხოვრებას და მთელი თავისი ნიჭი სამწერლო ასპარეზ-ზე სამოქმედოთ გამოეყენებინა. ბევრი კარგი გეგმა და აზრი უტრიალებდა თავ-ში აწ განსვენებულს, იგი სრულიად მოც-

ლილი, დღიურ ზრუნვას მოკლებული, ბევრს კარგს რასმე შესძენდა კიდევ ჩვენს დარიბს მწერლობას, მაგრამ უმწეო ბედ-მა უმუხთლა მასაც, ცივ სამარეში წააღ-ბინა გულს ნადები უკანასკნელი წრფელი აზრები და მით მშობელ ერსაც მდუღარე ცრემლი აღვრევინა, ცოლშვილი ძაბით



კ გ ვ

განსვენებული ნიკო ლომოური თავისი ოჯახობით სოფ. არბოში საკუთარ სახლში— სხედან კიბეზე ქვევით ნიკო და მისი უნცროსი ქალი ნინო, ზემოთ მეუღლე ნიკოსი სოფით ალექსის ასული, ვაჟი იულიანი და უფროსი ქალი თამარი.


შემოსა, ბავშვები ააქვითინა. დიალ ეს ქვითინი გამოიწვია ნიჭიერის აღმზრდე-ლის დიდებულმა სულმა. მაგრამ არც ქვითინი გვიშველის. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ განსვენებული ნიკოს ნაშრომს ქვეყნის მომავლისთვინაც კარგი ნაყოფი მოჰყვება. უკველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველი განისმჷვალება განსვე-

ნებულის ნაწერების აზრით, რომელშიაც მისი სული ტრიალებს. მართალია განსვე-ნებული ამის შემდეგ ვერ აღგვიზრდის ქართველ სახალხო მასწავლებლებს, მამუ-ლისა, ერისა და მშობლიურის ენით გა-ტაცებულებს, მაგრამ უკვე აღზრდილები, რომლებიც სამართლიანად ამაყობენ კი-დეც ნიკოს სახელით, რომ მათ განგებამ-

ნიკო მოუვლინა მასწავლებლად, რომ
მათში განსვენებულმა განაღვიძა სიყვარუ-
ლი და გრძნობა მამულიშვილობისა, ქვეყ-
ნის საკეთილოდ ისეთსავე ნაზს გრძნობას,
სამშობლოსა და დედაენის სიყვარულს
შთაუნერგავენ თავიათ მოწაფეებს, როც-
გორითაც განსვენებული ნიკო და მისი
მოწაფეები იყვნენ ერთსულად გამსჭვა-
ლულნი. ეს იქნება საუკეთესო ჯილდო
და სამარადისო სახსენებელი განსვენებუ-
ლის სახელისა, რომელსაც შთამომავლო-
ბა არაოდეს არ დაივიწყებს და მუდამ
პოეტის სიტყვებით მოიგონებს:

„შეწალთ ტებილთ,
მაშელის შეილთ,
ამაღლდი სედით ზეცამდე,
იუგ კურთხეულ,
არ დავიწებულ
ამიერიდან უკუნისამდე“.

დიალ, ნუგეშად დეე ის გაგყვეს, ჩვე-
ნო ძვირფასო ნიკო, რომ არ დაგივიწ-
ყებს შთამომავლობა, ეკლინი გზა ცხო-
ვრებისა განვლე, მაგრამ ისე აღმეცდე
ნავალი, რომელიც თავის ბრწყინვალე
შუქით ერს უნათებს ცხოვრების გზას.
საუკუნოდ იყოს შენი ხსენება ძვირფასო
და სათაყვანებელო ნიკო!



ნიკოლოზ იოსების ქადაგი და მიმოური (ზოგჯე ბიოგრაფია)

ნიკოლოზ იოსების ქადაგი დაი-
ბადა 1852 წელს თებერვლის 19-ს ს.
არბოში. ეს სოფელი მდებარეობს შუა
ქართლში, კავკასიონის მთის ძირას, დი-
დი და პატარა ლიახვების შუა და გადას-
ტერის ამ უკანასკნელი მდინარის სო-
ფლებითა და ვენახ-ბალებით სავსე ხეო-

ბასა. ჩრდილოეთით და დასავლეთით
სოფელს აკრაგს ვრცელი ტრიალი სახ-
ნავ-სათესი მინდორი, ხოლო სამხრეთის
მხრივ ისაზღვრება ვენახებითა და ბალე-
ბით. ზედ შეა სოფელზე მომდინარეობს
პატარა ცივი და ან კარა დიურა, ტოტი
პატარა ლიახვისა. ამ უამაღ ს. არბოში
ირიცხება არა უმეტეს ოც-და-ათი კომ-
ლისა, ხოლო სამოცი წლის წინათ, რო-
ცა დაიბადა ნიკო, იგი შესდგებოდა სულ
ოციოდე კომლი გლეხებისა. და ორი
კომლი აზნაურიშვილებისაგან. მამა ნი-
კოსი, იოსები, აქაური ბინადარი მცხოვ-
რებელი იყო, შინაურულად მომზადებუ-
ლი და აქვე მღვდლობდა. დედა — ეფემი-
აც — არბოელი იყო, გვიმრაძის ქალი.
როგორც მამას, ისე დედას ჰყავდნენ ნა-
თესავებ-ნათელ მირონნი და ამნაირად
მთელი სოფელი მამა იოსების ოჯახთან
დაკავშირებული იყო ნათესაური გრძნო-
ბითა და ურთიერთობით. მთელი თვისი
სიყმაწვილე ნიკომ გაატარა ამ სოფელში
მოსიყვარულე ნაცნობ-ნათესავთა შორის,
ყოველი გლეხის კარი მისთვის მუდამ
ლია იყო და, როცა ამ კარებში შედიო
და, ყველგან ხვდებოდა გულწრფელი
სიყვარული და ალერსი. მთელ დღეს და,
ხშირად დამებასაც, ატარებდა გლეხების
ოჯახში თავის ტოლ-ამხანაგებთან. მის
წინ პატარაობითვე გადაშლილი იყო
მთელი ცხოვრება გლეხეკაცის, — მისი ზღა.
პრები და არაკები, შაირ-ანდაზები და
გამოცანები; მისი უმეცრება და ცრუ-
მორწმუნება, სიღარიბე, ტანჯვა და
მწუხარება. პატარა ბავშვის გულზე ყო-
ველივე ეს ცხოველ შთაბეჭდილებას ას-
ტენდა. და ამნაირად ნელნელა და შეუ-
მჩნევლად მზადდებოდა მის სულში ნია-
დაგი მომავალი ლიტერატურული მო-
ლვაწეობისა. წერა-კითხვა დედისაგან ის-

წავლა. როცა რვა წლისა შესრულდა, იგი გორში ჩაიყვანეს და აქ სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ამ დროს მაშინდელი ექსერხოსის განკარგულებით მამა ოსებს სამრევლო ჩამოართვეს. უდანაშაულოდ დასჯილმა უწ. სინოდში უჩივლა ექსარხოსს და სამრევლო უკანვე დაიბრუნა, მაგრამ ამ ჩამოართვებისა და დაბრუნების შეუადგინებელი რამდენმა მეტად განვლო და ამ დროს მამა ოსების კარგა მოზრდილი ოჯახი დიდ სიღარიბეში ჩავარდა. ნიკოს აღზრდა იკისრა მისმა უფროსმა ძმამ, თბ. სასულ. სასწავლებულის მასწავლებელმა ივანე ლომოურმა. ამან თავისთან გადაიყვანა ნიკო თბილისში და ამანვე გაგზავნა, შემდეგ სემენარიის დასრულებისა, რუსეთში უმაღლესი სწავლის მისაღებათ. სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში ნიკო გახდა აწ განსევნებულ იაკობ გოგებაშვილის მოწაფეთ. „მამა მთავარ მთუსალასაც რომ გადავაჭარბო დღე-გრძელობით, მაუშინაც არ დამავიწყდება იაკობის გაკვეთილების ზე გავლენა და ის ცხოველი შთაბეჭდილება, რომელთაც ახდენდნენ ჩემ სულზე ეს გაკვეთილებით“, ხშირად იტყოდა ხოლმე აწ განსევნებული ნიკო ლომოური. იაკობის რჩევით ამ დროს მან იწყო კითხვა-შესწავლა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს მასზედ. ამ გავლენას ზედ დაერთო შემდეგ ხანებში გლებ უსპენსის, ნეკრასოვის, ტურგენევის და დობროლიუბოვის ზეგავლენაც და ამ გვარად გამოირკვა და განმტკიცდა მასში ხალხოსნური მიმართულება (ნაროდნიჩესტვო), რომელსაც დაადგა მოსწავლეობის დროს და მთელს სიცოცხლეში ერთგულად ემსახურებოდა ამ მიმართულების დედა აზრთ. პირველად ლექსებით

იწყო მან წერა. თოთხმეტ-თხუტმეტი წლის იქნებოდა, როდესაც განსვენებულმა სერგეი მესხმა თავის „დროებში“ პირველად ლაუბეჭდა პატარა ლექსი— „სიონის ტაძარს“, ამას მიჰყეა მთელი რიგი კორესპონდენციებისა საერთო სათაურით— „ხმა პროვინციიდამ“, ამის შემდეგ უურნალ „მნათობშიაც“ დაიბეჭდა რამდენიმე მისი ლექსი. სემინარიაში ყოფნის დროს მან დასწერა ისტორიული პოემა „იულონ ბატონიშვილი“ და სთარგმნა ბაირონის ცნობილი პოემა „შილიონის პატიმარი“. ყველა ამ ნაწერებმა ახალგაზრდა მოსწავლე-მწერალს სახელი გაუთქვეს მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში. განსვენებული ნიკო ცხვედრად და პატივცემული გიორგი იოსელიანი ამ დროს იყვნენ სემინარიაში მის მასწავლებლად; ესენი მფარველობდნენ და ექცევოდნენ მას ნამდვილ მამა-შვილურის გრძნობითა.

1875 წელს გაათავა სემინარია და უშალლესი სწავლის მისაღებათ წავიდა კიევის აკადემიაში. ნიკოს გულით უნდოდა უნივერსიტეტში შესვლა, რათა განეხორციელებინა თვისი დიდი ხნის ნატერა— ბავშვების ექიმობის შესწავლა, მაკრამ ძველი ენების უცოდინარობამ ფრთხები შეაკვეცა მის განზრახვას. სასულიერო აკადემიაში იგი ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაეწერა. აქ, კიევში ყოფის დროს, ხშირად იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში“ მისი კორესპონდენციები საერთო სათაურით— „ხმა მონასტრიდამ“ (აკადემია მოთავსებული იყო „მათა მონასტრის“ სახლებში); აქვე დასწერა თვისი პირველი მოთხოვნა „ალი“ და გაღმოსთარებმა მალორისიულილან შევჩენკოს პოემა „მუშა ქალი“. 1881 წელს გაათავა აკადემია და, სამშობლოში დაბრუნები-

სას, მიწვეულ იქმნა გამგეთ სათავად-აზნაურო სასწავლებლისა. ამ დროს და-სწერა ცნობილი მოთხრობა „პატარა ქა-ჯანა“. სამი წლის შემდეგ იგი განწესე-ბულ იქმნა ქართული ენის მასწავლებ-ლად გორის საოსტატო სემინარიაში, საღაც მოღვაწეობდა დღევანდლამდე. ქართულ ენას ასწავლიდა გორის საქა-ლო გიმნაზიაშიც.

აწ განსვენებული ნიკო ლომოური ხშირად მონაწილეობას იღებდა საქველ-მოქმედო სალამოებში, და თავისი ტკბი-ლი წმინდა ქართულით ხიბლავდა მსმე-ნელთ. განსვენებულის ბლეტრისტული

ნაწერები უხება გლეხის ყოფა-ცხოვრებას და მის ჭირ-ვარამს... სასურველია, რომ განსვენებულის ნაწარმოებნი დროზე გა-მოიცეს ცალკე ტომებად.

ნიკო ლომოური, როგორც კერძო იღამიანი, მასწავლებელი და აღმზრდე-ლი მრავალი უტყუარი ღირსებით ირ-ჩეოდა სხვებში. ასეთი იშვიათი აღამია-ნის ცხოვრების მრავალ-გვარ-მხარეს დი-დი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ჩვენც ნეტარ-ხსენებულ ნიკოს შესა-ხებ მრავალ მოგონებას დავბეჭდავთ შემ-დეგ შეც.

ლ. ბოცგაძე.

სიტყვა

გარდაში გელთვანის ორმოცის თავზე, თქმული ფოთის საკათედრო ტაძარში

საღმრთო და წმიდა საქმის შესასრუ-ლებლად შეკრებილვართ, ძეირფასნო მსმენელნო, ამ წმიდა ალაგს. ჩვენი სურ-ვილია შეერთებული გულითა და გონე-ბით აღულინოთ ზეციერ მამას მხურვა-ლე ვედრება, რომ საუკუნო ნეტა-რება მიმადლოს მან ამ ორმოცი დღის წინეთ გარდაცვალებულს თავადს ვარლამ გელოვანს, რომელსაც ეჭირა მაღალი ალაგი ქართველი ერის ერთ-ერთ რწმუ-ნებულის რუსეთის სახელმწიფოს მეოთხე სათათბიროში.

თქმა არ უნდა, ასეთივე ლოცვა-ვედ-რება შესრულდება დღეს დასახელებული მიცვალებულის სულის საოხად საქართვე-ლოს სხვა კუთხეებშიაც ნიშნად დაფასე-ბისა და გულითადი მადლობის გამოხატ-ვისა ერის მხრივ იმ სახელოვანი შრომის სათვის, რომელსაც დაუღალვად ეწეოდა

განსვენებული დეპუტატი თავის ამომრჩე-ველთა საკეთილდღეოთ...

სახელმწიფო სათათბირო ჩვენი დროს შვილია. იგი წარმოიშვა ჩვენს თვალ წინაშე. მისი არსებობა გამოიწვიეს რუ-სეთის სახელმწიფოს ცხოვრების განვითა-რებისა და წინსვლის გვერდაუქცეველმა პირობებმა. მეტად სიმპატიური, ნათელი და დიდი ღირებულობის მოვლენაა ჩვენს სახელმწიფოში სახელმწიფო სათათბირო. ამ დაწესებულებამ მოქალაქეობრივი უფ-ლებამოსილობით აღჭურვა იმპერიის მკვიდრნი, სათათბიროს საშუალებით რუ-სეთის მცხოვრებლებს გზა გაეხსნათ თა-ვიანთი გასაჭირი და მწუხარება გულით მიიტანონ ტავრიდის სასახლეში და იქ, მაღალი ტრიბუნიდან, დეპუტატების პი-რით გაბედულად, მოურიდებლად და ხმა მაღლა აცნობონ ყველა ქს საზოგადოებას და მთავრობას იმისთვის, რომ ამ ხმას

ანგარიში გაუწიონ, ამ განსხვავებას ყუ-
რადლება მიაქციონ, ამ მოთხოვნილებამ
სათანადო განხორციელება მიიღოს.

მაღალი და დიდმნიშვნელოვანია, როგორც ხედავთ, სახელმწიფო დეპუტატის მოვალეობა. უმთავრესი ძალა სათაობის როს საქმიანობისა და სახელმწიფო კხოვრების მოქალაქეთათვის სასიკეთო დონეზე მომართვა-დაყენებისა, უსათუოდ, დეპუტატების პიროვნებაშია. კერძოთ, სახელმწიფოს ამა თუ იმ კუთხის დეპუტატის ღირსებაზეა დამოკიდებული მისი მარწმუნებლების, მისი ამომჩევლების ბედი და უბედობა. ზოგი დეპუტატი თითქმის ყოველი გამოსვლის შემდეგ იმარჯვებს და ამომრჩეველთა საბედნიეროდ სჩარხავს საქმეებს, ზოგი კი ბევრსაც მჭერმეტყველობს და შრომობს, მაგრამ ქარს ბზესავით შორს მიაქვს სივრცეში მისი ნათევამ-გაკეთებული და არავითარი ხვავი არ რჩება კალოზე მის ამომრჩეველთა ბელლების ასავსებად.

ბუნებრიობა, სინამდვილე, რეალობა
ყველა საბუთზე საბუთიანია და ყველა
მცერმეტყველებაზე უმკერთლესია. ჩემი
რწმენით და შეხედულობით, ის დეპუტა-
ტია გამარჯვებული და ამომრჩეველთა
იმედების განმახორციელებელი, რომელიც
საერთოდ იმავე სულიერი ბუნებისაა,
როგორისაც მისი ამრჩევლები, ისეთივე
რწმენისა და სოფლმხედველობისაა, რო-
ორითაც გამსჭვალული არიან მისი
რწმუნებლები, ის დეპუტატია ამრჩე-
ბოთათვის სახეირო, რომელიც არა მარ-
ტი ღრმად და დიდათ ჩახედულია უკანას-
კნუთა ცხოვრებაში და გულში, თვი-
თობ ღვიძლი შვილია და ცხოვრებისა,
თვით აც პირადათ მატარებელია მისი
ერის მონისა, თვითონაც ამომრჩევლებ-
თან ერთ ერთსა და იმავე პატიოთ

მსუნთქავია. სწორი სარკე უმეტნაკლებ
ბოლ აჩენს შენს სახეს და მხოლოდ მხედ-
ველობაა საჭირო, რომ მოიშორო მური,
თუ საღმე გცხია იგი, ან გადაისვა სავარ-
ცხელი, თუ თმა აბურძგნული გაქვს საღა-
მე. ასეთი უტყუარი და ბუნებრივი სარ-
კე უნდა იყოს ამრჩეველთა ჭირ-ვარამისა
სათათბიროს დეპუტატი, ასეთი, სიცხა-
ლითა და სივრცე-სიგანით უნდა იხატე-
ბოდეს, გამოკრთოდეს და თინათინობდეს
დეპუტატის პიროვნებაში მისი ამრჩევლე-
ბის საერთო ფსიხოლოგია და მაშინ ყო-
ველი გამოსვლა მისი გამარჯვებით გა-
თავდება, მაშინ აგრე რიგათ საჭიროც
აღარ იქნება მისთვის ცეცხლის მფრქვევი
მშერმეტყველება, მაშინ მისი საქმიანობაც
ბარაჭიანი იქნება მათთვის, ვისაც იგი
წარმოადგენს სათათბიროში.

ქართველი დეპუტატი უნდა იყოს ჩვენი ერის იმ სიმრავლის წარმომადგენელი, რომელსაც უხსოვარი დროიდან დაუკერია და უჭირავს შავი და კასპიის ზღვათა შუა სივრცეები, რომელიც სცხოვრობდა და დღესაც სცხოვრობს უმთავრესად ხსენებულ ზღვათა შუა გაშენებულ დაბას სოფლებში, იყო და არის მორწმუნე, ქრისტეს ოღმარებელი, ეკლესის მოყვარული. ამ სიმრავლეს თითონ დაუწერია და სწერს თავისი სულის კვეთების ისტორიას. ამ სიმრავლეს თავისი დაკავებული ხელებით და მართალი ოფლით მონაგები ოქროს გაღებით მოუქარგავს თავისი სამშობლოს პირი ტაძარ-ეკლესიებით, რომლებიც სულზე უჭირფასესია მათვის, რაღვანაც მხოლოდ ტაძრებიდან ესმოდა და ესმის აქამძღვე სანუგეშო პატივი: „მთვედით ჩემდა უოველი მაშვრალი და ტვირთ მძიმენ და მეც განგისვენთ თქვენ“, ტაძარში მოქმენდა გულით ყოველი სიმძიმე ცხოვრებისა, ტაძარში, მაცხოვრის

წინაშე, იქარვებდა ყოველგვარ გულის-წუხილს, ტაძარში იშორებდა და ისუბუ-ქებდა ცხოვრების ტვირთს, ტაძარში ჰქონებდა და ჰქონებს მანუგეშებელ სტი-კიას, ტაძარში ჰგრძნობდა და ჰგრძნობს თავის თავს თავისუფლად, ერთეუ-ლად, ერთად, ნაციად. ასეთია წარსული და აწინდელი სულიერი მიმართულება ქართველი ერისა და, ვინც ასეთივე სოფლ-მხედველობის აღმსარებელი არ არის, იგი, შეიძლება, ამ ერის სისხლის და ხორცისა იყოს, მაგრამ ერის სხეულთან ძარღვებითა და სახსრებით გადაბმულ საღ ნაწილს კი არ წარმოადგენს. ატეისტი, ქრისტეს უარის მყოფელი, ეკლესიის არ მცნობი, შეიძლება, ქართველებშიაც გა-მოერიოს, მაგრამ ასეთი იქნება ქართვე-ლი ერის მთლიანი ორგანიზმიდან მოტ-კლეცილი ნატეხი, უბრალო ფურჩი და ასეთი პიროვნება, რაც უნდა ნიჭიერი, რაც უნდა მცოდნე იყოს, მაინც ვერას-ფერის მანქანებით ვერ დაისადგურებს

ერის გულში, ვერასფერს დადებითი ღირ-სებისას ვერ შესძენს იგი თავის ერს. ვარლამ გელოვანის სიკვდილს დიდ დანაკლისად სთვლის თავისოთვის მთელი ქართველობა და ამის გამოა, რომ მწა-რედ დაპქითინებს მის საფლავს. ცხადია, განსვენებულ დეპუტატს. თავის მოქმედე-ბაში უვლია მშობლიო ერის გზით, ცხა-დია, ერთგვარი და შეთანხმებული ყო-ფილა დეპუტატისა და მისი ამომრჩევლე-ბის მაჯის ცემა, ცხადია, ვარლამ გელო-ვანის მოქმედებაში საკუთარი გულთნა-დების განსახიერება დაუნახავს ქართველ ერს, ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით და ამიტომ ნამდვილ ეროვნულად, სარ-წმუნოებრივად, გამოსთქვამს იგი მისდამი მაღლობას, ეროვნების სათაყვანებელ ზე-ციერ მამას ავედრებს თავისი კეთილის-მყოფელის პატიოსან სულს და ღმერთი შეისმენს მორწმუნე ერის გულითას ღალადს. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ლცხოვები ბავშვების აღზრდა იაპონიაში *)

იაპონიას ბავშვების სამოთხეს ეძახიან: ეს სახელი მართლაც უმიზებოთ არ დაუ-რქმევიათ „ამომავალი მზის“ ქვეყნისათ-ვის. არსად ისე არ შეხარიან ბავშვის დაბადებას, როგორც იაპონიაში, არსად ისეთის სიყვარულით და მზრუნველობით არ ეპყრობიან ბავშვს, როგორც იაპო-ნიაში.

*) ლიტერატურა: A. H. Всеобщие обуче-ния Русская школа.

ბავშვის დაბადება-ეს თითქმის უმთავ-რესი მოვლენას იაპონელის ოჯახურ ცხო-ვრებაში. ამბობენ — იაპონელი ბავშვე არ სტირიანო — ეს თითქმის მართალ არის. თუმცა იქაური ბავშვები არათუთ არ განსხვავდები ან, მაგ. ქართველი ბავშვებისაგან, მაგრამ იქ ბავშვს, რავი-თარი მიზეზი არა აქვს ტირილი, მის ყოველგვარ მოთხოვნილებ. დაუყ-ნობლივ უსრულებენ. იქ არსებობს

არავითარი დასჯა ბავშვისა, არც ოჯახში არც სკოლაში.

როცა ბავშვი წამოიზრდება — ის საბავშო ბალში მიჰყავთ. აქ რასაკვირველია ის დროს მხირულათ ატარებს, ეცნობა სხვა და სხვა სათამაშოებს და სხვ., მაგრამ ამავე დროს აქ ეცნობა ის დისკიპლინასაც, აქ გებულობს, რომ მისი „მე“ არ ყოფილა განუსაზღვრელი, რომ სხვასც ქონია საკუთარი „მე“. ბავშვი ამ ბალში პირველად ტყობულობს, რომ არსებობს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთაც მან თავისი „მე“ პირადი სურვილები, უნდა დაუქვემდებაროს. მაგრამ ბავშვი მალე ეგუება ამ კანონებს, და ცოტა ხნის შემდეგ ითვისებს მათ და ხდება ბავშვების საზოგადოების წესრიგის დამტკელ წევრად,

მასწავლებელი აღზრდის საქმეში დიდ უკროიტეტათ მიაჩნიათ და მის პოროვნებას ბავშვებზე დიდი გავლენა აქვს. მშობლებიც დიდ პატივსა სცემენ მას და ამგვარსავე მასწავლებლისადმი პატივისცემას უნერგავენ გულში თავიანთ შვილებს... ამ პატივისცემითა და სიყვარულით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ბავშვები ბევრ გლახა ჩვეულებას დაუსახლათ, მხოლოდ შემჩნევის შემდეგ სტოჭებენ.

მასწავლებელსა და მშობლებს შორის აპონიაში დიდი კავშირი სუფეს; მშობები ხშირად ეკითხებიან მასწავლებელს უიანთ ბავშვების შესახებ, სთხოვენ და სხვ., და მასწავლებელიც წესიად და სინიდისიერათ ეკიდება თავის .ხატ. ისინიც ეცნობიან ბავშვთა ცხოვრებას აძლევენ მათ დარიგებებს დაზრდიან ვალ მაღალი იდეალებისადმი მისწრაფება. მასწავლებლის პროფესია იპონიაში დიდ პატივსაცემია, მასწავლებ-

ლის ცუდ მატერიალურ მდგომარეობაზედ თითქმის სრულიად არ ლაპარაკობენ; რაღაც ის ამ მხრივ სრულიად უზრუნველყოფილია.

საბავშო ბალებში, რომელშიაც ასწავლიან გალობას, სხვა და სხვა სათამაშოებს და ხელსაქმეს, არის აგრეთვე შემოღებული პატრიოტული აღზრდა, ზრდიან ბავშვებში გრძნობას კანონიერებისას, ზნეობრივი შინაარსის მოთხოვნების საშუალებით, თავაზიანობა, ზრდილობა — აღზრდის დედა ბოძია იაპონიაში. ყოველ თამაშში იაპონელმა ბავშვმა უნდა გამოიჩინოს დამარცხებულისადმი მოწყალება... საბავშო ბალის გათავების შემდეგ, ბავშვს აძლევენ მოწმობას და ის დასაწყის სკოლაში გადადის. პირველ ხანებში პატია ქალ-ვაჟები ერთად სწავლობენ, გოგოები მონაწილეობას ღებულობენ ყმაწევების ყოველ თამაშში. შემდეგ ში კი მათი გზები იშლებიან: ვაჟებს ამზადებენ თავისუფალ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის, ხოლო ქალებს — საოჯახოთ, გასათხოვრად. იაპონიაში ყოველი ბავშვი ან მომავალი სალდათია, ან მეზოვაური. ქალიც მომავალი ცოლი, მომავალი მეოჯახე და, რასაკვირველია; იქაური სწავლა აღზრდა სცდილობს განავითაროს ქალსა და ვაჟში ყოვლათ უსაჭიროესი თვისებანი.

პირველ წელიწადს პირველ დასაწყის სკოლაში ბავშვს ასწავლიან — დეკლამაციას, ხატვას, ხელით შრომას; ქალებს ქსოვასა და ჭრა კერვას. შემდეგ გადადიან წერაზე. იაპონურ ლექსიკონში რამდენიმე ათასი ასო ითვლება და ამ მხრივ ბედნიერათ უნდა ჩაითვალონ ჩვენებური ბავშვები, რომელთაც შედარებით ძლიერ ცოტა შრომა სკირდებათ ასოების შესასწავლათ, ამას ისიც უნდა

დაუმატოთ, რომ იაპონური ასო თუ ძლიერ დაკვირვებით არ დასწერე და უბრალო რაიმე განსხვავება იქნა შიგ — ის უკვე სხვა ასოს ემსგავსება და ხშირად ამით დიდი შეცდომა მოდის მთელ სიტყვაში.

იაპონელი ბავშვები ადრე ღებულობენ მონაწილეობას ოჯახის საქმეებში. გოგო უკვე ჭრა-კერვას ეწევა, ამზადებს საჭმელებს და უვლის ყვავილებს. ყვავილების მოვლა — ეს უსაჭიროესი ცოდნაა იაპონელი ქალისათვის.

მაგრამ ყველა იაპონელი ქალი ვერ ეწევა ოჯახურ ცხოვრებას სხვა და სხვა პირობების გამო მრავალი მათგანი მიღის ე. წ. „საჩაე სახლებში „გეიშათ“.

„გეიშას“ ხელობისათვის ბავშვს 3-4 წლიდან ამზადებენ. მათი ცხოვრება ნამდვილი ტანჯვაა ბავშვობაში, შემდეგ კი სიხალისის მონებად უნდა იქნენ, ხოლო ნამდვილი სიმხიარულე და ხალისი მათთვის ძლიერ იშვიათია.

თანამედროვე იაპონიის სწავლა-აღზრდის სისტემა-ნაციონალური დამორალური აღზრდისა დამყარებულია 1890 წ. იმპერატორის კანონზე ეს კანონი ყოველ შეოლაში ოთხჯერ იკითხება წელიწადში.

აი მისი ძირითადი დებულებანი:

„იყავით მორჩილნი თქვენი მშობლებისა; გიყვარდეთ თქვენი ძმები და დები; ცოლქმარნი სცხოვრობდეთ თანხმობასა შინა; იყავით მომქინენი, გულკეთილობა და სიქველე თქვენი უნდა ავრცელდებოდეს ყველაზე; როგორც მეგობარი —

იყავით ერთგულნი; ეცალეთ შეისწავლოთ ხელოვნებანი და განვითარდეთ გონებრივად და ზნეობრივად; პატივი ეცით კანონებსა და დაიცავით კონსტიტუცია; საჭიროების დროს მედგრათ ემსახურეთ სამშობლოს“.

სწავლა აღზრდის სისტემა ბევრნაირათ იცვლებოდა იაპონიაში; მთავრობას სურა და შემოელო საუკეთესო სისტემა სწავლა აღზრდისა და აგრეთვე ეს სისტემა აღვილობრივ მოთხოვნილებებსაც უნდა შეთანხმებოდა, ბევრი ცდის შემდეგ შემოიღეს ამერიკული სისტემა თავისუფალი აღზრდისა. მაგრამ თავისუფალი აღზრდის პრინციპი მეტათ რაღიკალური აღმოჩნდა იაპონიისთვის, რომელიც ფეოდალურ ხანაზე იყო აღზრდილი. ბოლოს შემოიღეს გერმანული სისტემა, რომელშიაც უფრო ჰყაური დისკიპლინა — ვინემ ამერიკულ სისტემაში.

თუმცა სწავლა-აღზრდის საქმე იაპონიაში ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულ ფეოდალური ხნის ჩვეულებათაგან, მაგრამ იქაური სახალხო განათლების, სამინისტრო გაბედული ნაბიჯით მიღის ამერიკულ სისტემის განხორციელებისაკენ. მაგრამ რაც უნდა კრიტიკულათ შევხედოთ იაპონურ აღზრდის სისტემას, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სისტემის შემწეობის აღზრდა მთელი რიგი სამაგალითო მექანიკება და მამული შვილთა, რომელთ ამ მოკლე ხანში რამდენიმეჯერ დოკუმეტს თავისი ცოდნა, გამოცდილ და მამულისაღმი ლრმა სიყვარული.

ნიკ. სიჩბილავ.



აი, რანი ვართ!*)

(პასუხის პასუხი ბ-ნს „ტიტო კრიხელს“)

„Длиться не вѣчно будетъ глухая
Черная ночь,—
Мы изъ проклятой черной могилы
Вырвемся прочь!“

ჰქეის კანონი და წესი მთითხოვს, რომ, ოდესაც საზოგადო საგნის შესახებ მართება კამათი, მთკამათენი არ უნდა ას- რძეს უმთავრესი საგნის განმარტებას—და ფუ ეს სავალებულო წესი დაირდეა, სასურ- კულ-სასარგებლო კამათის ნაცვლად, თვალ- ის გადაგვეშლება უბრალო ჩხირეველათბა. სწორედ ასეთს არა სასურკელ მიმართულე- ას ამღევთ თქვენ, ბ-ნო „ტიტო“, ჩევნს მორის ატენიდ კამათს. თქვენ პირკელ წე- რილმა (თემი, № 192, 1914 წ.) შეეხეთ სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებას და მრანეთ:

„სოფლის ვითომდა პატრინად, ვითომდა მირილად ითველებიან მდგდელი და მასწავ-

*) ვებეჭდავთ ამ წერილს და ამასთან ესპობთ კამათს ამ საგნის შესახებ. რედაქტირის აზრით ბ-ნი „ტიტო“-სა და ამ წერილის ავტორს შორის მოს შეხედულობაში დღევანდელ სახალხო მას- წავლებლების შესახებ მეტნაკლებლობით ერთი და იგივე აზრია. რასაკირეველია საზოგადოდ არ იმის უყვლა მასწავლებლებზე, თითქოს მართლა ჭალწალებულნი იყვნენ, მაგრამ მათში რომ სა- ხო რიცხვია არა სასურკელ ელემენტებისა, იმდებიც საუკეთესო მასწავლებლებსაც ხელს შლიან თავიანთი უგვანი საციილით, ეს ცრა- სა და ამისი საბუთები რედაქტირისაც აქვს მრავალი ფარსევა წერილების სახით. ასეთი მასწავლებლთა აუცილის დაგმობა საუკეთესო ამხანაგებისა და სხვის მოვალეობასაც შეადგენს და სასიამოვნო- და უნდა აღვიზონოთ, რომ ბოლო ხანებში ჩვენს სახალხო მასწავლებლებსაც საერთოდ მეტი სიფ- ინილი და შეგნება ეტყობათ. იმედია ახლო მო- ვალში სახალხო მასწავლებლები უფრო დაუახ- როვლებინ წერთამანეთს, განიმსჭვალებიან ერთნაი მიზნით, რასაც შედეგად მათი უფლებრივი ან ჩივთიერი უზრუნველყოფისაც მოპყვება და შვალა-განათლების საქმეც წინ წაიწევს. რედ.

*) ის. განათლება, № 1 1915 წ. „რანი რიტო“—ტიტო კრიხელი. გ. ა.

ლებელი, მაგრამ არც ერთი და არ მეორე თავის. დიად ლანიშნულებას პირნათლად არ ასრულებს; საქვეუნო საქმე, ხალხის ზნეობრივ—ქონებრივი ამაღლება არაფ- რად მიაჩინათ, თავის სიცოცხლის მიზ- ნად მხოლოდ პირადი სარგებლობა და სიამოვნება დაუსახავთ და ამისთვის არა- ვითარ საშუალებას არ ერიდებიანო...

თქვენ აშ სიცუვებით ნათლად ამბობთ: თუმცა უფლებ სახალხო მასწავლებელის შეუ- ძლია თავისი დიადი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, მაგრამ ის იმდენად დაეცა, იმ- დენად გაირევნა, რომ დაფატობს ადამიანურ პატრიოტიზმას მსოფლიო იმისთვის, რომ თა- ვისი პირადი სარგებლობა და სიამოვნება დაუსახავს სიცოცხლის მიზნად, რისთვისაც ის არავითარ საშუალებას არ ერიდებათ.

დამერწუნეთ, ბ-ნო „ტიტო“, რომ ასეთს ბრალდებას, საზოგადოდ, სახალხო მასწავლებლისადმი (მით უმეტეს ჩვენი მა- სწავლებლების მიმართ) წამისეჭირის მსო- ფლიდ ის, ვინც კარგად ვერ იცნობს სახალ- ხო მასწავლებელს, ვინც ვერ გრძნობს მის მდგრმარეობას და მეც ჩემს „მცირე შენი- შვენა“-ში (განათლება, № 9, 1914 წ.) სწორედ ეს შრგახსენთ.

სხვათა შრომის გსტვე:

... ოდესაც მთელი ორგანიზმი დაუადე- ბულია—მისი შემადგენელი ნაწილებიც უძ- ლენია. ვიდრე ქსროვები ერთ დღევანდელს მის მდგრმარეობას და უბედობას თავს არ დააღწევს, არასასურკელ მდგრმარეობაში იქ- ნებიან სკოლაც და მასწავლებელიც, ეპუ- რიაცა და მდვდელიც...

მეუხედვად ამისა ჩვენი სახალხო მისწავ-

დაუძლება უმრავლესობას თავისი დიადი მთავრებისათვის არ უდალატია. გაახილოს ოფიციალური ბ-ნის „ტიტო“-შ და დაანახავს ბევრს სახალხო მასწავლებელს მხნედ მომუშავეს სკოლაში და მის გარეთაც: კოლეჯრატიული დაწესებულებებში, პრესში, ხალხში და სხვაგან, ... აშენა — თავისი წმინდა ღრცება ჩვენს სახალხო მასწავლებელს ჯერ ძირის არ დაუწევია: ას, თავმცა მძიმედ, მაგრამ მაინც მხნედ ეწევა მას მაღლა და შორის არ არის ის დრო, როდესაც თავისუფლად ააფიქირებს მას...

თქვენ არ ეთანხმებით ჩემს აზრს და თქვენი სიტყვების დასმტკიცებულად მოგვავთ ზოგიერთი მართლაც გადაგვარებული მასწავლებლის წერილი *) სატირალი და სავაჭალოა ეს ფაქტები, მაგრამ ხომ მოგეხსენ ნებათ „ერველ ფაქტში მოიპოვება თითო მასინჯი“! რა ვენათ? თვით ცხოვრება მაღვე გათიავს ასეთ პირებს. რად ივირბოთ, ბ-ნი „ტიტო“, რომ შე ასეთ მასწავლებებს სულ გაფარებ? შეძლებისა და გვარად შთელი ჩემი სულით და გვლით დამიგმია ასეთი მასწავლებები (იხ. კოლხილა, იმერეთი, ერი, განათლება, ვაკ. რტბ. — 1912 — 13 — 14 წ. წ.). და მომვალშიც არ ავსცდები ამ გზას, — ეს ჩემთვის გარგვეული და საჭიროზანია.

შემდგრ საკითხს თანხათონ გზას უხვევთ და გეურთ ჩემს პიროვნებას შექთა. ამის შესახებ რა უნდა მოგასხენოთ გარდა იმისა რო, თუ დასაგმობია რამე ჩემში, რასაკვირვებია, უნდა დაგმოთ — ეს მოგვალეობაა გეგელა და გულწრფელი ადამიანისა, მაგრამ ძლიერ

*) შარშან, როდესაც თქვენ მიიღეთ ერთ-ერთი ამ წერილთაგანი, თქვენთან იყო ერთი თქვენი ამხანაგი — მასწავლებელი, რომელმაც გთხოვათ გადაგეცათ ის წერილი „განათლების“ რედაქტორისთვის, რათა თავის ღრუბე პრესის საშუალებით დაგმობილიყო ასეთი ანტიპედაგოგიური სურვილი გადაგვარებული მასწავლებელი ქალისა. რად არ იხებეთ ეს ბ-ნის „ტიტო“ გ. ა.

ფრთხილად კი უნდა იყოთ სოლშე რომელი მე ბრალდების ღროს.

მაგალითად, თქვენის საპასუხო წერილში თქვენ აღნიშვნავთ შარშან ზაფხულში განცრა. ხული მასწავლებელთა ექსკურსიაში ჩემს მოქმედებას. მართალია, ჩემი სურვილი იყო კი ექსკურსია მოწყობილიყო. ამის გამო „,ღრანათონ“-თ მიიღმართე ბ-ნ ლადღ ბზვანებს **). მიეღო თავის თავზე ეს შრომა და სისრულიში მოევეანა ეს სურვილი (სახალხო გაზ. № 1174. 1914 წ.). ბ-ნმა ლადღობ შეიმუშავა ექსკურსიის გეზი, დანიშნა დრო და პრესის საშუალებით მოუწოდა მასწავლებლებს (სახ. ფურც., № 1, 1914 წ.), მაგრამ ექსკურსია მაინც ვერ მოეწყო, ხოლო რა ზოგადის გამო — ქვემოდ მოგახსენებით.

მე კი უსაფუძვლოდ მისაუგედურებთ, ვა თომ მონაწილეობა არ მივიღე მასში. ის დროში ერთი ღლე თავისუფლად არ მქონდა სოფელ ქ-ის ორი კოლხურატიული ასხანანა გრაბა მოითხოვდა ჩემს. უფერებლივ აუთვნას, რის გამო მთელი ზაგსული შინუალი არ წაგსულვარ, — ეს თქვენც კარგად მოგჭებენ ნებათ. აა ასეთმა მდგრადურებამ ნება მომცა წაგსულიუავ ქუთაისს, რაც დროზე გაცნობებ ბ-ნ ლადღ ბზვანებს წერილითაც. აა საქმის გითარება. ეს ასეც რომ იყოს და თქვენ პირადათ ჩემში გერ ხელ დეთ ქემიარი მასწავლებელს — განა უკავშირდეთ მთელი მასწავლებლებისა ბრალდებულის სკამზე დასვათ?

თქვენის აზრის დასამტკიცებულად ბერ ამბობთ, ბ-ნი „ტიტო“, მაგრამ ერთს ადგილს „წამოგცდათ“ ის, რაც ქემიარი ბერაა რაც საჭირებით ეთანხმება ჩემს სიტყვები, მე არ ვამბობ, რომ სახალხო მასწავლებლთა მოდევანი წერილისა სრულიად უმნაშენ

**) ბ-ნ ლადღ ბზვანელს იმდენად კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, რომ ძნელია „შალოთ“ მას თავი ან მე, ან თქვენ და სხვამ. გ. ა.

დო და უნაუთოდა, მაგრამ ისიც აშეართა, რომ ისინი თავის დიადს დანიშნულებას პირათლად ვერ ასრულებენ (ხაზი ჩემია. გ. ა.) რასაკვირველია, შეგა და შეგ მოისულებიან ნამდგილი მუშავიც, რომელიც წირულად, ამაუად მიატრალებენ თავის დასკების დროშას, თავგანწირვით მიაქვთ შესვერპლი სწავლა-განათლების სამსხვერ-ჭარბე ხალხის საკეთილდღეოთ. დაას, არ უარეთოვ არას ამგვარი გმირებიც, მაგრამ, ამშესართლ, ძალიან ცოტა-“-ო...”

დაას, ბ-ნთ „ტოტო“, ეს თქვენი სიტ-უბი საფსებით უარეთოვენ თქვენს პირველს წრილს და ამტკიცებენ ჩემს ნათქვამს და ყოთანხმებით კიდიც, რომ სახალხო მასწავ-ლებლითა კორპორაციაში სამი ჯურის ხალხია: გმირნი (ცოტა),

სუსტნი. (უმრავლესობა) და დაცემულ-გადაგვარებული (გამონაკლისი). რა არის ჩენი მასწავლებლითა უმრავლე-ბის სისტემის მიზეზი?

თქვენის აზრით არავთარი გარეშე მიზე-ი არ არსებობს: ეს აისხება მხოლოდ ათი პირადი დაჭვეითებით, უადამიანობით; იქნის აზრით მათ აქვთ საშავება პირა-თლად შრომისა, მაგრამ მაინც არაფერს ყოფენ, რადგნაც საზოგადო შრომისთვის რეუნგა პირად ბედნიერებას ანაცვალეს.

ჩემის აზრით კი აქ სხვა მიზეზია, რო-კლაც ჩემს „შენიშვნა“-ში მოკლედ შევხე-ა ახლა-კი უფრო ვრცლად მოგასხენებოთ.

გვრობის ჟარარა გრების საშუალო საკუ-ლების ისტორიას რომ თვალი გადავაკლოთ | გნახავთ: გაბატონებულ ერს დამორჩებული ეროვნული სახის გასაქარწყდებლად მთავრები იერიში „დედა-ენა“-ზე მიუტა-ს ხოლმე, და თუ ერს თავისი ენა დაუ-მოვა, სახეც გაქრობია, გადაგვარებულა.

წწოდედ ამ პატარა ერების ბედიდალს წინცდის დღეს ქართველი ერი: ულმობელმა წოვებარებამ, მკაცრმა და ბნელმა ძალებმა და

უზიტობა—უმეცრებაშ დღეს მას ხელიდან გამოიცალა უველა ის, როთაც მას უცხოვრია რამდენიმე ათასი წელი, ამაუად შეუტანა-თავისი წვლილი კიცობრიბიბის ცხოვრებაში. შერჩა მხოლოდ „ენა“, რომელიც განიცდის სასტიცის დენის: ის დღეს გაძევებულია უვე-ლა ჩვენა დაწესებულებიდან... გადამთავ-ლინ მას პირუტევის ენას უწოდებენ...

ვინ უწევს ამ ეროვნულ უბედურებას წინა-აღმდეგაბას?

ის, გისაც დღეს ნამუსახლილი, სასტიცად მოტეუბული, უველივე ბედნიერებას ტლან-ქი ძალით მომორცხული ქართველი ერის შე-სახებ თავის გალი უკანასხებს: ის ძლიერი იარაღი, რომელიც უმთავსესი წეარღა ერის არსებობისა და რომლის დაკარგვა იწვევს თვით ერის გაქრობას, შენ—სახალხო მას-წავლებელო—უნდა შეავარო ხალხის შეი-ლებს; შეაუყარო ისე მტკიცედ, რომ მათ იგრძნებონ ამ იარაღის ფასი, სიძლიერე, სი-დიადე და წმინდათა—წმინდათ ჩაიძებონ თავიანთ გულში!..

ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ სკოლა და სახალხო მასწავლებლითა უძლევებლი იარაღი ჩვენი ერის კეთილდღეობისა.

ეს მდგრმარება კარგად მოქმედება წევნის გარდა სხვებსაც და, ამ, უკეთესებ დონის-ძიება მიღებული ჩვენის სკოლის და მასწავ-ლებლის დასულებურებლად.

სახალხო მასწავლებლს რომ მნიშვნელო-ბა დაეკარგოს, რომ ის არ წარმოადგენდეს საშიშარი იარაღს—მას არ აძლევენ უფლებას, ადამიანობის, ცხოვრების სახსარს... .

ჩვენი სახალხო მასწავლებლითა იმათი აზ-რით ვალდებულია აწარმოებოს სკოლა მხო-ლოდ ცემდღან შემუშავებული ინსტრუქციე-ბის მიხედვით, მოიქცეს სკოლაში და მის გარედ მხოლოდ ისე, როგორც ამას ისინი მოისურვებენ, იკითხოს წიგნი და უკრნალ-გაზეთი მხოლოდ მათ მიერ შემუშავებული სიით, თითქმის პირადი საცნობობაც-კი ეძვე-მდებარება მათ პრობლემას...

სახალხო მასწავლებელი წერილი მთხელეა და მეტი არაფერი. მან რომ მთიაწადინოს გაზეთში რისმე დაბეჭდება, მას დამსაშავედ იცნობენ წესრიგის დარღვევებში და მთავრობის უპატივმცემლობაში.

სახალხო მასწავლებელი იმდენად წერილი მთხელეა, რომ მისი სკოლითან სკოლაში გადაეცანა, ბავშვებს და სალხს მოწევებია და სულ სამსახურიდანაც დათხვენა მათთვის სრულიად შეუმჩნეველი მოვლენაა...

ასეთია უულებრივი მდგომარეობა ჩვენი სახალხო მასწავლებლის.

ახლა თრიოდე სიტყვით შევეხთ მის ნივთიერ მდგომარეობას.

ხაქმარისი იქნება მოვუსმინოთ თვით უფლიდი ინსპექტორს, ბ-ნ მაქავარიანს. *)

ბ. თქვენ დაინახავთ სიცოლის მასწავლებლის უფლებმისრივ აუტანელ ნივთიერ შევიწროებას...

ნუ თუ სხვა ვინმე, გარდა სახალხო მასწავლებლისა, შესძლებს ასეთს მდგომარეობაში მძიმე უდღის გაწევას?

ასეთს მდგომარეობას ზედ კიდევ უფრო

*) ქ. დ. მაჩავარიანი. ოცნებები და მოვლენები მასწავლებლის გამოცემა 1909 წ. გ. 2.

მეტი სიმწირე ერთვის: ჩვენი სახალხო მასწავლებელთა შესამჩნევი ნაწილი მოწევებია. საზოგადო ცხოვრების მსელელობის უწინისგრებას! მივარდნილი და ურე სოფელში, სადაც არც უკრნალ-გაზეთია, არც თურითი და არც ლექცია — წიგნი, ზის საწევაო მასწავლებლი გაყინულ ლათახში და ჩაჰჭირების ბავშვების რევულებს... არც უნდა მომზადებული იუს მასწავლებელი — ის უქარებას შემთხვევაში გთხებრივად თუ არ ჩატარდება — წინ შაინც არ იწევს!

ასეთს მდგომარეობაში არის დღეგანდედა ჩვენი სახალხო მასწავლებელი; ასეთს გაულიდს, უუფლებოსა და დამცირებულს არსებას წარმოდგენს ის დღეს. მძიმე რეალი ისე მაგრად შემთხვედია მას, რომ გამრევის ნებას არ აძლევს, მაგრამ ის მაინც სატიქით ტანჯვით წინ მიდის, რა თქმა უნდა მძიმედ, ხელა: სან დაეცემა, სან წამოდგება... ჯერ სუსტია, მაგრამ მალე, სულ შეუმნედ გამიმართება წერეში და თავის ერთან-ერთად ისიც თავისუფლად ამოს სუნთქება...

დიდია ჩვენი სახალხო მასწავლებლის შრმა, რის უკაუთვა უფლებად შეუძლებელია.

გ. ა — ნი.

ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია

ლევანდელმა ფელეტონმა, 13 აპრილის „სახ. ფურ.“-ში *), მომავონა, რომ ნებითა სატანისათა ქართველებმა, ამ ათიოდე წელიწადში ერთი სიტყვაც დავამახინჯეთ. ხშირად შემხვედრია წიგნებში და უურნალ-გაზეთებშიც უკანონოდ ხმარებული სიტყვა მიწის ძვრა.

მერე და ნეტა რა ნაირად გააძვრინეს, გამოაძვრინეს ეს ჩვენი საბრალო პლანე-

*) იხ. № 256, ბირველი ფელეტონის შარველი სეტი.

რა, დედა მიწა, — ვინ იყო სიტყვის პირველი გამრუცნელი — ძნელი გამოცანაა.

აი ჩვენი მამა-პაპა როგორა სწერდა:

1) „... დღესა აღდგომისასა ესეოდე შეიძრა ქვეყანა... არამედ იყო ეს ვათარი ძრვა ერთწელ (ვახუშტ. ისტორ. გვ. 172).

2) ... „ამ მიწის-ძრვამ დაანგრია თბოგვის ციხე სამცხეში“ (დ. ბაქრაძე. იქვე).

3) „ველეთრასენიე, ქვეყნის ძრვა“.

4) „ძრვა მიწისა, ველეთრასენიე“, (დავით ჩუბინ. ლექსიკონები). —

5) „ძრვა, მიწის რყევა. ძრვანი ამის გამო იქნებიან“... (საბ. სულხ. ორბელ. ლექსიკონი).

6) ძრვა იქნების შუაგულ დედამიწის ჭიუხოვლისაგან“ (რაფ. ერისთავი. იქვე).

მე მგონი იქმარებთ ამ საბუთებს და დღეის იქით მართებულად იხმართ ამ სიტყვას. პირად მე ვწერდი: მიწის ნძრევა, მიწა ინძრა. ზღვის ნძრევა, მოეტრა- ცენიე და სხვა.

მართლაც და მგონი ამ ჩემმა ტერმინმა უფრო აჯობოს კიდეც, რაღან უფრო მარტივად სახავს ამ სტიქიურ მოვლენას, ვრსაც გინახავთ ახალი აპპარატის სეის- მოგრაფის მუშაობა დამეთანხმებით, რომ დედამიწა შეინძრევა ხოლმე და ნემსიც კახკახებს.— ხოლო ეს რაღაც ძრვა და შეტაღრე ძვრა კი არ ააღვილებს შეგნებას, წარმოდგენას, უფროც აბნელებს.

ვისაც აქვს დავალებული მე ვსთხოვ შეასწოროს „ბუნების კარში“ (გვ. 251) ეს სიტყვა. სახელმძღვანელოს, მოგეხსენებათ, დიდი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზე და ერთი კი შეითვისა ძნელად-ლა გადააჩვევთ. მე რო მეკითხებოდეს ამ სტატიაში „მიწის ძვრა“, ორიდე სიტყვასაც გავასწორებდი: 1) „დედამიწის ჰეშ ისმის“ აზრის სიმარტივისთვის სჯობს ითქვას: დედამიწის გულიდან ისმის.

2) „თავზარდაცემული ადამიანები“*) სჯობს ითქვას ხალხი.

*) ამ სიტყვის „ადამიანი“, მრავალობითი რიცხვით სმარება ხალასი რუსიც მიმა. მარაზ უკეთა ჩეგნი შწერალი კი არ ერიდება. კი ჩო ქართულის აბუჩალ აგდებაა! აბა თომ არ დასწერთ ყელიბჭებს მრავალობითი ხელის—განა რო მთელს რესეთში თავს ჩატრიან, სირცხვილეეულს გეოფენ. ქართულში კი როგორც გინდა იბუქნავე, ვინა მის გამცემი.

3) საცოდავო ხმით უ. ი. საცოდავის ხმით.

4) ზოგი მთები სკდება უ. ი. სქდება.

5) იქნევა უ. ი. ინგრევა.

6) „დედამიწის ზედა პირი კანი“. სჯობს ითქვას: დედა მიწის ზედა პირის ქრექი. ვინაიდგან კანი ითქმის სიფრიფინა რამ სხეულზე. ამის ვარდა ბევრავნ წავშლიდი განებს გ. მაგალითად: აღვილიდგან, იქიდგან, ნაპრალიდგან და სხვა...

* * *

ეს ათიოდე წელიწადი იქნება რაც ქართულს ლიტერატურას ახალი სენი შემოქმარა, სახელმობრ: ნარგანჭესანი, ამ სენის ბაქტერია ძლიერ რყვნის ქართულს, დიალ დილი ჭირისუფლობა გვმართებს ვისაც-კი დედა ენისთვის გული შესტკივა. ამ სენით უფრო შეპყრობილ არიან დასავლეულები, მეტადრე ის ბატონები, რომელნიც ახლად გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზე და ქართული კი არ იკიან.

მაგრამ ისიც ხომ მოგეხსენებათ: „ზოგი ჭირი მარგებელია“—ო. მართლაც და ზოგიერთა სიტყვა უეპველად მოითხოვს ნარგანჭესანების გამოკლებას. ეს საჭიროა ლექსის კეთილხმოვანებისთვის და თანაც დიდს ეკონომის შეადგენს ბეჭდვითი საქმეში.— მაგრამ გადაჭირება არავითარ საქმეს ხეირს არ მოუტანს.

ერთი სიტყვით საჭიროა კაცმა იქნიოს ქართული ენის ბუნებრივი უტყუარი სმენა. უნდა გულისყურმა გვიკარნახოს რა სიტყვებში შეიძლება უვნებლად გამოვაკლოთ ნარგანჭესანები და რა სიტყვები უნდა უცვლელად დავტოოთ. ხოლო რათ უნებებიათ ჩეგნი წინაპრებს, ეს ზედმეტი ნარგანჭესანებით დატვირთვა ქართულ სიტყვებისა, ამის ახსნა ჩეგნი გრამატიკოსებისთვის მიგვინდვია.—

მაგრამ რო შეიძლება ქართულის სრულებით მართებულად წერა, ამის ნიმუშად მე დაგისახელებთ თუნდ დღევანდელს (12 აპრილი. „სახ. ფურუ.“) დამატებაში მოთავსებულს პატია პოემას „დაკოდილი“. ეს მშევნიერი პოეზია რა მხრივათაც გინდათ აღეთ — ნამდვილი, ბუნებრივი, წმინდა წყალის თვალია, ქართულის აღმასი და ბრილიანტია. ეს პატია პოემა აწმუო ცხოვრებიდან გამოგლეჯილი, მშევნიერების იდეალია, მგოსნის ნამდვილი აპოთეოზია, — პოეზის ღმერთამდე ასულა და ლაშობს თქვენც გაგიტაცით, ოლიმპის მთაზე თქვენც აგიყვანოთ.

მართლაც და თუ არ ნაჩეანსანით ავადმყოფი, საღი გონების აღამიანი, ქართულის მცოდნე ამ ლექსში ვერც ერთს ასოს ვერც მიუმატებს და ვერც გამოაკლებს. იგივე ითქმის მის ვერდეზე მოთავსებულს სხვა ავტორის ლექსს. —

მე მაქვს ახლო ნომრებიდან, გაზეთ-ურნალებიდან სანიმუშოდ ამოწერილი სიტყვები. იმ მიაქციეთ ყურადღება, ნარგანჟესანით ძალზე ავადმყოფებს რა გვარ დაუმახინჯებიათ, სრულებით გაურყვიათ ქართული:

1) „მაღიანი აღგილი“ უნდა იყოს მაღნიანი აღგილი (წერილი შექება საქართველოში სამთო-მაღნის წარმოებას სატატისტიკას).

2) „მიღვრები“ უ. ი. მინდვრები ე. ი. მინდორი და არა მიღორი.

3) (დიდი შეცდომა არაა, მაგრამ მანც უკანონოა) „ვინაიდან“ უ. ი. ვინაიდგან. მტენარი პროვინციალიზმია შემდეგი სიტყვები:

1) „გაიხინენ“ უ. ი. გაიკრიბნენ.

2) „ინტერეს ტოტებს*)“ უ. ი. იმტვრეს ტოტებს.

*) იხ. ლექსი „მუსა“ („ს. ფ.“ № 233)

3) „დევენიცა“ უ. ი. დაევიწყა და სხვა მისთანები.

საზოგადოთ უურნალ-გაზეთების რედაქტორი მოვალენი არიან ქართულის სიწმინდე და მისი სიწმიდე დაიცვან — ენასაც ყური უგდონ და ტერმინებსაც — მაშ რილის ქურუმნი ხართ წმიდა ტაძრისა, საკურთხეველისა?!

გაზეთებმა კიდევ შეიძლება საპატიო მიზეზის გამო ვერ შევასრულონ ეს წმინდა მოვალეობა, რადგან ყოველდღიურ რეგის იმდენი დრო აღარ რჩება, მაგრამ უურნალებს და წიგნების რედაქტორ-გამომცემლებს კი არ ეპატიებათ ქართული დაუდევრობა — მახინჯ სიტყვების ბეჭვდა, ტკბილი ქართულის გარყვნა.

მაგრამ რას იტყვით, რომ ე დალოცვილი რედაქტორობაც დღეს ისე გაიფარა, გაადვილდა, რომ „აღარა ღირს აღარც ჩირად“ — ჯოხი რო გადააგდო უეპეველს რედაქტორს მოხვდება. ჰო და ამისთანა რედაქტორებს რა მოვალეობა, რა დარბაისლობა მოესთხოოთ ენის ტაძრის სიწმიდის წინაშე.

ბატონებო და რაზედ იჭირებთ ნეტა საქმეს, რას ჩქარობთ? — ჯერ ქართული ისწავლეთ, თქვე დალოცვილი შვილებო, და მერე გამობრძნებით სალიტერატურო ასპარეზზედ. ადათი და წესია ჯერ უნდა შოინაფლოთ და მერე ტაძარში შესდგათ ფეხი სალოცავად.

ან იქნება გვონიათ, თუ არა თქვენ საქართველო დაიღუპება?.. ვინ იცის იქნება რო ასეც პფიქრობთ.

ილ. ალხაჩიშვილი.

რედაქტორ-გამომცემები

ლ. გ. ბოცვაძე.

ცხოველი

ქ. მ. წერა-პიონერის გამავრცელება.
საზოგადოებრივის მომენტების.

ო ქ ა თ

ქ. მ. წ. ქ. გამავრცელებების საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა
14 დეკემბერს 1914 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა
გამგეობის წევრმა დ. გ. კარიჭაშვილმა დილის 11 საათზე და 20-წუთზე.—დაესწრო 172-ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარე აუწყა კრებას განსვენებული საზოგადოების საპატიო წევრის
ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გადაცვალების სამწუხარო ამბავი და
აუწყა განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად გამგეობის მიერ 9 დეკემბერს სა-
განვებო კრებაზე გამოტანილი შემდეგი დადგენილება: ას გადახდილ იქმნას გან-
სვენებულის სულის მოსახსენებლად ჰანაშვილი. ბ) გამოეცხადოს სამძიმელი გან-
სვენებულის მეუღლეს, ძმებს და დას. გ) გვირგვინის ნაცვლად გადაიდოს საჭირო
თანხა სოფლის ბიბლიორთეკა—სამკითხველოსათვის წიგნებისა და უურნალ-გაზე-
ოების შესაძენად, დ) გაიხსნას ერთი ახლი სკოლა და ბიბლიოთეკა განსვენებუ-
ლის სახელზე, ე) დაიკიდოს განსვენებულის სურათები წ. კ. გ. ს. კანცელარია-
ში და ამ საზოგადოების ეროვნულ მუზეუმში. შემდეგ მოახსენა კრებას, რომ
პანაშვილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად უკვე გადახდილ იქმნა გუშინ,
13 ამა თვეს, კათოლიკების ეკლესიაში და სთხოვა მოესმინა მოსკოვში გაგზავ-
ნილს სამძიმრის დეპეშაზე ქვრივ ოლღა ზუბალაშვილისაგან მოსული პასუხი:
„გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა სამძიმრის გამოცხადებისათვის,
მადლობას გწირავთ პანიშვილის გადახდისა და განსვენებულის ხსოვნის აღნიშენის
კეთილ განზრახვისათვის“ ხსენებულის პასუხის მოსმენის შემდეგ, თავმჯდომარის
წინადადებით კრებამ ფეხზე აღგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

მდივანი კ. ბურჯარაძე კითხულობს წარსული 7 დეკემბრის საზოგადო კრების ოქმს. კრება ოქმს შეუსწორებლად ამტკიცებს.

ა. დღმთათიქე. ნება მიბოძეთ ერთი ფაქტიური შენიშვნა გაუკეთო წარსულ კრებაზე ს. დადიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. პირველ კრებაზე მასწავლებელ თავის კურსების გამართვის შესახებ მე აღვნიშნე, რომ, თუ გამგეობას მთავრობამ ნება არ მისცა ქართულს ენაზე მოეწყო მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსები, მას, გამგეობას, რუსულად მაინც უნდა მოეწყო ასეთი კურსები და ლექციები. მასწავლებელნი რუსულს ენაზე მიღებულს ცოდნას გადაიტანდენ ხალხში, ქართულად გადასცემდნენ ამ ცოდნას ხალხის შეიღებს და მიზანი ცოტაოდნად მაინც განხორციელებული იქნება თქვ; ბ-მა დადიანმა კი სულ სხვა რედაქტორით მოიხსენა ჩემი ნათქვამი და კრებას აუწყა, ვითომც მე რუსულ ენაზე ვთხოულობ კურსების გამართვას და სკოლებშიაც რუსულს ენაზე ვთხოვ. სწავლის წარმოების საქმის მოწყობას. მე ვაცხადებ პროტესტს აზრის ასეთი დამახინჯებისათვის.

თავმჯდომარე შენიშვნას ორატორს, რომ დადიანმა უცვლელად მოიყვანა მისი სიტყვები და თავის განმარტება მისცა, აზრი არ დაუმახინჯებია და წინადალებას აძლევს შესწყვიტოს ამ საგანზე კამათი.

პ. ჯაფარიძე. ბ-მა ს. დადიანმა ჩემი სიტყვაც განძრას დამახინჯა, მე ვსოქვი, საჭიროა ჩენი სკოლები ისე მოეწყოს, რომ შესაძლო იყოს მოსწავლეთათვის სწავლის გაგრძელება სხვა და სხვა სასწავლებლებში და ეს ასეც უნდა იყოს. შეუძლებელია დღევანდელ დროს სკოლის საფეხურთა შორის კავშირის დამკარდებას ხელი არ შეუწყოთ, ამას თხოულობს ცხოვრების დღევანდელი პირობები. ს. დადიანმა კი მომაწერა, ვითომც მე მოვითხოვ რუსულს ენაზე სწავლის წარმოება, რადგან ეს სასამართლოებში და ყველა მთავრობის დაწესებულებებში საჭიროა...

თავმჯდომარე. მოგეხსენებათ, რომ წინანდელ გრებაზე ძლიერ მწვავე კამათი გამოიწვია საკითხმა საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ. მოპილაპირები ერთმანეთს მკახე კილოთი იხსენიებდნენ, პირადობას ეხებოდნენ, რომ დღესაც არ განმეორდეს ასეთი არა სასიმოვნო კამათი, უმჯობესია კენჭის ყრას შეუდგეთ ეხლავე მით უმეტეს, რომ საკითხი გამორკვეულია, თუ არა 20 ორატორზე მეტია ჩაწერილი და, ყველამ რომ ილაპარაკოს ეს საკითხი დღესაც გამოურკვევე ველი დარჩება.

ჸ. საუკრებიძე. შემოვილოთ რეგლამენტი, განვსაზღროთ დრო 5 წუთით და ეს საქმეს გაგვიადვილებს.

თავმჯდომარე. წინანდელ კრებაზე: რელამენტი შემოღებული იყო, მაგრამ ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ კამათის დროს ლაპარაკის დრო ნუ განისაზღვრებაო.; ეხლა, თუ კრება ისურვებს და შემოიღებს რეგლამენტს, დროს მოსაგებად, კარგი იქნება

კრება საჭიროდ სთვლის რეგლამენტის შემოღებას.

თავმჯდომარე სსნის კამათს საწევრო გადასახადის შესახებ.

၁. ცინანდელ კრებაზე საკამათო საკითხება ძლიერ მწვავე ხასიათი მიიღო, მოწინააღმდეგენი თავისი აზრის დასამტკიცებლად ვინ იცის, რას არ ასახელებდნენ მიზეზად საწევრო გადასახადის შემცირების წინააღმდევ: ესაო და საშიშიაო. საზოგადოებას დაგვიხურავენო, ესო, და ჯერ ხალხი საქმაოდ მომზადებული არ არისო, ჯერ დრო მოუმწიფებელია და სხვა. ერთი ორატორი ၂. უორდანისაც კი შეეხო, სწვდა მის მოძღვრებას, როგორც ეროვნული იდეალების წინააღმდევს, კამათს რაღაცა ჯგუფური ხასიათი მისცა, რაც საულიად ზედ მეტი იყო და საკითხს არ შეეხებოდა. ბ-ბო, ხალხი, რომელსაც ეს ჩვენი კულტურული საზოგადოება ემსახურება, უკვე იმდენად მომზადებულია, რომ გას შეუძლიან ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს, ხოლო ჩვენ ხელ-ფეხს უბორკავთ სამძიმო გადასახადით და არ ვაძლევთ საშვალებას აյ შემოსვლისას და მუშაობისას. ვ მანეთის გადახდა მუშისათვის ძნელია, მუშა, რომელიც თვეში ღებულობს ၃၅—၃၅ მანეთამდე ვერ შესძლებს ვ მანეთის გადახდას, მით, უმეტეს, რომ მას გარდა იმისა, რომ ცოლ-შეილი უნდა შეინახოს. ამ მცირე ჯამაგირით, უხდება სხვა დაწესებულებაშიაც მონაწილეობის მიღება და თავის წვლილის შეტანა, ყველა ამას კი ვერ ახერხებს. არა მარტო მუშებს, გლეხებსაც არ შეუძლიანთ ვ მანეთის გადახდა. რომ თვით გლეხები და მუშები მოითხოვენ საწევრო გადასახადის შემცირებას, ამის მაგალითებიც მოყვანილი იყო. საზოგადოების ფილიალური განყოფილებები პირდაპირ აყენებდნენ საკითხს საწევრო გადავახადის შემცირების შესახებ, მაგალითად, ლიხაურში, ბათომში, სოხუმში და სხვა-განა საწევრო გადასახადის შემცირება ხელს შეუწყობს უეჭველად განყოფილებათა რიცხვის გამრავლებასც.

თავმჯდომარე. 5 წლითი შესრულდა, სიტყვა ეკლოვნის გაბაშვილს.

ცინცაძე რეგლამენტი, კრებას არ მიუღია, გთხოვთ დამამთავრებინოთ სი-
ტყვა...

თავმჯდომარე. რეგლამენტი კრებაში მიიღო ბ-ნი საყვარელიძის წინადალებით. ხმები: რეგლამენტი არ ეხება წინანდელ კრებაზე ჩაწერილ ორატორთ. გთხოვთ დაამთავრებინოთ სიტყვა ორატორს.

3. საუფარეფიძე. მე განვიცხადე და ეხლაც ვაცხადებ, რომ უეპველად საჭი-
როა რეგლამენტი დაკავშირ იქმნას.

თავმჯდომარე საჭიროდ სთვლის ხელახლად კენჭი უყაროს საკითხს განისაზღროს თუ არ განისაზღვროს ირატორთა სიტყვა.

83 ხმით წინააღმდეგ 12 ხმისა კრება საჭიროდ აღიარებს დროს განსაზღვრას.

ଜ୍ୟୋତିଶ୍ରୀରାଜ୍ଯପାଲ ସିନ୍ଧୁପଦାଳ୍ମୟ ହାର୍ଷ ଅକ୍ଷେତ୍ରେବେ.

რომ მასა ჯერ მომზადებული არ არის, შეუწყნარებელია. სად ვრცელდება დღეს წერა-კითხვა, უურნალ-გაჲეთები, წიგნები?—ხალხში, სად არსდება საზოგადოების განყოფილებანი—სოფლებში—ხალხის დახმარებით და საშვალებით. მე თუ მკითხავთ, ორი ან სამი მუშა გამგეობაშიც რომ იჯდეს, უკეთესი და საქმისათვის ბევრად სასარგებლო იქნება. მე ვმუშავობდი სახალხო უნივერსიტეტში, მქონდა საქე მუშებთან და დიდის სიამოვნებით ვისმენდი მათ ლაპარაკს და სასიამოვნო შთაბეჭიდილებას ახდენდნენ ჩემზე ეს ნამდვილი ხალხის შვილები. ა. ჯაჭანაშვილმა წინანდელ კრებაზე განაცხადა. რომ წ. კ. გამ. საჩ. არის საკულტურო დაწესებულება, რომლის მიმართ ჩვენ ვალდებულება გვაქვს და არა უფლებაო. ეს შემცდარი აზრია. უფლებას მოკლებული ვალდებულება ყოველივე საზოგადო საქმის უარყოფაა. რა აზრი აქვს წერა-კითხვის ცოდნას, თუ არა ის, რომ იმის საშუალებით ადამიანმა შეიგნოს თავისი უფლება და სხვების სწორუფლებიანობა ამ წუთი-სოფელში. უფლება და ვალდებულება განუყრელი სული და ხორცი უნდა იყოს, მათი განცალკევება—ამ ხორცისა და სულის გაყრა—სიკვდილია და სხვა პრაფერი. და, როცა გაისმის ხმა უფლება ერთი წრის ხალხს უნდა მიენიჭოს, ხოლო ვალდებულება კი მეორესო, ამგვარი ქადაგება დაწესებულების სიკვდილის ქადაგებას უდრის, მაგრამ უფრო საოცარია ამგვარი ქადაგება ჩვენს დროში, რომელსაც დემოკრატიული ხანა ეწოდება.

ს. დადაიანის აზრით, ცხარე კამათი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ ბელურებზე ზარბაზნების სროლის უდრის, სადაც უმაღლესი უფლებები არ არის ჩვენში გავრცელებული, განა, ღირს ამგვარ წვრილმანებზე ლაპარაკით ჩემის შეხედულობით კი დიდ საქმეს იმიტომ ვერ ვაკეთებთ, რომ მცირე საქმეებში თანხმობით მუშაობა არ შევვიძლიან.

წ. კ. გ. ს. საწევრო გადასახადის, შემცირება, მართალია მცირე საქმეა, მაგრამ ამის საშვალებით ხალხი შესძლებს ამ დაწესებულებაში შესვლას, იქ მუშაობას. ჩვენ ვიცნებობთ ვრცელი უფლებების შესახებ, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ვრცელი უფლებების მოპოება მხოლოდ იმას შეუძლიან., ვინც მცირე უფლებას პატივსა სცემს და ამ მცირე უფლების მოსაპოებლად ხალხს გზაზე არ ეღობება.

გრ. ბურჟუატე. მე წინააღმდეგი გახლავარ საწევრო გადასახადის შემცირებისა, საწევრო გადასახადის შემცირება, მართალია, წევრთა რიცხვის გამრავლებას ხელს შეუწყობს მაგრამ შემოსავალი კი იყენებს. ის ცოცხალი ულემენტები, რომელიც აქ ახსენეს, გახლდნენ ვამგეობაში. მ-გრამ ჰქითხეთ, რა გააკეთეს, როგორი სიცოცხლე და უნარი გამოიჩინეს. სახალხო უნივერსიტეტში მანეთია საწევრო გადასახადი, მაგრამ საქმიანობის უნარის გამოჩენას ვერ ვხედავთ, აიღეთ მაგალითად სახალხო უნივერსიტეტები: გორში, ჭიათურაში, ბათომში, თბილისში. ეს დაწესებულებები ყველგან სულს დაფავენ. მანეთმა ვერ უშველა, საქმე მანეთში კი არ არის—შეგნებაშია. სულ სხვა არის სოფელი, აქ კი საწევრო გადასახადის რაოდენობა ნაკლებიც რომ იყოს, საქმეს მოუხდება.

ბ. ცინცაძე. მე მომხრე ვარ საწევრო გადასახადის შემცირებისა.

მუშისათვის, რომელიც თვეში დებულობს 20—25 მანეთს, არამც თუ სამს მანეთის, ერთი მანეთის გადახდაც ძნელია. თვითეულ გამგეობის წევრთაგანი შუათანა რიცხვით დებულობს თვეში. არა ნაკლებ 150 მანეთისა და იხდის სამს მანეთს, მუშაც, რომელიც დებულობს ექვსჯერ ნაკლებს, ამდენსავე გადასახადს იხდის: სად არის აქ სამართალი. თუ მუშისათვის სამი მანეთი უნდა იყოს გადასახადი, მაშინ გამგეობის წევრები უნდა იხდიდნენ არა ნაკლებ 18 მანეთისა, ე. ი. ექვსჯერ მეტს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ 18 მანეთი იყოს გადასახადი, ყველა თქვენგანი უარს იტყვის 18 მანეთის გადახდას ხალხი ვერ შესძლებს. უბრალო მოქალაქობრივი მოვალეობა მოითხოვს, რომ თქვენ უკამათოდ აღიაროთ საჭიროება საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ. ს. დადიანი ბრძანებს კარებს მაშინ გავაღებთ, როცა ნამდვილი შეგნებული ქართველი ხალხი მოვა და კარებს დაგვირაკუნებსო, გასაოცარი ამბავია, ხალხი დადიანს კი არ დაუცდის და კარებს კი არ დაუკაკუნებს, შემოამტვრევს და შემოვა, თავის აღილს დაიჭირს.

თ. კიკვაძე. მე მწუხარებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ აქ განსახილველ საკითხს გვერდს უხვევენ და პოლიტიკურ საკითხს არკვევენ, არც აქ სრულიად მოსატანი არ არის. თქვენ ხალხი გეუბნებათ მეც ადამიანი ვარ, მეც მინდა ვიმუშავო; ჩემი წვლილი შევიტანო საზოგადო საქმეში; თქვენ კი ეუბნევით არა ჯერ შენ შეუგნებელი ხარ, და აქ შენთვის ადგილი არ არისო. ს. დადიანი მხოლოდ მაშინ სთვლის შესაძლებლად ხალხის ამ დაწესებულებაში შემოსვლას, როცა იგი შეიგნებს, თვითონ მოვა და კარებზე დაარაკუნებს... როცა იგი შეიგნებს და საშვალება ექნება—კარებზე კი არ დაარაკუნებს, გაბედული მოვა, შემოაღებს კარებს და იტყვის „მე გახლავაზ ქართველი და სემი საქმე ეროვნული, ქართველური, მე თვითონ უნდა ვმართო“ ეს დაწესებულება მაშინ შეიქმნება ნამდვილ ეროვნულ საქმეთ, როცა იგი თვითონ იქნება თავისი საქმის გამგე—პატრონი. მიზეზად იმის მოყვანა, რომ საზოგადოებას დაგვიხურავენო, ეს ნაცადი ხერხია, ამას ეფარებიან უკან მოწინააღმდეგები. ნუ თუ საზოგადოებას დაგვიხურავენ იმისათვის, რომ ჩვენ კანონიერის გზით, შუა-მდგომლობას აღვძრავთ სათანადო დაწესებულებათა წინაშე წესდების ერთი მუხლის შესახებ?!..

ორატორის აზრით, საკითხი საკმაოდ გამორკვეულია და დროს მოსაგებად სჯობია შესწყდეს კამათი დს საწევრო გადასახადის შემცირებას კენჭი ეყაროს.

პ. კაფარიძე. აქ წარმოითქვა მთელი რიგი მოსაზრებათა საწევრო გადასახადის შემცირების წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთი მოსაზრება სინამდვილეს არ ეთანხმება. საწევრო გადასახადის შემცირება რომ ხელს შეუწყობს საქმის გამოცოცხლებას, ეჭვი არ უნდა. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება კულტურული დაწესებულებაა, და თუ გვნდა ამ დაწესებულებამ ფრთხები გაშალოს, რული დაწესებულებაა, და თუ გვნდა ამ დაწესებულებამ ფრთხები გაშალოს, ფართო მასა დააინტერესოს, ნამდვილ მის ინტერესებს ემსახუროს, შევამციროთ საწევრო გადასახადი. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელ პირობებში ამ გადასახადის შესახებ?

დის რაოდენობა განისაზღვროს მანეთით. მუშათა კავშირების და სხვა და სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციათა მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ იქ საწევრო გადასახადი იწყება მინიმუმიდან და შემდეგ, როცა წევრნი თვითონ დაინახავენ და საჭიროდ სცნობენ გადასახადის გადიდებას, არსებულს წესდებასაც სცვლიან. დიახ, ხალხი უნდა მოვიზიდოთ და არა დავაფრთხოოთ, დავუახლოოთ ამ დაწესებულებას- და ეს უკანასკნელიც დავუკავშიროთ ხალხს.

ბ-6 გეგეტეჭრის აზრით, საჭიროა საწევრო გადასახადის შემცირება ერთ მანეთამდე.

3. გელეიშვილის აზრით, კამათი უნდა შესწყდეს და პირდაპირ კენჭი ეყაროს საკითხს, რადგან იგი საკმაოდ გამორკვეულია.

თავმჯდომარე ეკითხება ჩაწერილ ორატორებს სურთ თუ არა გამოსთქვან აზრი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ.

ჩაწერილი ორატორები: ამირაჯიბი, მ. სარაჯიშვილი, ბალიაშვილი, დ. დუმბაძე, ფ. გოგიაშვილი და სხვები უარს აცხადებენ სიტყვაზე და თხოულობენ სიკითხის კენჭის ყრით გადაწყვეტას.

3. საყვარელაძე თხოულობს კენჭი ეყაროს შემდეგს მის კონკრეტულ წინა დადებას: წ. კ. გ. საზოგადოების მორიგი კრება, აღიარებს რა საწევრო გადასახადის შემცირების საჭიროებას ერთ მანეთამდე, წინადადებას აძლევს გამგეობას სათანადო შეამდგომლობა აღძრას წესდების მეათე მუხლის შეცვლის შესახებ.

გრ. რცხილაძეს შეუძლებლად მიაჩნია ამ წინადადებას კენჭი ეყაროს.

თავმჯდომარე. კითხვა მარტივად არის დაყენებული: შემცირდეს თუ არა საწევრო გადასახადი ერთ მანეთამდე.

ცინცაძე, რ. უითანი და სხვები მოითხოვენ ახდილი ხმის მიცემით ხსენებულ საკითხის გადაწყვეტას.

არ. ჯაფარაშვილი, გრ. რცხილაძე და სხვები მოითხოვენ ფარული კენჭის ყრით საკითხის გადაწყვეტას.

თავმჯდომარე. ვინაიდან ზოგიერთი წევრები მოითხოვენ ფარული კენჭის ყრას, მე, როგორც თავმჯდომარეს, შეუძლებლად მიმაჩნია მიღებულ წესის თანახმად, ახალი კენჭის ყრა მოვახდინო და ამიტომ ყუთი უნდა დაიღვას და კენჭი ეყაროს საკითხს.

ფარული კენჭის ყრით 84 ხმით წინააღმდეგ 75 ხმისა კრებამ დაადგინა საწევრო გადასახადი დარჩეს ისევ სამი მანეთი.

კრება დაიხურა დღის 4 საათზე. შემდეგი კრება დაინიშნა კვირას, 21 დეკემბერს, დღისით 11 საათზე.

თავმჯდომარე დ. გ. კარიჭაშვილი.

მდივანი ვ. ბურჯანაძე.



ო ქ მ ი

ქ. შ. წ.-პ. გამარტინ ცელებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა
21 დეკემბერს 1914 წელს.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა, გამგეობის წევრმა დ. გ. კარიქაშვილმა დილის 11 საათზე და 20 წუთზე.—დასტრო 148 წევრი.

კრებამ მოისმინა წარსული კრების ოქმი და მცირე შესწორებით დაამტკიცა.

თავმჯდომარე მოახსენა კრებას, რომ თანახმად საზოგადო კრების დავალებისა პალე საყვარელიძემ და რევაზ გაბაშვილმა პ. გელეიშვილის თანადასწრებით შეამოწმეს ალექსანდრე ორბელიანის ხელნაწერი დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ შესახებ და არც ერთი ფურცელი არ აღმოჩნდა დაკარგული. პეტრე გელეიშვილმა განაცხადა, რომ მას კარგად არ ახსოვს, თუ რომელ ხელთნაწერში აღმოჩინა მან დაკარგული ფურცელები და ითხოვა დრო ამის გამოსაკვლევად. ბ-ნ რევაზ გაბაშვილს და პავლე საყვარელიძეს უნდა ეარათ მუხეუმში და გადაესინჯათ სხვა ხელთნაწერებიც, მაგრამ მას შემდეგ მუხეუმში არ მოსულან, ბ-ნი საყვარელიძეც ამასვე დაამოწმებს.

პ. საეგარელიძე აღნიშნავს, რომ მართლა იმ ხელთნაწერში, რომელზედაც მიუთითა პეტრე გელეიშვილმა წინანდელ კრებაზე, არც ერთი ფურცელი არაა დაკარგული. გელეიშვილმა განაცხადა, რომ მას კარგად აღარ ახსოვს რომელ ხელთნაწერში იპოვა ამოხეული ფურცელები და ითხოვა დავხმარებოდით მას აღმოსაჩენად. მისი წინადადება მიღებულ იქნა. ჯერ ეს საკითხი არ შეიძლება გამორკვეულად იქმნას ცნობილი, ვიდრე უკანასკნელს დასკვნას არ წარმოადგენს ბ-ნი რევაზ გაბაშვილი, რომელმაც გელეიშვილთან ერთად უნდა გადასინჯოს ხელთნაწერები და შეისწავლოს საკამათო საკითხი.

ა. ლომთათიძის აზრით, სამართლიანი იქნება ამ საკითხის განხილვის შემდეგისთვის გადადება და ამასთან დაევალოს არჩეულ კომისიას, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში, გამოარკვიოს საკამათო საკითხი და თავისი დასკვნა აუწყოს საზოგადოებას პრესის საშუალებით.

კრება ლებულობს ბ-ნ ლომთათიძის წინადადებას.

თავმჯდომარე გაახსენა კრებას, რომ საზოგადო კრების დავალებით ი. მერკვილაძეს უნდა წარმოედგინა გასამართლებელი საბუთები დასამტკიცებლად იმისა, რომ მას, მერკვილაძეს, ჭერნდა უფლება ეგნატე ხრამელაშვილის გარდაცვალების შემდეგაც, განეგრძო განსვენებულის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა. ბ-მა მერკვილაძემ საბუთები წარმოუდგინა გამგეობის ორ წევრს. წარმოდგენილ დოკუმენტების შინაარსს მოგახსენებთ გამგეობის წევრი ბ-ნი გრ. რცხილაძე.

გრ. რცხილაძე: თავის გასამართლებლად ბ-მა ი. მერკვილაძემ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: ა) პირობა მეტების ციხის მეტამბე ხელახეთან 1912

წლის 25 თებერვლის თარიღით. ამ პირობით შეუკვეთნია დასაბეჭდათ ხრამელა-შვილის არითმეტიკული კრებულის პირველი ნაწილი 11,000 ცალი, კრებულის მეორე ნაწილი — 3,600 ცალი და გეოგრაფია 3,600 ცალი.

ბ) პირობის ქაღალდი სტამბის უფროს გლავაცისთან იმავე წლის 10 ივნის თარიღით. ამ პირობით მიუკია დასაბეჭდათ პირველი ნაწილი კრებულისა 12,000 ცალი, გეოგრაფია 6,000 ცალი.

გ) იმის დასამტკიცებლად, რომ კორექტურას თვით ავტორი ასწორებდა მერკვილაძემ წარმოადგინა კრებულის მეორე ნაწილის საკორექტურო ფურცლების 1 № გვერდი, ნასწორები, როგორც მერკვილაძე აცხადებს, თვით ავტორის მიერ, მაგრამ არა სჩანს მერამდენ გამოცემა და როდის არის დაბეჭდილი. ხრამელა-შვილის სიკვდილის შემდეგ მერკვილაძეს შეუკვეთნია ციხის სტამბაში დასაბეჭდათ 1912 წლის 29 ენკენისთვეს კრებულის მეორე ნაწილი 5000 ცალი, 30 ენკენისთვეს — იმავე კრებულის 1 ნაწილი — 12,000 ცალი, 2 ქრისტეშობის-თვეს გეოგრაფია — 6000 ცალი. მერკვილაძე აცხადებს, რომ ხელმეორედ სახელ-შძლვანელო წიგნების დაბეჭდვა გამოიწვია იმ ვარემოებამ, რომ წიგნების პირველი გამოცემის საგრძნობელი ნაწილი სტამბამ გააფუჭა, რამაც განსვენებული ხრამელა-შვილი ძრიელ შეაწუხა და ზარალის ასანაზღურებლად ნება მისცა მას, მერკვილაძეს, ხელახლა დაებეჭდა წიგნები. ამის დასამტკიცებლად მერკვილაძემ წარმოადგინა განსვენებულის ქვრივთან შეკრული პირობის ქაღალდი 1913 წლის 8 თობათვის თარიღით, საღაც დადასტურებულია, რომ მერკვილაძეს შიცემული ჰქონდა უფლება წიგნების ხელმეორედ დაბეჭდვა-გამოცემისა: კრებულის 1 ნაწ.-10,000 ცალისა, ხოლო მეორე ნაწილისა 3000 ცალისა. დასამტკიცებლად იმისა, რომ მას, მერკვილაძეს, კრებულის გამოცემასთან ერთად მიცემული ჰქონდა გეოგრაფიის გამოცემის უფლებაც, მერკვილაძემ წარმოადგინა 26 აპრილის თარიღით დაწერილი ავტორის ბარათი ჰონორარის შესახებ, ხოლო იმის საბუთად, რომ წიგნები იბეჭდებოდა თვით ხრამელა-შვილის თანხმობით, მოჰყავს გლავაცის წერილი, საღაც აღნიშნულია, რომ წიგნები იბეჭდება „Съ согласія автора Храмелашвили“.

აქ ორი საღაო საკითხია გამოსარკვევი: 1. როდის იყო შეკვეთილი მეორე გამოცემა, 2. ჰქონდა თუ არა უფლება მეორე გამოცემის შეკვეთის შესახებ. პირველის საბუთი გვაქვს, ხოლო მეორესი არა სჩანს.

წარმოდგენილი საბუთების მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ მერკვილაძეს ჰქონდა სახელმძღვანელო წიგნების მეორედ გამოცემის უფლება, ამისათვის მე წის ნაღადებას ვაძლევ კრებას ამოირჩიოს განსაკუთრებული კომისია და მიანდოს მას საღაო საკითხის გამორკვევა.

ი. კაჩუხოვი ეკითხება ბ-ნს გრ. რცხილაძეს, ის, როგორც ვექილი, რა აზრისაა მერკვილაძის მიერ წარმოდგენილი საბუთების შესახებ, აქვს თუ არა ამ დოკუმენტებს იურიუდიული მნიშვნელობა.

გრ. რცხილაძე უპასუხებს, რომ დოკუმენტებს აქვთ ერთგვარი იურიდიული მნიშვნელობა, მაგრამ ეს თავის თავად არ ამტკიცებს, რომ შეიძლებოდეს ამ

ღოკუმენტების მიხედვით საკითხის დადგებითად გადაჭრა და სრული სიმართლის გამორკვევა.

ა. ცინცაძის აზრით, საჭიროა გამგეობაშ ოფიციალული მსვლელობა მისცეს საქმეს და სასამართლოს წესით გამოარკვიოს სადაო საკითხი, ხოლო გამორკვევამდე წიგნები დააკავოს.

ი. გამარჯვებულის აზრით, თუ საბუთებს იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რატომ არ შეძლება საქმე სამედიატორო სასამართლოს წესით გაიჩინოს.

გ. ბურჯულაძეს ძალიან აკვირებს ხრამელაშვილის ქვრივის მიერ მერკვილაძისადმი მიცემული პირობა, რომელშიაც აღიარებულია, რომ განსვენებულს ვითომეც მიეცეს მერკვილაძესთვის სახელმძღვანელო წიგნების მეორედ გაშაცემის უფლება, როდესაც განსვენებულის ქვრივი შესულა მასთან წ. კ. გამ. საზოგადოების კანცელარიაში 1913 წელს იანვარში და განუცხადებია, რომ მერკვილაძე მას, ქვრივს, ემუდარება და დაეინებით. სთხოვს მისცეს საბუთი, რომ ხრამელაშვილმა სიტყვიერად უფლება მისცა მერკვილაძეს გამოსცეს წიგნები ზარალის ასანაზღაურებლად, თან დაუმატებია „აბა როგორ ვსთქვა ტყუილი, როგორ წავსწყმინდო განსვენესულის სული, როდესაც ასეთი არაფერი ყოფილაო“. ბურჯულაძის აზრით, არც ის არის მართალი, რომ წიგნები იძექდებოდა სტამბაში ავტორის ნებართვით. რა საჭიროა აქ „ცნ სიგაცია ავთორა“ დასენა ორატორი; არც ერთი მესტამბე არ მოგთხოვთ, სადაც არ უნდა მიიტანოთ წიგნი დასაბეჭდათ ავტორის დასტურს, თანახმაა თუ არა იგი წიგნის დაბეჭდვისა.

კ. ჯაფარიძეს წინადადება შემოაქვს სადაო საკითხი გამოირკვეს ოფიციალური სასამართლოს წესით, ხოლო გამორკვევამდე წიგნების გაყიდვა შეჩერებულ იქმნას.

დ. ჯაფარიძის აზრით, საკმარისია ამ საკითხის გამორკვევა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც თავის დასკვნას გამოაქვეყნებს პრესის საშუალებით. თუ მერკვილაძე გამტყუნდა, გამორიცხულ იქმნას იგი საზოგადოებიდან. მერკვილაძე, მე მგონია, ანგარიშს გაუწევს საზოგადოებრივ აზრს და მისთვის, როგორც ერთგვარ საზოგადო სარბიელზე მოღვწისათვის, ასეთი სასჯელი საკმარისად უნდა ჩაითვალოს.

ე. დამთათიძეს საკმარისად მიაჩნია სადაო საკითხის გამორკვევა მიენდოს გამგეობას იურისტთა დახმარებით.

თავმჯდომარეულ ემხრობა ბ-ნი ა. ლომთათიძის აზრს.

კრება აღენს: „მერკვილაძეს მიერ წარმოდგენილი ღოკუმენტების განხილვა და, საზოგადოდ, სადაო საკითხის ყოველმხრივ გამოკვლევა მიენდოს ახალ გამგეობას იურისტთა დახმარებით.“

თავმჯდომარე გადადის მორიგ საკითხზე 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შესახებ.

პ. საუვარეულიძე აუცილებლად საჭიროდ სთვლის დღესვე კრების დამთავრებას, რისთვისაც იგი იწვევს კრებას დაკმაყოფილდეს გამგეობის მიერ წამოყენებას, ბულ კონკრეტულ წინადადებით დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხთა შესახებ,

მით უმეტეს, რომ დღეს არჩევნებია მოსახლენი, რომელსაც მოუნდება საკმაო დრო.

თავმჯდომარე ემხრობა ბ-ნი საყვარელიძის აზრს. დღევანდელმა კრებამ უნდა განიხილოს კიდევ ოთხი საკითხი, მარტო არჩევნები წაგვართმევს ჩ საათს. მე მგონია არაფერი დაშვდება, თუ ორ საკითხს: მოხსენებებს ილიას სახლის გა- მოსყიდვისა და ცეცხლისაგან მიუენებულ ზარალის შესახებ დღის წესრიგიდან ამოვშლით, შით უმეტეს, რომ ეს ეხება მდგომარე 1914წ., რომლის ანგარიშს კრება განიხილავს მომავალ 1915 წელს. საკმარისი იქნება დღეს განვიხილოთ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და მოვახდინოთ არჩევნები.

კრება ღებულობს ბ-ნი თავმჯდომარის წინადადებას.

მდივანი კითხულობს 1914 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას, რომლიდა- ნაც ირკვევა, რომ გამგებას ნავარაუდევი ჰქონია დასახარჯათ 46,407 გ. და 92 კაპ. აქედან დახარჯულა 32,149 გ. 83 კ. შემოსულა 40,301—67.

ჭ. ჯაფარიძე საჭიროდ სთვლის მიემატოს ჯამაგირები ბუხპალტერს, რომლის შრომა ყველა დაწესებულებებში კეროვანად არის დაფასებული, აგრეთვე მაღა- ზიაში, კანცელარიაში და მუზეუმში მოსამსახურე პირთაც: მაღაზიის გამგეს, მის თანაშემწეს, მაღაზიის, კანცელარიის და მუზეუმის მსახურს. ორატორის აზრით, ბუხპალტერს, როგორც დიღხანს ნამსახურს, უნდა მიემატოს 240 მანეთი, მაღა- ზიის გამგეს, მის თანაშემწეს, მაღაზიის, კანცელარიის და მუზეუმის მსახურთ- თითოს 120 მანეთი წელიწადში. ეს ფული მიეცეთ მათ ერთდღოულ დახმარებათ ამ 1914 წლის ნაშთებიდან, ხოლო 1915 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში ეს ჯამი შეტანილ იქმნას.

იდა ნაკაშიძე ემხრობა ბ-ნ ჯაფარიძის აზრს, და დასძნს, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ყველაფერი გაძვირდა, სამარლიანი იქნება, რომ მოსამსახურე პირებს ჯამაგირები მიემატოს.

გრ. რცხილაქეც ემხრობა ორატორების აზრს და განმარტავს მოსამსახურე პირთა თავიანთ. მოვალეობისადმი ერთგულებას, ნამეტურ ბუხპალტერისას და წინადადებას იძლევა მიემატოს ბუხპალტერს 240 მანეთი, მაღაზიის გამგეს და თანაშემწეს თითოს 120 მანეთი, მუზეუმის მსახურს 120 მანეთი, კანცელარიისა და მაღაზიის მსახურთ თითოს 120 მანეთი.

თავმჯდომარის ასრით სამართლიანობა მოითხოვს მაღაზიაში მოსამსახურე პირთ ორჯელ მეტი მიემატოს იმაზე, რაც ბ-მა რცხილაქემ სთქვა, მით უმეტეს, რომ მაღაზიის საქმე გაფართოვდა, მოსამსახურე პირთაც შრომა მოემატათ და მომატებული ჯამაგირი გააორკეცებს მათ ენერგიას და თუმც დღესაც ერთგუ- ლად ეკიდებიან საქმეს, მაგრამ მაშინ უფრო მეტს ერთგულობას გამოიჩენენ..

აკ. წულაძეს შემოაქვს წინადადება: „კრება გამოსთქვამს რა სურვილს, თა- ვიანთ მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების საჭიროებისას, მიანდობს გამ- გეობას ნაშაბური დროსა და ერთგულობის მოხედვით მიუმატოს მათ ჯამაგირები“.

ჯამაგირების მომატებას საჭიროდ სთვლიან აგრეთვე კ. თავართქილაქე, ლ. ჯავახიშვილი, დ. დუმბაძე და სხვები.

მცირე კამათის შემდეგ ამ საკითხის შესახებ კრებას გამოაქვს შემდეგი დაცულება: 1914 წლის ნაშთებიდან გადაიდოს კანცელარიაში და მაღაზიაში მოსამსახურე პირთა შორის გასანაწილებლად 1000 მანეთი, ხოლო ამ თანხის განაწილება მიენდოს გამგეობას, რომელმაც განაწილების დროს უნდა მიიღოს მხედველობაში მოსამსახურე პირთა ნამსახური დრო და შრომა, ხოლო 1915 წლის სავარაიდო ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს, იხელმძღვანელოს წულაძის წინადადებით.

გრ. ბურჭელაძე წინადადებას იძლევა გადადებულ იქმნას აგრეთვე საჭირო ანხა მასწავლებელთათვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენად.

კრება ეთანხმება წამოყენებულ წინადადებას და ავალებს გამგეობას 1914 წლის გასავლის აღრიცხვის ნაშთიდან მისცეს მასწავლებლებსაც ერთ-დროული დახმარება, რამდენსაც იგი საჭიროდ და მოსახერხებლად დაინახავს. ამის შემდეგ კრება ხარჯთ აღრიცხვას ამტკიცებს.

თავმჯდომარე. ასარჩევია საზოგადოების თავმჯდომარე, გამგეობის 12 წევრი და სარევიზიო კომისია. გთხოვთ დასახელოთ კანდიდატები.

ილია ნაჯაშიძე წინადადებას იძლევა არჩევნები გადაიდოს მომავალ წლამდის და მუშაობა განაგრძოს ისევ ძველმა გამგეობამ, რადგან იგი გაცნობილია საქმეს და ეს კი ძლიერ საჭიროა დღევანდელი მომენტის დროს.

მდ. კარბელაშვილი ემხრობა ბ-ნ ნაკაშიძის აზრს.

ბუკიას, დ. ჯავახიშვილის, ლალიძის და მესხიშვილის აზრით კი აუცილებლად საჭიროა დღესვე მოხდეს არჩევნები, რაც საქმისთვის უფრო კარგი იქნება.

თავმჯდომარე განმეორებით სთხოვს კრებას დასახელოს კანდიდატები.

მდივანი კითხულობს კრების წევრთა მიერ წამოყენებულ კანდიდატთა სიას.

თავმჯდომარეთ დასახელებულ იქმნენ: გ. ნ. უზბეგი, ექვთ. თაუაშვილი და მაჩაბელი.

გამგეობის წევრებათ: ა. ჯაჯანაშვილი, გრ. რცხილაძე, ვ. მუსხელიშვილი, კარიქაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. ვართაგავა, პ. კიკალიშვილი, ი. გიორგობიანი, გ. ცინცაძე, კ. ნინიძე, შ. დედაბრიშვილი, თ. კიკვაძე, ნ. რცხილაძე, ქ. ახალშენიშვილისა, ნ. ნაკაშიძე, ალ. ყიფშიძე, ოლ. ალლაძისა, ი. ზედგინია, გრ. ყიფშიძე, ალ. მირიანაშვილი, რ. გაბაშვილი, ს. გორგაძე, პ. საყვარებიძე, ფ. გოგიჩაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ილ. ნაკაშიძე.

კანდიდატებათ: ესტ. ავალიშვილი, დ. კასრაძე, ლ. დუმბაძე, თ. კიკვაძე.

სარევიზიო კომისიაში: ა. ბებურიშვილი, ა. ლულაძე, დ. დუმბაძე, დ. კაპაშვილი, ესტატ ავალიშვილი.

დასახელებულ კანდიდატთაგან თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა ექვთ. თაუაშვილმა და ვ. მაჩაბელმა.

საზოგადოების თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია გ. ნ. უზბეგი.

გამგეობაში დასახელებულ პირთაგან კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს: ოლ. რაძისიამ, ი. ზედგინიძემ, გრ. ყიფშიძემ, ილ. ნაკაშიძემ, ალ. მირიანაშვილმა,

ვ. საყვარელიძემ, ფ. გოგიჩაიშვილმა, ალ. შანშიაშვილმა, ს. გორგაძემ და რ. გაბაშვილმა, ხოლო დანარჩენებმა კი კენჭის ყვაზე სურვილი განაცხადეს. ხოლო ა. ყიფშიძისათვის, რომელიც კრებას არ დასწრებდა, ყუთის დადგმა მოითხოვა თვით კრებამ.

თავმჯდომარებ მოიწვია ასისტენტებად გრ. ქურდიანი, ვ. კახიძე, დ. ღუმბაძე, ან. ღულაძე, და აპ. წულაძე და მათის დახმარებით მოახდინა არჩევნები. ფარულის კენჭის ყრით.

არჩევნების შედეგი:

ა. ჯაჯანაშვილმა მიიღო	71	თეთრი	61	შავი.
გ. რცხილაძემ	103	"	29	"
ვ. მუსხელიშვილმა	81	"	51	"
ღ. ქარიჭაშვილმა	111	"	21	"
ლ. ბოცვაძემ	106	"	26	"
შ. დედაბრიშვილმა	108	"	24	"
გ. ცინცაძემ	85	"	46	"
ჰ. კიკალიშვილმა	90	"	41	"
ი. გიორგობიანმა	96	"	35	"
კ. ნინიძემ	89	"	42	"
ი. ვართაგავაშ	88	"	43	"
ნ. რცხილაძემ	77	"	54	"
ან. ახალწენიშვილმა	63	"	69	"
ნ. ნაკაშაძემ	94	"	37	"
ა. ყიფშიძემ	80	"	52	"
თ. კიკვაძემ	93	"	38	"

თელო კიკვაძემ გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადა და ისურვა კანდიდატათ დარჩენა. ამნაირად, ხმების რაოდენობის მილების მიხედვით გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნება:

1. დავით გიორგის ძე ქარიჭაშვილი,
2. შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილი,
3. ლუარსაბ კერასიმეს ძე ბოცვაძე
4. გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძე
5. გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი
6. ოსებ ზურაბის ძე გიორგობიანი
7. ნინო იოსების ასული ნაკაშაძე
8. პოლიევკო ლადარეს ძე კიკალიშვილი
9. კირილე იესეს ძე ნინიძე
10. იპოლიტ პეტრეს ძე ვართაგავა
11. გიორგი იესეს ძე ცინცაძე
12. ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი.

მათ კანდიდატებათ:

1. თევდორე გაბრიელის ძე კიკვაძე
2. ილექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე
3. ნინო სიმონის ასული რცხილაძე და
4. არჩილ რაფენის ძე ჯაჯანაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად ახდილი კენჭის ყრით ორჩეულ იქმნენ:

1. ანდრია გიორგის ძე ბებურიშვილი
2. ანდრია სოლომონის ძე ლულაძე
3. დიმიტრი მოსეს ძე ლუმბაძე
4. ე. ტატე გიორგის ძე ავალიშვილი.

არჩევნების შემდეგ თავმჯდომარებ წინადადება მისცა კრებას აერჩია კომისიები საგურამოს მამულის და წიგნთ-საცავ-მუზეუმის შდგომარეობის გამოსარჩევად.

კრებამ დაადგინა: საკითხი მუზეუმის და საგურამოს მამულის ყოველმხრივ გამოსაკვლევად მიენდოს ახალ გამგეობას სპეციალისტთა დახმარებით.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მიიღო საზოგადოების გამგეობის დადგენილება და წესდების მერვე მუხლის თანახმად სპარატიო წევრებად აირჩია ქ-ნი ანასტ. თუმანიშვილი—წერეთლისა და ეკ. გაბაშვილისა.

დასასრულ კრებამ დაამტკიცა ახლად ჩაწერილ წევრთა სია და კრების ხელმძღვანელობისათვის მაღლობა გამოუხადა თავმჯდომარეს.

გრების თავმჯდომარე დ. გ. კარიჭაშვილი.

მდიდარ ვ. ბურჯანაძე.

ო ქ მ ი

ქ. შ. წ.-ქ. გაშვირცელებული საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრებისა 5 აპრილს, 1915 წელს.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. უაზბეგმა დლის 12 საათსა და 40 წუთზე. დაესწრო 82 ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების საპატიო წევრის აკაკი როსტომის ძის წერეთლის, ნამდვილ წევრების ნიკოლოზ ერისთავის, ევგენი ქობულაშვილისა და დეპუტატ გელოვანის ხსოვნას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ განუმარტა კრებას წარსული წლის საზოგადო კრების დადგენილება, რომლის მიხედვით გამგეობას დავალებული ჰქონდა არა უგვიანეს აპრილისა მოეწვია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება და წარედგინა მისთვის განსახილველად 1915 წლის სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვა და მოხსენება საგურამოს მამულის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გამგეობამ სხვა და სხვა საპატიო მიზეზებისა გამო ვერ მოასწრო საგურამოს მამულის მდგომარეობის გამოკვეთა და ამ მამულის შესახებ მოხსენების წარდგენა საზოგადო კრებისათვის, გამოევა და ამ მამულის შესახებ მოხსენების წარდგენა საზოგადო კრებისათვის, გამოელება მოხსენებას წარმოუდგენს მორიგ კრებას, ამის გემო აღარც სხვა მოხსენები იქნება დღეს წარმოდგენილი. დღევანდელი კრება განიხილავს მხოლოდ 1915 წლის სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვას.

მდივანი ჭ. ბურჯანაძე კითხულობს 1915 წლის ნავარაუდევ შემოსავალ-გასავალს, თანხების განაწილებას და განმარტებას 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

თავმჯდომარე იწვევს კრებას თავიანთი აზრის გამოსათქმელად მოსმენილ ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

არჩავ ჯავანაშეინდის აზრით, განყოფილებათაგან 20 პროც. შემოსავალი ძლიერ მცირეა ნავარაუდევი, სულ 600 მანეთი, როდესაც მარტო ბაქოს განყოფილებამ გამოგზავნა 1500 მანეთი.

თავმჯდომარე უპასუხებს, რომ ბაქოს განყოფილებიდამ ორი დღის წინად მივიღეთ მოხსენებული ფული, ხარჯთ-აღრიცხვა კი უფრო აღრეა შეტყიცებული. თუ მეტი შემოვა, ისევ ჩვენს გასას მიემატება და წლის განმავლობაში შეიძლება დასახარჯი გზაც გამოუჩნდეს.

ა. წულაძე თხოულობს განმარტებას თანხების სიაში მე-29 მუხლით აღნიშნულ 10 მანეთის სასტიპენდიო, დაბრუნებული თანხის შესახებ.

თავმჯდომარე განუმარტავს, რომ ეს თანხა დგება სასტიპენდიო ვალის ანგარიშში ყოველ სტიპენდიატთა მიერ დაბრუნებული ფულით. აქამდე შემოსულა მხოლოდ 10 მანეთი.

კლად: ცაგარდის აზრით, საჭიროა ყველა ახლად არჩეულ სტიპენდიატებს ჩამოერთვას ხოლმე ხელშერილი, რომ ისინი ვალდებული არიან სასწავლებელში კურსის დამთავრების შემდეგ დაუბრუნონ საზოგადოებას მიღებული ფული. კარგი იქნებოდა, რომ ამ ანგარიშში მოთავსებული იყოს სტიპენდიატთა სია, ვის რამდენი მიუღია და ვისზე რამდენი ითვლება ვალად.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ხელშერილის ჩამორთმევა მიღებულია და კოდევაც სრულდება. სიის მოთავსების შესახებ გამგეობას არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება, თუ კრება ისურვებს.

კრება საჭიროდ აღიარებს, რათა წლიურ ანგარიშში მოთავსებულ იქნას ხოლმე სია ყოფილ იმ სტიპენდიატთა, რომლებზედაც ითვლება სასტიპენდიო ვალი.

ა. წულაძეს შეკითხვა შემოაქვს თანხების სიაში მე-15 მუხლით აღნიშნულ თანხის შესახებ, რატომ დანიშნულებას არ ხმარდება ეპისკოპ. დავითის მიერ შემოწირული 1083 მანეთი და 04 კაპიკი. ეს თანხა მაჰმადიანთათვის ყოფილი განზრახული და დღეს ყველამ კარგად უწყით მაჰმადიან ქართველთა მდგომარეობა, ნივთიერი და სულიერი. ეს თანხა უნდა მოხმარდეს განათლების გავრცელების საქმეს აქარაში.

ღ. კარიჭაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი) დავით ეპისკოპოზის ყოველ წლიურ რაღ შემოაქვს ფული ამ თანხის გასაძლიერებლად და მისი სურვილის თანახმად ვიდრე თანხის რაოდენობა 10,000 მანეთამდე არ ავა, სარგებელს. ვერ მოვახმარო დანიშნულებას.

ა. წულაძის აზრით, უნდა ეთხოვოს პატივცემულ ეპისკოპოზის დავითის, ნება

მოგვცეს ეს თანხა ეხლავე მოვახმაროთ დანიშნულებას, რადგან საჭიროება მოითხოვს....

თავმჯდომარე (გ. ნ. ერმაგი) გამგეობას შრომა და მეცაღინეობა არ დაუკლია, რათა მაჰმადიან ქართველთა სულიერს მოთხოვნილებას ემსახუროს და დაკვირვებულოს, ჩვენ აღვძარით შეამდგომლობა ქობულეთში სკოლის გახსნის შესახებ, უარი მივიღეთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ განზრახვას სისრულეში მოვიყვანთ და აჭარაში აღრე თუ გვიან სკოლას გავხსნით.

3. მირიანაშვილს საჭიროდ მიაჩნია საზოგადო კრებამ ანგარიში გაუწიოს აჭარლების დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას და ომისაგან დაზარალებულ მოძმეო ნივთიერი დახმარება მისცეს, იგრეთვე გამოსცეს წიგნები აჭარლების ისტორიის შესახებ და გაავრცელოს ხალხში.

3. საუკარელიძის აზრით, პ. მირიანაშვილის წინადადება ცალკე კითხვაა, საკამათო საგანს არ ეხება და, ამიტომ, უმჯობესი იქნება ამის შესახებ დროებით მსჯელობა შესწყდეს.

კრება საყვარელიძის წინადადებას ღებულობს.

შ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ მან წარსულ წელს გამგეობას წარუდგინა განცადება, რათა პეტრიაშვილის სახელმობის თანხის სარგებელით გამოიცეს სახალხო საკითხავი წიგნაკები. ბუნების მეტყველებიდან; გამგეობამ ეს წინადადება მიღია და დაადგინა წიგნების გამოცემა, თანხების სიაში კი ნაჩვენებია, რომ სარგებელი ეკეცება თვით თავნს და დასახარჯათ არ არის შეტანილი.

დ. კარიქაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი) უბასუხებს, რომ წიგნების გამოცემა დავალებული აქვს გამომცემელ სექციას, რაიცა შეეხება იმას, რომ თანხის სარგებელი თვით თავნს ეკეცება, ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან წიგნების შემოსავალი თანხას გაზრდის, მიუმატებს და არა დააკლებს.

ქ-ნი ანასტასია წერეთლის თხოულობს შეტანილ იქმნას თანხების სიაში ნინო შვილის ძეგლის ასაგები თანხაც, რომელიც შესანახად გადასცა საზოგადოების გამგეობას.

გერ. იმნაიშვილის აზრით, სასკოლო სექციას ძლიერ მცირე თანხა აქვს მიცემული. შეუძლებელია, ასე მცირეოდენი თანხით სკოლების სამაგალითოდ, ევროპიულად მოწყობა, როგორც ეს დავალებული ჰქონდა გამგეობას საზოგადო კრებისაგან.

თავმჯდომარე სთხოვს ორატორს დაასახელოს წყარო, რომელითაც შეიძლება სკოლების უფრო კარგად მოწყობა. არსებულ საშუალებათა ფარგლებში კი გამეობას არ შეეძლო მეტი თანხა გაეღო.

ს. დადიანის აზრით, საწევრო გადასახადის რაოდენობა ძლიერ მცირე არის ნავარაუდევი—სულ 1400 მანეთი, როდესაც შეიძლება აღნიშნული შემოსავლის წესაროს 5000 მანეთამდე აყვანა. გამგეობამ უნდა დაბეჭდოს პატარა საკვიტაციო წიგნები, დაურიგოს საიმედო პირებს, და, ერთი სიტყვით, მიიღოს შესაფერისი ზომები.

ს. დადიანის წინადადებას კრება საყურადღებოდ იღიარებს.

ივ. დუშერაშვილის აზრით, 200 მანეთი, რომელიც ეძლევა უურნალ „განათლებას“-ს დამატებისათვის, უმჯობესი იქნება შემატოს ანგარიშის დასაბეჭდაც გადადებულ თანხას, რადგან წელს ქაღალდი ძლიერ გაძვირებულია, ანგარიში კი რაც შეიძლება ვრცელი უნდა დაიბეჭდოს. წ.-კ. საზოგადოების ცნობები კი სხვა გაზეთებშიაც შეიძლება მოთავსდეს.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად აღიარებს და ეკითხება კრებას ამტკიცებს თუ არა იგი 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

კრება ხარჯთ-აღრიცხვას უცვდება ამტკიცებს.

თავმჯდომარის წინადადებით მისმა ამხანაგმა დ. კარიშაშვილმა მოახსენა კრებას, რომ კნეინა ეკეტერინე მიხილის ასულმა ერისთავისამ თავის ქმრის ნიკოლოზ ერისთავის ხსოვნის აღსანიშნავად შემოსწირა წ. კ. გ. საზოგადოებას 10,000 მანეთად ღირებული თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები. ამ 10,000 მანეთის თანხის წლიური სარგებელი მიეცემა პრემიად ქართულის სიტყვა-კაზმულის მწერლობის საუკეთესო დამსტამბველს, ან ხელთნაწერ ნაწარმოებს.

ეს ისეთი დიდი შემოწირულებაა, რომ ჩვენი წესდების მეცხრე მუხლის ძალით შეიძლება დიდის მაღლობით კნ. ეკატერინე მიხილის ასული ერისთავისა ავირჩიოთ საზოგადოების საპატიო წევრად.

კრება წინადადებას ტაშის ცემით ეგებება და ერთხმად ირჩევს კნ. ეკატერინე მიხ. ასევე ერისთავისას საზოგადოების სახატით წევრად.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ გამგეობამ იქნია რა მსჯელობა ხსენებული შემოწირულების შესხებ, დაადგინა: განსვენებულის ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის სურათი დაპიროს წ. კ. გ. საზოგ. დარბაზში და მიენდოს გამგეობის თავმჯდომარეს გაშებზაგნს კნ. ეკატერინე ერისთავისას სამადლობელი წერილი საზოგადო კრების სახელით.

კრება გამგეობის დადგენილებას ამტკიცებს.

თამახმად გ. თუმანიშვილის, აპ. წელაძის და პ. საუფარეფიძის წინადადებისა გამგეობას ევალება იზრუნოს აქარაში სკოლების გახსნის შესახებ და არსებულ საშვალებათა ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს ომისაგან დაზარალებულ აქარალებს, რადგან ასეთს დახმარებას, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ექნება ერთგვარი მორალური მნიშვნელობა.

დასასრულ კრება ლებულობს გამგეობის წინადადებას აკაკის ფონდის გასაძლიერებლად 500 მანეთის გადადების შესახებ.

კრება იხურება 1საათსა და 40 წუთზე.

თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი.

მდივანი გ. ა. ბურჯანაძე.



Открыта подписка на 1915 годъ

ШКОЛА И ЖИЗНЬ

(5-й г. издания)

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЪЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.

Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

Пятый годъ издания застает насъ въ тяжелый моментъ небывалой въ исторіи войны. Педагогическая печать, не можетъ не откликаться на вопросы, волнующіе сейчасъ всячаго. Но у нея остаются и свои особыя задачи: война, глубоко затрагивающая жизнь школы, не должна всплыть собою интересовъ народнаго образованія, народной культуры. Война въ корыѣ потрясаетъ весь жизненный укладъ, но наша святая обязанность уберечь школу отъ грозящей ей опасности. Въ этомъ газета видитъ свою очередную задачу.

Имѣя возможность въ приложениихъ дополнять материалъ, помѣщаемый въ газете, Редакція ставитъ себѣ цѣлью выяснить ту глубокую связь, какая должна существовать между педагогической наукой и правильно понимаемыми идеями національности и государства. Обращаясь къ Платону и Аристотелю, впервые выразившимъ эти идеи, "Школа и Жизнь" даетъ переводы обоихъ классиковъ. Редакцію перевода и статьи о Платонѣ и Аристотеле взялъ на себя профессоръ петроградскаго университета Ф. Ф. Зильминский. Другому важному вопросу о началѣ воспитанія, о воздѣйствіи на ребенка въ тотъ періодъ, когда закладывается личность человѣка, отводится книга Вилліама Стерна „Психологія ранняго дѣтства" съ добавленіями Л. Г. Оршанского—настольная книгадля матерей и воспитателей.

Въ числѣ другихъ приложений газета удѣляетъ особое вниманіе вопросу о профессиональномъ объединеніи учителей. Для воспитанія здоровыхъ поколѣній нужны учителя, оплоченные сознаніемъ своей отвѣтственности, умѣющіе отстоять свои права. Въ сборникѣ, посвященномъ учительскимъ профессиональнымъ организаціямъ на Западѣ и въ Россіи, будетъ помѣщены статьи: Дионео, В. А. Золотарева, П. Мижуза, Г. А. Фальборка, И. И. Шрейдера и др. Кроме того будетъ даны въ числѣ приложений: книга итальянской писательницы Пауль Ломброзо „Жизнь ребенка" и др. Всего по примѣру прошлыхъ лѣтъ будетъ дано не менѣе 80 печатныхъ листовъ.

Въ составѣ сотрудниковъ газета, по прежнему, насчитываетъ многихъ преподавателей, низшей, средней и высшей школы, членовъ родительскихъ комитетовъ, дѣятелей земскихъ и городскихъ самоуправленій членовъ Г. Думы и Гос. Совѣта.

Дѣятельности земствъ и городовъ въ области нар. образованія, жизни школы съѣзжихъ типовъ и ступеней отводится, помимо статей, место въ хроникѣ и въ многочисленныхъ сообщеніяхъ съ жѣлью.

Въ отдѣлѣ библиографіи специалистами по отдѣльнымъ вопросамъ даются два раза въ мѣсяцъ рецензіи педагогическихъ, учебныхъ и дѣтскихъ книгъ.

Ведется систематически отдѣлъ законод. постановлений, официальныхъ распоряженій и сен. разъясненій. Ежемѣсячнодается полный списокъ вновь утвержденныхъ освѣт. обществъ и организацій.

Подпись на 1915 годъ на 6 м. на 3 м.
на 12 р. на 6 р. на 3 р. на 2 р.
съ доставкой и пересылкой

Для учащихъ при годовой подпискѣ допускается разсрочка: при подпискѣ—2 р., 1 февраля, 1 марта и 1 апрѣля и къ 1 мая по 1 рублю.

Подписка, куомъ Главной Конторы принимается во всѣхъ почт. тел. конт. и лицн. книжныхъ магазинахъ. Лицамъ, желающимъ познакомиться съ газетой, проще №№ высылаются бесплатно.

Адресъ Главной Конторы: Петроградъ Лиговская ул. д. № 87.

სამეცნიერო-პუდინგოვიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელი წარ მერვე)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-
თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭ-
დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-
ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან;
აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე
უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ უკალი ჩეხი საუკეთესო
შეცნიერება, შეკრდები, პედაგოგი და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის რთხი მანეთი (4 მან.). მხოლოდ
სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი
დაეთმოთ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის
წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „მრავალეამიერ“ მუ-
სიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. პესტალოცის,
პერძერთ სპეციალის, რუსეთს და კომენსკის სურათებს, რომელთა მაგიერ 1914
წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს აღმომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისა“
და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვი-
ლის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განუოფილება, სადაც იბეჭდება უოველ
გვარი ცნობები ქ. ქ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა
და მისი განუოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება ფულისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რ.
დაქუიაში, წერა-კითხვის საზოგადოების წაგნის მაღაზიაში იგანე ავალიშვილთან და
წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ კიკნაძესთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან,
ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიიღში“, სამცრედიაში წ.-ქ.
საზოგადოების კიოსკში მ. კოპალეიშვილთან, ამ სამ აღგილის იყიდება ცალკე
ნომრების, თითო 40 კ. სხვა აღგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგნტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მოწერულების დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია უოველგვარ ღონისძიებას სმარობს ჟურნალის.

თანხმადან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: თიფლის, ავტორული გამოცემა და განვითარება სამართლის მისამართი.

რედაქტორ-გამოცემულების ლ. გ. ბოცვაძე.